პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—74
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 18—80 ექსპედ. 5—48.

დღიური

— პოლიტტუსაღებმა პოლონეთში შიმშილობა გამოაცხადეს.
— ლატვიის სოც.-დემოკრატებს საჭიროდ მიაჩნიათ ეკონომიური ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირთან.
— ამხ. ს. ორჯონიკიძემ ცირკულიარული წერილით მიმართა ყველა დაწესებულება-წარმოებებს წითელი არმიის სათადარიგოში გასულ მეთაურთა სამუშაოებზე მიღების შესახებ.
ინგლისის ელჩს ჩინეთში ლემპსონს თათბირი ჰქონდა კანტონის არმიის სარდალთან.
— საკავშირო მთავრობამ მიიღო ელექტროფიკაციის 5 წლიანი გეგმა.

კვირა, 12 დეკემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 285 (1740)

ომის საფრთხე და სოციალ-დემოკრატია

სოციალ-დემოკრატია დღეს ბევრს ლაყბობს ე. წ. „ზეიმპერიალისტურ“ ხანის დაწყებაზე. მისი მტკიცებით, ხდება კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა დაძლევა საერთაშორისო შეთანხმებების გზით; ამავე გზით აცილებული იქნება ომის საფრთხეც. სოციალ-დემოკრატია ამ შემთხვევაში თავის ისტორიულ მოწოდებას ემსახურება — მუშათა მასსების რევოლიუციონურ შეგნების მოძინებას. ამავე დროს ის ცდილობს გაამართლოს თავისი თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან, რომელიც ვითომ საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებას ცდილობს.

სინამდვილე, რა თქმა უნდა, გვეუბნება არა „პაციფისტურ სამოთხის“ დამყარებაზე, როგორც ამას თვალთმაქცურად გაიძახიან ყველა ჯურის შემთანხმებლები, არამედ, პირიქით, იმპერიალისტების ბანაკში ინტერესთა წინააღმდეგობების გაღრმავებაზე, რაც ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის მეტად სერიოზულ საფრთხეს ქმნის. კაპიტალისტურ ჯგუფების შეთანხმებანი თუ გაერთიანებანი მშვიდობიანობის საქმეს კი არ უწყობენ ხელს, არამედ ნიადაგს უმზადებენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეიარაღებულ შეტაკებებს.

და რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობა უკიდურესობამდე გამწვავებულია, ეს უდავო ფაქტია. აიღეთ საფრანგეთ-იტალიის დამოკიდებულება. ფრანგი კომუნისტი, ამხ. კაშენი, რომელმაც ამის შესახებ შეკითხვა შეიტანა დეპუტატთა პალატაში, ამბობს: ალპების ორივე მხარეზე ჯარებს უყრიან თავს. სწორედ მაშინ, როცა ჟენევაში მიმდინარეობს ერთა ლიგის საბჭოს სხდომები, იტალიის და საფრანგეთის იმპერიალიზმი ერთმანეთზე თავდასხმისათვის ემზადებიანო.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ ნათელყოფს, რომ ერთა ლიგა, რომლის მზეს ლოცულობენ სოციალ-დემოკრატები, თითქო ის მშვიდობიანობის განმამტკიცებელი ორგანიზაცია იყოს, — სრულ არარაობას წარმოადგენს ამ მხრივ, ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, თვითონ არის ომის ერთ-ერთი ფაქტორი, რამდენადაც ის წარმოადგენს მსხვილ იმპერიალისტურ ქვეყნების ბრძოლის ასპარეზს ერთი მეორის წინააღმდეგ და მასთან იარაღს სხვა ხალხების დასამონებლად.

თვით იტალია-საფრანგეთის დავა წარმოებს კოლონიებისათვის. ფაშისტური იტალია იმპერიალისტური გაფართოების გზას ადგია. და ეს შეიძლება მოხდეს უმთავრესად საფრანგეთის ხარჯზე, რომლის კოლონიალური სამფლობელოებზე მუსოლინი თვალებს აცეცებს. ამ საკითხში მუსოლინს მხარს უჭერს ინგლისი; უკანასკნელი დაინტერესებულია საფრანგეთის შესუსტებით, ვინაიდან მძლავრი საფრანგეთი მისი საშიში მოქიშპეა ევროპის კონტინენტზე.

ამავე მიზნით ლონდონის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საფრანგეთის და გერმანიის დაახლოვება, რასაც საფუძველი ტუარში ჩაეყარა, ფართე ხასიათი არ მიიღოს. ამიტომ ჩემბერლენი ემხრობა გერმანიის მთავრობის მოთხოვნას ზოგიერთ ოკუპაციაქმნილ ოლქის დაბრუნების შესახებ.

ჯერ-ჯერობით ინგლისის მიზანს არ შეადგენს ევროპაში ურთიერთობის ისეთი გამწვავება, რომელსაც ომი მოჰყვება დასავლეთის ცალკე ქვეყნებს შორის. ის ცდილობს გამოიყენოს იტალია-საფრანგეთის, საფრანგეთ-გერმანიის ინტერესთა წინააღმდეგობანი, რათა გამოვიდეს არბიტრად მათ შორის და თავისი ხელმძღვანელი როლი აღადგინოს ევროპის პოლიტიკაში.

ამავე დროს ლონდონის მთავრობას ევროპის სახელმწიფოთა ერთგვარი შეთანხმება ესაჭიროება მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად, რომლის ცდისათვის მას თავი არ დაუნებებია. ამ მხრივ საგულისხმოა ცნობილ ავგურის უკანასკნელი გამოსვლა „ფორტნაიტლე რევიუ“-ში; ავგური, რომელიც ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზრახვებს გამოხატავს, აშკარად ამბობს, რომ საჭიროა ინგლისის ხელმძღვანელობით ევროპის ძალების გაერთიანება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისათვისო.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ ცდას ისეთივე ბედი ეწევა, როგორც წინადელ ცდებს. ამის საბუთს გვაძლევს ინტერესთა გადაულახავი წინააღმდეგობანი, რომელნიც ღრღნის ევროპის ქვეყნებს და ჩვენს წინააღმდეგ შეთანხმებულად გამოსვლის საშუალებას უსპობს. არა ნაკლებ საყურადღებოა, რომ ევროპაში რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება, მუშათა მასსების გამემარცხნება წარმატებით მიმდინარეობს და ამ მხრივ იმპერიალიზმს ზურგი სრულებითაც არ აქვს მტკიცე, ისე როგორც მისი მდგომარეობა ძალზე შერყეულია აღმოსავლეთშიაც (ჩინეთი). ამასთან განსაკუთრებით ხაზგასასმელია თვით საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი გაძლიერება, რაც ჩვენს მტრებს გასაქანს არ აძლევს.

თუ ერთიანი ფრონტით გალაშქრება საბჭოების წინააღმდეგ დღეს-დღეობით იმპერიალისტების ძალ-ღონეს აღემატება, სამაგიეროდ შესაძლებელია თვით ევროპის ქვეყნებ შორის უფრო გამწვავდეს ურთიერთობა, თვით შეიარაღებულ შეტაკებამდე. და ყველაზე უფრო აღსანიშნავი აქ ის არის, რომ სოციალ-დემოკრატია ამას ხელს აფარებს და კაპიტალიზმის პირობებში მშვიდობიანობის განმტკიცების აზრს უნერგავს მასსებს. მაგრამ აშკარა ფაქტების მიფუჩეჩება ადვილი საქმე როდია. სოციალ-დემოკრატიის გამცემლობა აქაც ნათელი ხდება მუშათა კლასისათვის, რომელიც ფხიზლად ადევნებს თვალყურს იმპერიალისტების მზადებას ომისათვის.

არჩევნები კოოპერაციაში

ამჟამად ჩვენში მიმდინარეობს სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითადი ქსელის, ნაწილობრივ აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობათა ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები. არჩევნების მასალები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა მეტ წილად საკმაო აქტივობას იჩენს და ცხოველადაა დაინტერესებული კოოპერაციის ბედით. ჩვენ ყოველი ზომა უნდა მივიღოთ, რათა ეხლანდელმა არჩევნებმა ხელი შეუწყონ მასსების შემდგომ კოოპერატიულ დარაზმვას, მათში კოოპერატიული შეგნების უფრო განმტკიცებას.

პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერატიულ გამგეობათა მხრივ თავის მოღვაწეობის ანგარიშების წარდგენას ამომრჩეველთა წინაშე და უკანასკნელთა დამოკიდებულების გამოაშკარავებას ამ მოღვაწეობისადმი. საანგარიშო მოხსენებაში უნდა იქნეს მიცემული უტყუარი სურათი არა მარტო მიღწევების, არამედ მუშაობის ნაკლულევანებების. აუცილებელია ჩამოთვლა, იმის, თუ რის გაკეთება იყო საჭირო, მაგრამ ვერ გაკეთდა, და რა იყო ამის მიზეზი, ხელის დაფარება უარყოფითი მხარეებზე და სინამდვილის შელამაზება დაუშვებელია. და აქ კოოპერატიულმა მასამ უნდა გამოიჩინოს კრიტიკული უნარი გამგეობის მუშაობის შეფასებაში. კოოპერატივის წევრთა საერთო კრებამ სრულიად დაურიდებლად უნდა გაარჩიოს და შეამოწმოს წარმოდგენილი ანგარიში და მიუდგომელი მსჯავრი გამოიტანოს ხელმძღვანელ ორგანოს საქმიანობის შესახებ.

რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება გამგეობის მუშაობაში? უწინარეს ყოვლისა აქ წამოიჭრება საქონელზე ფასების დაკლების და მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის მიწოდების საკითხი. რა მოიმოქმედა ამ მხრივ გამგეობამ, როგორ გაატარა მომჭირნეობის რეჟიმი, მუშაობის რაციონალიზაცია და სხ.,—ეს მზის სინათლეზე უნდა იქნეს გამოტანილი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღარიბ გლეხთა ჩაყოლას კოოპერაციაში. მაგრამ ამას აფერხებს არა მარტო მისი ჩამორჩენილობა, არამედ სწორედ სიღარიბე,—ღარიბ გლეხებს უძნელდებათ საწევრო და საპაიო გამოსაღებთა გადახდა. რა გააკეთა გამგეობამ მოსახლეობის ღარიბ ფენებისათვის კოოპერატივის წევრად შესვლის გაადვილებისა და ხელის შეწყობისათვის,—ამ საკითხს გვერდს ვერ აუვლის ვერც გამგეობა და ვერც საერთო კრება.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კოოპერაციაში ჯეროვანი ყურადღების ღირსია. კოოპერატიული იდეების გავრცელება ხალხში, საამისო წრეების მოწყობა, სათანადო ლიტერატურის მიწოდება მოსახლეობისათვის და მრავალი სხვა—ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ხალხის კოოპერატიული შეკავშირებისა და მისი კოოპერატიული შეგნების ამაღლებისათვის. როგორი იყო ამ მიმართულებით გამგეობის საქმიანობა,—ეს საკითხიც სავსებით უნდა გამოირკვეს მიმდინარე არჩევნებში.

კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა საერთოდ მძიმეა. მას საკუთარი საშუალებები ძალიან ცოტა გააჩნია და ის ნასესხი თანხებით მუშაობს, ეს გარემოება აძვირებს საქონელს. ჩვენი მუშაობა იქითკენ უნდა წარვმართოთ, რომ ნასესხი საშუალებები თანდათან შემცირდეს და ბოლოს მინიმუმამდე დავიდეს საკუთარი კაპიტალების შექმნის გზით. შინაკოოპერატიული დაგროვება შეიძლება მომჭირნეობის მტკიცე გატარებით, ხარჯების უკიდურესობამდე შემცირებით, ნორმალური მოგებით და საპაიო გამოსაღებათა შემოტანით, კერძოთ უნდა აღინიშნოს, რომ საპაიო გამოსაღები რიგიანად არ შემოდის, გარდა ამისა მისი განაკვეთი საერთოდ დაბალია, რაც, სხვათა შორის, ასუსტებს კოოპერატივთან მის წევრთა მატერიალურ კავშირს და კოოპერატიული საქმეებით დაინტერესებას. რა ნაბიჯებია გადადგმული კოოპერაციის დასაყენებლად საკუთარ ფასებზე, არჩევნების დროს ამ საკითხს თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეთმოს.

როცა ვლაპარაკობთ კოოპერაციის საშუალებათა გაძლიერებაზე, აქ არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ მოსახლეობის ანაბარების მოზიდვას (საკრედიტო კოოპერაციაში). სოფლად ეხლა საგრძნობი თავისუფალი თანხები მოიპოვება, რომლებიც ზოგან უქმად აწყვია. საჭიროა ამ მხრივ შესაფერი იდეურ და ორგანიზაციულ მუშაობის გაძლიერება და მატერიალურ დაინტერესების პირობების შექმნა. მოსახლეობის საშუალებათა მოზიდვა და მათი დროებითი გამოყენება დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც მშრომელ მოსახლეობას, ისე სახელმწიფოს სასოფლო მეურნეობის აღორძინების და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში.

საკრედიტო ამხანაგობის მუშაობის შეფასების დროს, ცხადია, უმთავრესი ადგილი დაეთმობა იმას, თუ რა დახმარებას უწევს ის მშრომელ გლეხობას მეურნეობის განვითარებაში. რა თქმა უნდა, კრედიტს უნდა ღებულობდენ პირველ რიგში შეუძლო მეურნეობანი. რამდენად დგას ამ მხრივ თავის დანიშნულების სიმაღლეზე საკრედიტო ამხანაგობა და როგორია მისი მოღვაწეობის სამეურნეო ეფექტი,—ამაზე იქონიებს მსჯელობას საზოგადო კრება.

ძველი გამგეობის მოღვაწეობის ყოველმხრივი აწონ-დაწონვის შემდეგ ამორჩეული იქნება ახალი ხელმძღვანელი ორგანო. ეს მთავარი მომენტია არჩევნებში. ზედმეტია ლაპარაკი, რომ ახალი ამომრჩეველთათვის კანდიდატების გარედან მოხვევა შეუძლებელია და ამას არც ექნება ადგილი. საჭიროა ახალი კანდიდატების საფუძვლიანად შეფასება და ისეთ პირების გაყვანა, რომელნიც აღჭურვილნი არიან მოსახლეობის ნდობით, გამოცდილება აქვთ ამ დარგში, მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე დგანან და კოოპერატიულ იდეის ერთგული არიან. ცხადია, ძველი გამგეობიდან უნდა დარჩენ ისეთი ელემენტები, რომელთაც საქმით დაამტკიცეს თავის უნარიანობა და გაამართლეს ამომრჩეველთა იმედი. თუ როგორი იქნება ახალ ხელმძღვანელ ორგანოს შემადგენლობა, ეს მეტ წილად სწყვეტს კოოპერატივის მომავალ ბედს. ამიტომ მის არჩევას სათანადო სიფრთხილით უნდა მიუდგეს საერთო კრება.

ამავე დროს კრებამ უნდა გამოიმუშაოს საქმიანი პროგრამა, რომლის განხორციელებას იგი დააკისრებს მომავალ გამგეობას. და კრების ეს დირექტივები „ცნობისათვის“ კი არ უნდა მიიღოს გამგეობამ, როგორც ხანდახან ხდება, არამედ თავის მუშაობაში უნდა ემყარებოდეს ამ დირექტივებს.

არჩევნების სწორად და წარმატებით ჩატარებას კოოპერაციაში ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ. არჩევნებში უნდა გაიშალოს კოოპერატიული მასის აქტიობა, მათ ხელი უნდა შეუწყონ იმ აზრის უფრო გაღრმავებას, რომ კოოპერაცია ჩვენს პირობებში სოციალისტური მშენებლობის მთავარი გზაა სოფლად.

მ. ლ—ძე.

ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია

11 დეკემბრის დილის სხდომა

განჯა, 11 დეკემბერი. სესიის 11 დეკემბრის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით დილის 10½ საათზე.

დღის წესრიგი.

მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: **აზერბეიჯანის მთავრობის მოხსენება; განჯის სამაზრო აღმასკომის მოხსენება; მოხსენებები ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მრეწველობის შესახებ, ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მოსახლეობის აღწერის ამოცანებისა და მისი წარმატებით ჩატარების პირობების შესახებ, ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ ა.-კ. ცაკის მეორე სესიიდან მესამე სესიამდე მიღებულ დეკრეტების და დადგენილებების დამტკიცება.**

ამიერ-კავკასიის ცაკის წევრის ამხ. **მუხტარ ფატალის** წინადადებით, სესია ადგენს განჯის სამაზრო აღმასკომის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნეს ცნობა ლენინაკანის მიწისძვრის შესახებ.

აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს საქმიანობა

ამხ. მუსაბეკოვის მოხსენება

აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოხსენებას აკეთებს აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მუსაბეკოვი.**

სახალხო მეურნეობის აღდგენა

„საანგარიშო წელი,—ამბობს ამხ. მუსაბეკოვი,—იყო აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესის დამთავრების წელი. სასოფლო მეურნეობის პროდუქციამ ომამდე არსებულ დონეს წააცილა 6 პროცენტით. ომამდე არსებულ დონეს გასცილდა აგრეთვე მრეწველობის ზოგიერთი დარგები, ხოლო დანარჩენები მალე მიაღწევენ მას. ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე სახალხო მეურნეობის ძირითად გადახალისების საქმეში. კულტურულ მიღწევების მხრით ჩვენ გავამაგრეთ წინად დაკავებული პოზიციები და განვაგრძობთ წინსვლას.

საანგარიშო წელს მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ აგრეთვე გეგმიანობის განმტკიცების საქმეში. 1925—26 წლის სამუშაოთა გეგმა იყო ასე თუ ისე რეალური გეგმა მუშაობის უმრავლეს დარგებში.

თუმცა რიცხვრობრივათ აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო მრეწველობის ხვედრითი წონა არც ისე მნიშვნელოვანია, მიუხედავათ ამისა, მე დავიწყებ მისგან.

მრეწველობა

აზერბეიჯანის მრეწველობა გარდა „აზნევთის“ და „კასპარის“, რომელთაც სრულიად საკავშირო მნიშვნელობა აქვთ, ს. მ. უ. საბჭოს სახით აერთიანებს 16 ტრესტს. მაგრამ მათ რიცხვში შედის მცირე მნიშვნელობის მქონე წარმოებები, როგორც მაგალითად ზომა-წონის პალატა და სხვ. ამას უნდა მიუმატოთ არსებულ წარმოებათა უმრავლესობის დაძველებული მოწყობილობა, გაცვეთილი მანქანები და სხ.

მაგალითის სახით მოვიყვან შემდეგ ფაქტს: საფეიქრო მრეწველობაში—ლენინის სახელობის ფაბრიკაში დაზგებმა განუწყვეტლივ 20—25 წელიწადი იმუშავეს; თვით განჯის ახალ ფაბრიკაშიც კი მოწყობილობა არ არის რიგიანი. საბრუნავ თანხების მდგომარეობაც მეტად მცირე იყო. ყველა ამან ძალიან შეაფერხა აღორძინების პროცესი. მაგრამ, ამ პერიოდში მრეწველობამ მაინც მნიშვნელოვანი მიღწევები გააკეთა. საერთო პროდუქცია ამ უკანასკნელ სამ წელში ერთი ორად გაიზარდა: 1923—24 წელში საბითუმო გასაცემ ფასების მიხედვით დამუშავებულ იქნა 11,6 მილ. მან. საქონელი; 1924—25 წელში—15,7 მილ. მან. და 1925—26 წ.—27,2 მილ. მან. ყველა წარმოებების წმინდა მოგება 1925 წელში უდრის 509.000 მანეთს.

უკეთებ რა ჯამს 1925—26 წელს ცალკე წარმოებების მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობისათვის ეს წელი არსებითად წარმოადგენს სუსტი საწარმოო გეგმისა და ყველა შესაძლებელ გარემოებათა აღრიცხვის პირველ წელს, როგორც ნედლეულის მომარაგების, ისე შრომის ნაყოფიერების, საამორტიზაციო ანარიცხების და სხ. მხრივ.

ნავთის წარმოება.

აზერბეიჯანის ნავთის უდიდესი მეურნეობა განაგრძობს თანდათანობით განვითარებას საწვავი მასალის კრიზისის საფრთხე და ძველ საექსპლოატაციო მოედნების გამოფიტვა გვიკარნახებენ ბურღვის გაძლიერებას ყოველმხრივ. ამ მხრივ პროგრამა 105 პროცენტით არის შესრულებული, ამასთან უკვე დასრულებულია 394 ჭის ამოთხრა წელს. აშკარად სჩანს, რომ ბურღვის საქმე რაციონალურად არის დაყენებული. წელს გაბურღული ნიადაგის საერთო ჯამი მაქსიმალურია ბაქოს ნავთის მრეწველობის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში: 1899 წელს გაბურღულია 85.800 საჟ., 1920—1921—1.600 საჟ., 1925—26 წ. 95.000 საჟ. ნავთის ამოღებისა და გაზის დამუშავების პროგრამა შესრულებულია თითქმის 100 პროცენტით (346 მილ. ფუთი). 1923 წელთან შედარებით ამოღება შეადგენს 75 პროცენტს. სარეწავების ელექტროფიკაციამ უდიდესი საქმე გააკეთა. დიდი მიღწევები გვაქვს, აგრეთვე, საწვავი მასალის ეკონომიის მხრივ—ადგილობრივ გასულ წელში დაიხარჯა მთელი ამოღებული ნავთის 7,8 პროც., ე. ი. ორჯერ ნაკლები 1922 წელთან შედარებით. ნავთის პროდუქციის გადამუშავება განხორციელებულია 100 პროცენტით.

საჭიროა აღინიშნოს ძველი წყაროების გამოფიტვის არასასიამოვნო ფაქტი: დღიური ამოღება ძველი ჭებიდან მიმდინარე წლის ამ უკანასკნელ 9 თვეში შემცირდა 20 პროცენტით, აქედან უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა გამოკვლევისა და ბურღვის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. მიმდინარე წლის პროგრამა გულისხმობს ამოღების გადიდებას 13 პროცენტით წარსულ წელთან შედარებით. „აზნეფტის“ მუშის საშუალო თვიური ხელფასი 1925 წლის აგვისტოში შეადგენდა 61,1 მან., ხოლო მიმდინარე წლის სექტემბერში—71,4 მანეთს.

საფეიქრო მრეწველობა.

ნავთის მრეწველობის შემდეგ მნიშვნელობით მეორე ადგილი უჭირავს საფეიქრო მრეწველობას, რომელიც აზერბეიჯანში წარმოადგენილია 2 ფაბრიკით: ბაქოში და განჯაში. პირველი ფაბრიკის საერთო პროდუქცია 1924—25 წელს შეადგენდა 12,7 მილ. არშინს, ხოლო 1925—26 წელს 20,4 მილ. არშინს, ე. ი. გაიზარდა 59 პროცენტით. ომამდე, თუ ვიანგარიშებთ 8 საათის სამუშაო დღეს, წელიწადში მზადდებოდა 13 მილ. არშინი. როგორც ხედავთ, მიღწევა ფრიად მნიშვნელოვანია. ის აიხსნება წარმოების გაფართოებით და რაციონალიზაციით, მეორე წყების შემოღებით და შრომის ნაყოფიერების გადიდებით. ჩატარებულ იქნა კაპიტალური რემონტი. ახლო მომავალში განზრახულია დაძველებულ მოწყობილობის შეცვლა ახალი მანქანებით, რომელთაც გამოვიწერთ ინგლისიდან. ახლად გაშენებული განჯის მაუდის ფაბრიკა მუშაობას შეუდგა მხოლოდ წარსულ საოპერაციო წლის ნახევრიდან. მუშაობის გეგმიანათ გაფართოებას ხელს უშლიდა მუშა ხელის და კვალიფიკაციურ ტეხნიკურ პერსონალის უქონლობა და მანქანების სიძველე. მუშაობის პროცესში ამ დაბრკოლებებს ბოლო ელება. პროდუქცია შესამჩნევად გაიზარდა. ივლისში ის უდრიდა 3.500 მეტრს, ხოლო სექტემბერში—7.500 მეტრს. აზერბეიჯანის აბრეშუმის სამმართველოს ხელშია 5 აბრეშუმის სახვევი და 1 აბრეშუმის სართავი ფაბრიკა. აზერბეიჯანის აბრეშუმის სამმართველოს საწარმოო პროგრამა წარსულ წელს მხოლოდ 85 პროცენტით იქნა შესრულებული, რაც აიხსნება ნედლი მასალის ნაკლებობით. მუშა ხელი წლის განმავლობაში 75 პროცენტით გაიზარდა. მოგება 100 ათას მანეთამდე აღწევს. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის 4 სადგურზე დამზადებულ იქნა 28.800 კოლოფი აბრეშუმის თესლი. საანგარიშო წელს გაიხსნა მეხუთე სადგური და 1927 წელს დამზადებულ იქნება 48.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

არ შევეხები მრეწველობის სხვა დარგებში გაწეულ მუშაობას, რადგან ეს ბევრ დროს წაგვართმევს. თითქმის ყველა ისინი ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდენ; მათ შორის ისეთებმა, რომელნიც წარსულში დეფიციტიანი იყვნენ, საანგარიშო წელი უდეფიციტოთ დაამთავრეს, ხოლო ზოგიერთებს მოგებაც აქვთ.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სამთამადნო მრეწველობის თანდათანობითი ზრდა. საანგარიშო წლის განმავლობაში აღდგენილ იქნა ბარიტის ორი მაღარო. შრომის ნაყოფიერება ს. მ. უ. საბჭოს წარმოებაში იზრდება. ის გარემოება, რომ ს. მ. უ. ს. ზოგიერთმა წარმოებამ ვერ შეასრულა სავსებით პროგრამა აიხსნება ნედლი მასალის სიმცირით, რის თავიდან ასაცილებლად მიმდინარე წელს საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება.

მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის ჩატარების შედეგად 22 დაწესებულებაში (აზნავთისა და კასპარითურთ) ამა წლის 1-ლ ოქტომბრამდე მივიღეთ 800.000 მან. ეკონომია. გვაქვს, აგრეთვე, მიღწევები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში.

კერძო კაპიტალი.

ერთგვარ წარმოდგენას კერძო კაპიტალის მონაწილეობაზე აზერბეიჯანის მრეწველობაში იძლევიან აზერბეიჯანის ცენტრ. სტატ. სამმართველოს ცნობები. ცენზიან წარმოებათა, კერძო და იჯარით გაცემულ წარმოებათა რიცხვი, ნავთის მრეწველობის ჩათვლით, შეადგენს აზერბეიჯანის წარმოებათა 6,2 პროცენტს (სახელმწიფო—75,8 პროც.; კოოპერატიული—18 პროც.). კერძო კაპიტალის პროდუქცია შეადგენს აზერბეიჯანის მთელი პროდუქციის 1,4 პროცენტს.

საბჭოთა მშენებლობა.

მიმდინარე წელს საჭიროა დასრულდეს განჯის სართავ-საქსოვი ფაბრიკა 66 ათასი თითისტარით (გაღებულია 2 მილიონი მანეთი). აბრეშუმის სართავ ქარხნის ასაგებად ნუხაში, რომელიც თავის სიძლიერით პირველ ადგილს დაიჭერს მთელ საბჭოთა კავშირში, გადადებულია 600.000 მანეთი. დანარჩენი ორი საფეიქრო ფაბრიკის მოწყობილობის გასაახლებლად გადადებულია დაახლოვებით 1 მილიონი მანეთი. 200.00 მანეთი აბრეშუმის სართავ ფაბრიკისათვის მთიან ყარაბახში. 1 მილიონი მანეთი შეტანილია სამთო მრეწველობაში, ხოლო 594.000 მან. ცემენტის მრეწველობაში. დაბოლოს მნიშვნელოვანი თანხა არის გადადებული ახალ მოწყობილობაზე და აზერბეიჯანის თევზის მრეწველობაზე (840.000 მ.). ელექტროფიკაციის მხრივ ყურადღებას იპყრობს 4 პუნქტი: არაქსი, ტერტერი, მტკვარი ყარასახკალასთან და სამური. ენერგიის მოცემის მხრივ თვითეულმა მათგანმა უნდა გადააჭარბოს ვოლხოვის ჰიდროელსადგურს. ჯერჯერობით არ არის ამორჩეული ადგილი.

ამჟამად სწარმოებს დამატებითი გამოკვლევა და საბოლოო პროექტის შემუშავება ყარასახკალასა და ტერტერასთვის. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს განზრახული აქვს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სრულუფლებიანი კომისიის გაგზავნა ამიერკავკასიის ჰიდროელსადგურისათვის ადგილის ამოსარჩევად.

დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ჯულფა-ბაქოს რკინის-გზის გაყვანა, რომლის ლიანდაგის დაგებაც მიმდინარე წელში აყვანილია 232 ვერსამდე. წლის განმავლობაში შესრულებულია სააღმშენებლო გეგმის 78 პროც. დროებით კომერციულ ექსპლოატაციისათვის გამოყენებულია გზის ნაწილი ალიათიდან გორადიზამდე, სიგრძით 120 ვერსი. საზღვაო ტრანსპორტით გასულ წელში გადატანილია ნავთის პროდუქციის 21 პროცენტი.

ვჩერდები რა შრომისა და მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხზე, უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავ, რომ 1-ლი კატეგორიის სამუშაო ხელფასის დონე აზერბეიჯანში საშუალოდ გაიზარდა 20 პროცენტით. პროფკავშირის წევრთა რიცხვიც გაიზარდა 12 პროცენტი მეტით.

საბინაო მშენებლობა.

სერიოზული მიღწევები გვაქვს მუშათა საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დარგში. აზნავთმა ააშენა 676 სახლი 2850 ოთახით. ბაქოს საბჭომ—500-დე ბინა. კასპარმა—160 ბინა. აზერბეიჯანის საფეიქრო მრეწველობამ—105 ბინა. მაგრამ ყველა ეს ღონისძიებები ვერც კი აკმაყოფილებენ წინანდელ მოთხოვნილებას ბინებზე, თავი რომ დავანებოთ ფიქრს საბინაო კრიზისის მოსპობაზე.

სასოფლო მეურნეობა.

აზერბეიჯანის ეკონომიკის ძირითადმა დარგმა—სასოფლო მეურნეობამ გასულ წელს დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. 1925—26 წელში დათესილი იყო 936.000 დეს., ე. ი. მთელი სახნავი მიწის 62 პროც. საერთოდ ხორბლეულის მხრივ მივაღწიეთ ომის წინადროინდელი დონის 106 პროცენტს. ძვირფას კულტურებს შორის ფეხი მოიკიდა კანაფმა და აბუსალათინმა. მიწადმოწყობის დარგში დასრულებულია მუშაობა 506.000 დესეტინაზე. 1931 წელში მოსალოდნელია 156.000 დეს. მიწის მორწყვა. აგროპუნქტების ქსელი 14-დან 1922 წელში გაიზარდა 50-დე. 1914 წელთან შედარებით 1922 წელში იყო ცხენების 76 პროც., 1926 წ.—90 პროც. მსხვილფეხა საქონელი იმავე შეფარდებით—67 პროც. და 80 პროც., კამეჩი—70 პროც. და 90 პროც., ცხვარი—50 პროც. და 100 პროც. 1925 წელში განჯაში მოწყობილია ცენტრალური სელექციური სადგური, ამას გარდა არის მუღანის საცდელი სადგური მოზრდილი სათესი მინდვრებით, მირიმანოვის სახელობის თესლეულის მეურნეობა და ზაქათალის თამბაქოს საცდელი სადგური. გაშლილია მეტეოროლოგიურ სადგურების ქსელი. აგროდახმარებას პირველი ადგილი უჭირავს მოსავლიანობის გადიდებაში.

გლეხობისათვის გადასაცემად გამოყოფილია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე 49.000 დესეტ. რაოდენობით.

მიმდინარე წელს მოსალოდნელია 3,8 მილიონ ფუთი ბამბის მოსავალი. გასულ წელს ბამბის სათესმა მოედანმა მიაღწია ომის წინადროინდელი მოედნის 92 პროცენტს.

წყალთა მეურნეობა.

წყალთა მეურნეობაში 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის დამთავრებულ სამუშაოთა შორის უნდა აღინიშნოს შიხლინის არხი 13 ვერსის სიგრძით, მაღაგიზის—10 ვერსი და სხვ. გარდა ამისა შემუშავებულია გეგმა ახალი არხების ასაგებათ და არსებულთა გასაფართოებლათ. ჩვენს წინაშე სდგას მუღანის ველზე 220.000 დესეტინა მიწის მორწყვის გრანდიოზული პრობლემა. შესრულებულია დიდი მუშაობა ძველ სისტემების მორწყვითი უნარის გასადიდებლათ, რასაც შედეგათ მოჰყვა მრავალი ათასი დესეტინა მიწის მორწყვა. წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა გიაურ-არხის და კარასახკალის არხის ასაგებათ. პირველის სიგრძე უდრის 16 ვერსს, ხოლო მეორესი 42-ს. აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობა ყოველი წლით ფართოვდება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საანგარიშო წლის განმავლობაში გაიზარდა 166-დან 233 სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციამდე 57.000 წევრით; კოოპერაციის ბრუნვა 2,5 მილ. მანეთიდან 5 მილიონ მანეთამდე ავიდა.

იზრდება კომუნალურ მეურნეობის და მაზრების ადგილობრივ მრეწველობათა შემოსავალი. გვაქვს 16 სამაზრო ელექტრო-სადგური. ტელეფონის ქსელი საანგარიშო წლის განმავლოაში 2.100 ვერსიდან 2.800 ვერსამდე.

საარჩევნო კამპანია.

უკანასკნელ საარჩევნო კამპანიის დროს საარჩევნო კრებებზე გამოცხადების პროცენტი ასეთი იყო: მამაკაცები—60-დან 80 პროცენტამდე, ქალები—40 პროცენტამდე. არჩევნებში უპირველესი ადგილი ეჭირათ საშუალო და ღარიბ გლეხებს—90 პროცენტი. სასოფლო საბჭოებში შეძლებული გლეხები შეადგენენ—3,7 პროც., საშუალო გლეხები—46,3 პროც., ღარიბი გლეხები და მუშები—39,7 პროც., მოსამსახურეები—10,3 პროც.

შინა-ვაჭრობა.

შინა-ვაჭრობაში გასული წლის განმავლობაში საგრძნობი იყო აღებმიცემობის, როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური სექტორის ზრდა, ადგილი ჰქონდა აგრეთვე საცალო ფასების ზრდას საქონლის ნაკლებობის გამო, მოისუსტებდა აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობაც.

კერძო კაპიტალის ხვედრი წონა, დაწყებული 1923 წლიდან ეცემა.

ვაჭრობის განზოგადოებული სექტორის ბრუნვის ზრდის ტემპი გაცილებით უფრო ჩქარია, ვინემ კერძო სექტორის. კოოპერაციამ უმთავრესი როლი დაიკავა შემოზიდულ საქონლის განაწილებაში.

ბიუჯეტი.

აზერბეიჯანის 1925—26 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებული იყო შემდეგი რაოდენობით: შემოსავალი—10.545.000 მან., გასავალი—20.239.000 მანეთი.

გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 40-ზე მეტი პროცენტით.

კულტურული მუშაობა.

სახალხო განათლებას წინანდებურად გაძლიერებულ ყურადღებას აქცევდა მთავრობა. ხარჯები კულტურულ მიზნებისათვის 1923—24 წელთან შედარებით (8.800.000 მან.) თითქმის ორჯერ გაიზარდა. პირველი საფეხურის სკოლებში მასწავლებელთა მხოლოდ 24 პროცენტი უმაღლეს და საშუალო განათლებით არის, დანარჩენები კი—დაბალი და შინაური განათლებით. ამიტომ საჭირო იყო დიდი ყურადღების მიქცევა მასწავლებელთა გადამზადებისათვის. მომზადებულ პედაგოგიურ პერსონალის სიმცირის გამო პედაგოგიურ ტეხნიკუმების რიცხვი აყვანილ იყო 16-დე, სადაც 2.000 კაცი სწავლობდა, აქედან 600 ქალი. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში ჩაბმული იყო 30000 მცხოვრები, აქედან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა დაამთავრა 20.00 კაცმა.

სამკურნალო საქმე აზერბეიჯანში წელს ხასიათდება მაზრებში სამკურნალო ქსელის გაძლიერებით.

სასამართლო საგამომძიებლო ორგანოების ქსელი მაზრებში არ არის საკმარისი, თვითეულ უბანზე მოდის 50 ათასი მცხოვრები. რევოლიუციონურ კანონიერების იდეა ღრმად აქვთ შეთვისებული ადგილობრივ მუშაკებს. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა პოლიტიკის და მეურნეობის ყველა გადაუდებელ საკითხებს შეეხო.

ეროვნული პოლიტიკა.

დასასრულ ცოტა ხანს უნდა შევჩერდე აზერბეიჯანის ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკაზე და იმ მტკიცე ეროვნულ მშვიდობიანობაზე და ეროვნებათა მეგობრობაზე, რომელიც ამ 6½ წლის განმავლობაში არასოდეს არ დარღვეულა და თანდათან მტკიცდება.

პირველი საფეხურის 440 სკოლიდან 190 არის სომხური, 132 რუსული და 61 სხვა ეროვნებათა სკოლები. კიდევ უფრო სრულად არიან წარმოდგენილნი ეროვნული უმცირესობანი მეორე საფეხურის სკოლებში, სადაც 9.199 მოსწავლიდან არის 2.459 თურქი, 1.982 სომეხი. 939 რუსი და 1.456 სხვა ეროვნებების მოსწავლეები.

აი, ამხანაგებო, მოკლე ცნობები აზერბეიჯანის მთავრობის მუშაობის შესახებ. წარსული წელი იყო დაუღალავი მუშაობის წელი ყველა დარგში; უდავოა, რომ ამ წელს გადავდგით, მართალია არა დიდი, მაგრამ სწორი ნაბიჯი აქ, აღმოსავლეთის კარში სამაგალითო რესპუბლიკის შექმნისაკენ, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფით. ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით და ერთი მეორისათვის მხარში ამოდგომით აზერბეიჯანი უმოკლეს ხანში დასძლევს მის გზაზე აღმართულ ყველა სიძნელეებს და მათში მთავარს—თავის კულტურულ ჩამორჩენილობას, მტკიცე საძირკველს ჩაუყრის თავის მრეწველობას, თავის განვითარებაში დაეწევა საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებს და მათთან ერთად მიაღწევს სრულ სოციალისტურ საზოგადოებას.

ამხ. მუსაბეკოვის შემდეგ, მოხსენებით განჯის სამაზრო აღმასკომის საქმიანობის შესახებ გამოდის განჯის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ვეზიროვი.**

განჯის აღმასკომის მუშაობა

ამხ. ვეზიროვის მოხსენება

სამეურნეო საკითხები.

უკანასკნელ დროს განჯის აღმასკომის მუშაობა მიმართული იყო უმთავრესად სამეურნეო საკითხების გადაჭრისაკენ მაზრაში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მიწების და საძოვრების საქმეებს, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა უმთავრესად მიწის მუშაობას და მესაქონლეობას მისდევს.

წყალთა მეურნეობა.

მაზრაში ბევრია მიწა, რომელიც სათესად გამოდგება იმ შემთხვევაში, თუ ამ მიწების მორწყვა მოწესრიგებული იქნება. ასეთი მიწებიდან, ცენტრის წინაშე სათანადო შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ, ჩაიკენდის რაიონს მიეკუთვნა 2.000 დესეტინა, ბაიანის რაიონსაც—ამდენივე. სულ ამრიგად გამოყოფილ იქნა დამატებით 7.000 დესეტინამდე მიწა.

სამაზრო აღმასკომს განზრახული აქვს ცენტრის დახმარებით დაუყოვნებლივ შეუდგეს მორიგ მიწების მორწყვას. ა.-წ. იანვრის შუა რიცხვებში მოწყობილი კომუნალური ტრესტი აერთიანებს 24 სხვადასხვა წარმოებას (ყოფილი ქარვასლა, ბაღი, აბანოები და სხვ.).

საბჭოთა აღმშენებლობა

ტრესტმა ააგო აგურის ქარხანა, რომელიც სულ ამ ორი თვის წინად შეუდგა მუშაობას და უკვე აქვს დაკვეთილი 100.000 აგური.

ეხება რა ქალაქისათვის ელექტრონის სინათლის მიწოდებას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არსებული 277 ცხენის ძალიანი ელექტრო-სადგური ვერ აკმაყოფილებს ქალაქს.

კულტურული მუშაობა.

მიმდინარე სამოსწავლო წელს მოსწავლეთა რიცხვი აყვანილია 16,150-დე. ზაფხულის სეზონის განმავლობაში სრული რემონტი გაუკეთდა მაზრაში ყველა სკოლების შენობათა 90 პროცენტს. მასწავლებელთა რიცხვი რამდენიმედ გაიზარდა. განჯის მაზრიდან განათლების სახალხო კომისარიატის სამასწავლებლო კურსებზე მეცადინეობდა 50 მსმენელი. ბაქოდან მაზრაში გაიგზავნა უმაღლესი განათლების მქონე 6 მასწავლებელი.

საბინაო მშენებლობა.

ახალ ფაბრიკა-ქარხნების აგება არსებითად გავლენას ახდენს ქალაქის გაფართოებაზე. შემოსულია 1.000-დე განცხადება შენობების ასაგებად მიწების დათმობის შესახებ. ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებამ უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში 300-დე განცხადება დააკმაყოფილა მიწის დათმობით. —

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ქალაქისათვის სასმელი წყალის მიწოდების საკითხი. ქალაქის მთელ რიგ რაიონებში იწყობა წყალსადენები, მაგრამ ისეთი პრიმიტიული წესით, რომ მათი გადაკეთება აუცილებელი იქნება.

სამაზრო ბიუჯეტში შარშან გასავალი უდრიდა 405.315 მანეთს, წელს კი—257.157 მანეთს უდრის.

სას.-სამ. გადასახადი.

იმის გამო, რომ აგდაკენდის რაიონი მუსავატელების დროს დანგრეული იყო, გადასახადის საერთო რაოდენობიდან 1925—26 წელს ამ რაიონს აპატივა ნორმის ზევით 13.981 მანეთი.

წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მაზრაში დაახლოვებით 100.000 მანეთით გაიზარდა. ეს გადიდება მოხდა კულტურული მეურნეობის ხარჯზე. ღარიბი გლეხობის 20 პროცენტი სავსებით განთავისუფლებულია გადასახადისაგან.

საერთო მუშაობა.

ჯანმრთელობის საქმეში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. 1922—23 წელს სამკურნალო პუნქტების რიცხვი მაზრაში უდრიდა 9-ს, 1926—27 წელს გაიზარდა 26-დე. ქალაქში სამკურნალო დაწესებულებათა რიცხვი ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 8-დან 18-დე.

სამაზრო აღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევს საგზაო მშენებლობას.

ხვალ ჩვენ თქვენი თანადასწრებით გავხსნით გლეხის სახლს, სადაც ყოველ გლეხს, რომელიც ქალაქში ჩამოვა თავისი თუ საზოგადო საქმისათვის, საშუალება ექნება თავი შეაფაროს და მიიღოს ყოველგვარი ცნობა და რჩევა-დარიგება მისთვის საინტერესო კითხვაზე.

ბანდიტიზმი, რასაც ერთ დროს მაზრაში ადგილი ჰქონდა, აღმოფხვრილად უნდა ჩაითვალოს, მთელი რიგი ბანდებისა. ბანდიტების ნაწილი (დაახლოვებით თხუთმეტი კაცი) შერიგებული იქნა და ამ ჟამად მშვიდობიან შრომას ეწევა. ადმინისტრატიულმა ორგანოებმა გამოიჩინეს მუყაითობა, ისინი ღირსეულად იცავდენ მოქალაქეებს ყოველი სახის ბოროტმოქმედებისაგან.

მუშაობის ჯამი.

ვუკეთებ რა ჯამს ჩემს მოხსენებას, მე შემიძლია აღვნიშნო, რომ განჯა—ბეგების, ხანების და სასულიერო წოდების კონტრ-რევოლიუციის ყოფილი ბუდე 1920 წლიდან გარდაიქმნა და ამჟამად

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

პილსუდსკი და პროფკავშირები

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

პილსუდსკის დიქტატურის ფაშისტურ ხასიათს პოლიტიკურ დარგში გამოხატავს გადაუხვეველ კურსის აღება ძველი პოლიტიკური პარტიების და სეიმის განადგურებაზე და დამცირებაზე, აგრეთვე მთავრობის მიერ მჭიდრო კავშირის დამყარება საზოგადოებრივ კლასებთან მათი სამეურნეო ორგანიზაციების სახით. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა უკანასკნელ დროს გატარებულ ღონისძიებებში.

ოქტომბრის ბოლოს მთავრობასთან მოწვეულ იქნა მრეწველობის, ბანკების და ვაჭრობის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა „სამეურნეო პოლიტიკის წარმართვის“ საკითხი. მთავრობამ თათბირის შემადგენლობიდან გამოჰყო მუდმივი კომისია პოლონელ მრეწველთა კავშირის დირექტორის ვეროზბიცკის მეთაურობით. თავის მოხსენებაში ამ თათბირზე ვეროზბიცკიმ სრული ნდობა გამოუცხადა მთავრობას და სთქვა:

„სამეურნეო წრეები, რომელნიც ერთობ აპოლიტიური არიან, მთავრობის მოწოდებისთანავე გამოცხადდენ არა როგორც პოლიტიკოსები, ან შუამავალნი, არამედ როგორც სამეურნეო ცხოვრების ფაქტიური ორგანიზატორები“.

კერძოდ, მრეწველები მოითხოვდენ სოციალური კანონმდებლობის „გადასინჯვას“ სამუშაო დღის, შვებულებების და დაზღვევის დარგში.

ნოემბრის შუა რიცხვებში შესდგა ასეთივე თათბირი „სოფლის მეურნეობის“ წარმომადგენლებისაგან. ამ თათბირზე სჭარბობდენ და ტონს იძლეოდენ მემამულეები, მონაწილეობას იღებდენ კულაკების წარმომადგენლები და თვით სოფლის მუშების პროფკავშირის თავმჯდომარე, პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი კვაპინსკი. თათბირმა დაარსა მუდმივი კომისია მთავრობასთან მსხვილი მემამულის მეთაურობით.

დაბოლოს ნოემბრის ბოლო რიცხვებში შესდგა პროფკავშირთა წარმომადგენლების თათბირი. მოწვეულ იქნენ ყველა მიმართულების პროფკავშირთა, ე. ი. რეფორმისტულ, „ქრისტიანულ“, „ნაციონალურ“ და აგრეთვე მოსამსახურეთა პროფკავშირების წარმომადგენლები. პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვითომ „ოპოზიციაში“ უდგებოდენ მთავრობას, დიდი აღფრთოვანებით ჩასჭიდეს ხელი მთავრობასთან მიტმასნების შესაძლებლობას. ჯერ კიდევ თათბირამდე, რეფორმისტულმა ბელადებმა, მათ შორის, ბუნდოველებმაც თავიანთი პოზიცია შეუთანხმეს „ქრისტიანულ“ და ნაციონალისტურ ბელადებს ერთიანი ფრონტით გამოსასვლელად და საზეიმოდ „სრული ერთსულოვნება“ გამოაცხადეს. მთავრობის თათბირზე მართლაც სრული ერთსულოვნებით გამოვიდენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი კვაპინსკი, ბუნდოელი ალტერი და ქსენძი ვოიციცკი, რომელიც ილაშქრებდა სოციალიზმის და კლასთა ბრძოლის წინააღმდეგ.

მთავრობის წარმომადგენლებმა (დაესწრო ოთხმოცამდე მინისტრი), რომელნიც თათბირს ხელმძღვანელობდენ, განიმეორეს თავიანთი განცხადებები, რომელიც მათ მრეწველებთან გააკეთეს სოციალისტური კანონმდებლობის „მოწესრიგების“ აუცილებლობის შესახებ და გადაჭრით უარი სთქვეს მოსამსახურეებისათვის სიძვირის გამო ჯამაგირის ოდნავ მომატებაზე. ასევე მკაცრათ და უარყოფითად შეხვდენ მინისტრები მოკრძალებით გამოთქმულ სურვილებს საზოგადოებრივ სამუშაოების განვითარების და გადასახადის სიმძიმის შეძლებულ კლასებზე გადატანის შესახებ.

მაგრამ თათბირის ნამდვილი აზრი მდგომარეობს არა უნაყოფო ლაპარაკში, ან არსებითად ამა თუ იმ „სურვილში“, რომელიც რეფორმისტულმა და ყვითელმა ბელადებმა გამოსთქვეს. მისი მნიშვნელობა იმაშია, რომ ის პირველი გადამჭრელი ნაბიჯია, გადადგმული იქითკენ, რომ პროფკავშირები აქციონ ფაშისტური მთავრობის ორგანოდ, პროფკავშირთა მოძრაობის იარაღად.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ თათბირის დროს გამოვიდა ახალი პროფესიონალური ორგანო „სოლიდარნოსტ ტრუდა“, რომელსაც უშვებს პილსუდსკის მომხრეების პოლიტიკური ორგანიზაცია—ე. წ. „რესპუბლიკის გამსწორებების კავშირი“. ეს ორგანო მიზნად ისახავს „პროფმოძრაობის განთავისუფლებას პოლიტიკურ პარტიების გავლენისაგან“ და კლასიურ, ქრისტიანულ და ნაციონალისტურ კავშირების გაერთიანებას ყოველგვარ (მაშასადამე ამსტერდამის) ინტერნაციონალის გარეშე.

მთავრობის გეგმა გასაგებია. პილსუდსკის მთავრობა, რომელიც არსებითად წარმოადგენს კაპიტალისტურ სამრეწველო—აგრარულ ბურჟუაზიის მთავრობას, და რომელმაც (ყველა დანარჩენ მეთოდების გაკოტრების შემდეგ) ფაშისტური მეთოდებით იკისრა კაპიტალიზმის გადარჩენა პოლონეთში უცხოეთის კაპიტალის დახმარების იმედით, პირდაპირ დაუკავშირდა მრეწველობის და მემამულეების ორგანიზაციებს, რომელნიც მასთან მივიდენ არა როგორც „შუამავალნი“, არამედ როგორც „სამეურნეო ცხოვრების ორგანიზატორები“.

თათბირების მიერ დასახულ სამეურნეო პროგრამის გასატარებლად, ფაშისტური მთავრობა ხელში იგდებს პროფკავშირებს რომ გადააქციოს ისინი თავის „სასტაბილიზაციო“ ღონისძიებათა იარაღად. ამ მიმართულებით გადაიდგა პირველი ნაბიჯი რეფორმისტული და ყვითელი ბელადების მთელი შემადგენლობის მონაწილეობით. უფრო მეტი, შეთანხმებელთა მომხსენებელმა პროფკავშირთა ფაშიზაციის საკითხის გარშემო მოწვეულ თათბირზე, პპესის ბელადმა ზარემბამ წინადადება შეიტანა „შრომის ბირჟების“ მოწყობის შესახებ, რითაც უკარნახა მთავრობას მთავრობისაგან პროფკავშირების დამოკიდებულების განმტკიცების „კონსტიტუციონური“ ფორმა.

მაგრამ ამ ოპერაციის გატარებას დახვდება წინააღმდეგობა მეორე მხრიდან—პოლონეთის რევოლიუციონურად განწყობილ მუშების მხრიდან. ნამდვილად დღევანდელ მომენტში ყველა რეფორმისტულ და ყვითელ ბელადების გაერთიანება უკვე აღარ წარმოადგენს პოლონეთის მუშათა კლასის დარაზმულ აქტიურ ნაწილს. ეს დაამტკიცა ნოემბერში ჩატარებულმა არჩევნებმა ვარშავის სავადმყოფო კასის გამგეობაში, რამაც ნამდვილი ალიაქოთი გამოიწვია პოლონეთის სოციალისტური პარტიის და ბურჟუაზიის რიგებში. „მემარცხენე“ სიამ, რომელიც ყველა მის მოწინააღმდეგეებმა გამოაცხადეს „კომუნისტურ“ სიად, და რომელსაც არ ჰქონდა არც ერთი ლეგალური ბეჭდვითი ორგანო ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ე. ი. იმდენივე, რამდენიც პოლონეთის სოციალისტურ პარტიისა და ოფიციალურ პროფკავშირების სიამ ბუნდის სიასთან ერთად. ორი კვირის შემდეგ გროდნოში იმ მიზეზით, რომ ხელისუფლება დარწმუნებული იყო „მემარცხენეთა“ გამარჯვების აუცილებლობაში, გადაიდვა არჩევნები სავადმყოფო კასაში.

პროფკავშირების ფაშიზაციის ცდის წინააღმდეგ, ყოველ ეჭვს გარეშეა, აგორდება საპროტესტო ტალღა. კლასობრივ პროფკავშირების ცენტრალურ კომისიაში მემარცხენე ფრაქციამ უკვე შეიტანა განცხადება, რომლითაც ამჟღავნებს მთავრობის მიერ დაწყებულ ხრიკს შემთანხმებელთა და მოღალატეთა პირდაპირი მონაწილეობით და მოითხოვს ბოიკოტს იმ თათბირის წინააღმდეგ, რომელმაც გადაწყვიტა პროფკავშირების ფაშიზაცია.

ამასთან ერთდროულად მემარცხენე მუშათა წრეებში დაიბადა მუშათა ყრილობის მოწვევის აზრი ფაშიზაციის ზრდის წინააღმდეგ. ამ მუშათა ყრილობაზე თავი უნდა მოეყარათ მუშათა ფართო მასსების ნამდვილ წარმომადგენლებს, არჩეულებს პროფკავშირების დაბალი ორგანიზაციების მიერ—ფაბქარხკომებისა, უმუშევართა კომიტეტებისა და კოოპერატივების მიერ, დელეგატებს, არჩეულთ მუშათა საერთო კრებების მიერ წარმოებებში და აგრეთვე პოლიტიკურ მუშათა პარტიების წარმომადგენლებს. ყრილობის პროგრამაში შეტანილია მუშათა ყოფა-ცხოვრების ყველა საარსებო მწვავე საკითხები, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური საკითხები. ამასთან ერთად მიღებულია მხედველობაში სამხედრო ავანტიურის საფრთხე პილსუდსკის ფაშისტური მთავრობის მხრივ.

ერთერთ ძირითად ლოზუნგს, რომლის ქვეშ უნდა გაიშალოს ყრილობის კამპანია, წარმოადგენს ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის, სახელმწიფოსაგან მისი სრული დამოუკიდებლობის საფუძველზე.

მოსკოვი, 11 დეკემბერი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია

(გაგრძელება)

ის უკვე საბჭოთა აზერბეიჯანის ნამდვილ მეორე ცენტრს წარმოადგენს. ნაციონალური შუღლი, რასაც ადგილი ჰქონდა ცარიზმის და განსაკუთრებით მუსავატელების ბატონობის დროს, აღმოფხვრილია. საბჭოთა ხელისუფლებამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძმური ერთობა დაამყარა მაზრაში მშრომელ სომეხ და თურქ მოსახლეობის შორის. ამჟამად სომხები და თურქები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით მუშაობენ.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ განჯაში აგებული ახალი ფაბრიკა-ქარხნები განჯას აქცევენ მსხვილ პროლეტარულ ცენტრად, რაც სამუშაოს გაუჩენს სოფლის მოსახლეობას.

განჯის მუშები და გლეხები დარწმუნებული არიან, რომ განჯა, რომელიც 1920 წლამდე წარმოადგენდა საზიზღარ და მოსყიდულ მუსავატის ბუდეს, ეხლა არის და მომავალშიაც იქნება საბჭოთა აზერბეიჯანის ძლიერი და უძლეველი პროლეტარული კერა. (ადს).

მისალმებანი ამიერ-კავკასიის ცაკის სესიას

განჯა, 11 დეკემბერი. სესიის სახელზე კვლავ მოდის მისასალმებელი დეპეშები.

ამხ. გეგეჭკორის მისალმება

საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ამხ. გეგეჭკორის დეპეშაში ნათქვამია შემდეგი: „საშუალება არ მაქვს, რომ პირადად დავესწრო ზეთის სახდელ და საპნის ქარხნის, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის ელექტრიური სადგურის გახსნის და მესაქონლეობის საცდელი სადგურის საძირკველის ჩაყრას; ვუსურვებ აყვავებას და პრაქტიკულ მუშაობას ამ დაწესებულებებს, რომელნიც სათავეში უნდა ჩაუდგენ ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო-მეურნეობის განვითარებას ჩვენს ძმურ რესპუბლიკაში“. სხ.

ამხ. ლაკობას მისალმება

ამხ. ლაკობასაგან სოხუმიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „საშუალება არ მქონდა, რომ პირადად დავსწრებოდი ამიერ-კავკასიის ცაკის სესიას განჯაში; ვესალმები ამიერ-კავკასიის მშრომელთა წარმომადგენლებს და აზერბეიჯანის ძმურ ხალხს უსურვებ აყვავებას საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით“.

მიღებულია მისალმებანი აგრეთვე აზერბეიჯანის მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობისაგან და სხ.

საღამოს სხდომა

კამათი მოხსენებათა გარშემო

განჯა, 11 დეკემბერი. ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესიის 11 დეკემბრის საღამოს სხდომა იხსნება საღამოს 6 საათზე ამხ. **ხანოიანის** თავმჯდომარეობით. იწყება კამათი აზერბეიჯანის მთავრობისა და განჯის სამაზრო აღმასკომის მოხსენებათა გარშემო.

მუხტარ ფატალი, (ბაქო) პირველად გამოდის მუხტარ ფატალი. იგი ხაზს უსვამს საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მიღწევებს მუსავატელებისა და დაშნაკების დროსთან შედარებით და აღნიშნავს, რომ აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბაღ-ვენახის მოვლის და წამლობას. იგი აცხადებს, რომ ტრაქტორების მნიშვნელოვანი ნაწილი მაზრებში უმოქმედოდ არის იმის გამო, რომ ჩვენ არ გვყავს კვალიფიციური მუშაკები, რომელთაც შეუძლიათ მათი ხმარება. შემდეგ იგი ამბობს, რომ ადგილობრივი საფეიქრო ფაბრიკების პროდუქციის დიდი ნაწილი კერძო სპეკულიანტებს უვარდებათ ხელში. აუცილებელია საქმე ისე დავაყენოთ, რომ შემდეგში მომხმარებელმა პროდუქციის მთელი 100 პროცენტი მიიღოს კოოპერაციის საშუალებით.

აზრუმელაშვილი, (თბილ.) გამოთქვამს თავის სიხარულს იმის გამო, რომ გაეცნო განჯის აღმშენებლობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია აზერბეიჯანის სოფელში აღმოფხვრილ იქნას ასეთი არანორმალური მოვლენა, რომ 22.000 მცხოვრებზე მოდის ერთი ექიმი, რის შესახებაც ნათქვამი იყო ამხ. მუსაბეკოვის მოხსენებაში. საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მიღწევად აზერბეიჯანში იგი სთვლის იმას, რომ ორი ეროვნება—თურქები და სომხები, რომელნიც ოდესღაც მტრულად იყვნენ განწყობილნი ერთმანეთისადმი, ეხლა მეგობრულად და ძმურად ცხოვრობენ. ეს არის უდიდესი საწინდარი მომავალ გამარჯვებათა.

აბდულ-ზადე, (აზერბეიჯ.) აღნიშნავს, რომ გზები ცუდია და შეუკეთებელი; მიწა ვერ არის თანასწორად განაწილებული. გლეხები ცუდ მდგომარეობაში არიან მუშა-საქონლის ნაკლებობის გამო. „კეიბირლიგი“ მეტად დიდ ფასს მოითხოვს მიწის ტრაქტორით დახნისათვის. აზერბეიჯანი განათლების დარგში ძალიან ჩამორჩენილია მეზობელ რესპუბლიკებთან შედარებით. აუცილებლად უნდა დაჩქარდეს ახალი თურქული ალფავიტის შემოღება სრულის სახით. იგი აღნიშნავს, რომ არის შემთხვევები, როცა ბოროტმოქმედებს 5 წლის ციხე აქვთ მისჯილი და 3 თვის შემდეგ ანთავისუფლებენ. ასეთი მოვლენა არანორმალურია და აღმოფხვრილ უნდა იქნეს.

ჩილინგაროვი (განჯის მ.). მოითხოვს, რომ გაძლიერებულ უნდა იქნას ზომები საქონლის ქურდობის წინააღმდეგ, რომლითაც შევიწროებული არიან გლეხები. ორატორი აუცილებლად სცნობს სასკოლო შენობათა აღმშენებლობის გაძლიერებას, რომ აღარ მოგვიხდეს შენობის დაქირავება კერძო პირისაგან.

პოღოსიანი (სომხეთი) კმაყოფილებით აღნიშნავს აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის განვითარებას, ის ამბობს რომ სისწორით სწყდება ეროვნული საკითხი. ის ფაქტი, რომელიც მოყვანილი იყო ამხ. ვეზიროვის მოხსენებაში (განჯის მაზრის ბიუჯეტით სომხის მოსახლეობის თვითეულ სულზე მოდის 7 მან., მუსულმანებზე კი—5 მან.) მოწმობს, რომ აქ ხორციელდება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ეროვნული უმცირესობის მიმართ. ამას მოწმობენ აგრეთვე ციფრები, რომელნიც ამხ. მუსაბეკოვმა მოიყვანა სასკოლო ქსელისა და მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ.

შემდეგ ორატორი ეხება რა აზერბეიჯანში შემჩნეულ დეფექტებს, აღნიშნავს, რომ საკმაოდ არაა განვითარებული კოოპერაცია, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო. აუცილებლად უნდა გაძლიერდეს ღონისძიებანი საქონლის ჭირთან ბრძოლისათვის, კერძოდ ყურადღება უნდა მიექცეს ვეტერინალური ექიმების მომზადებას.

მებამბეობის დარგში ჩვენ სერიოზულ დაბრკოლებათა წინაშე ვსდგევართ. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა მებამბეობა ეკონომიურად გამოსადეგი იქნება გლეხობისათვის. ამ მიზნით მებამბე გლეხებს უნდა მივაწოდოთ საჭირო საქონელი და რაციონალიზაცია მოუხდინოთ მებამბეობას, რომ გაადიდოთ მოსავალის რაოდენობა. მებამბეობის რენტაბელობის საკითხი არის არა მარტო სასოფლო-სამეურნეო, არამედ უაღრესად სამრეწველო საკითხი. ჩვენ ათეულ მილიონებს ვხარჯავთ ნედლეული ბამბის შემოსატანად ამერიკიდან და სხვა ქვეყნებიდან, მაშინ, როდესაც ჩვენ შეგვიძლია მისი მიღება ჩვენში.

შავერდოვა აღნიშნავს აზერბეიჯანის მიღწევებს ქალთა შორის მუშაობის დარგში. თურქის ქალები, რომელნიც წინედ არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეხლა ჩაბმული არიან საბჭოთა აღმშენებლობაში. აზერბეიჯანის მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს მუშა - ქალის ძალის გამოქვეყნებას წარმოებაში.

აქ ილაპარაკეს, რომ აუცილებელია საექიმო დახმარების დაახლოება ხოლის მოსახლეობისათვის. ჩემის აზრით, არა ნაკლებ საჭიროა სამოსამართლო ორგანოების დაახლოება სოფლის მოსახლეობასთან. გლეხობას ჩვენ უნდა განუმარტოთ ჩვენი კანონმდებლობა.

ქალები საბჭოებში აზერბეიჯანში უფრო არიან ჩაბმული, ვიდრე ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებში. ამ მხრივ აზერბეიჯანის მაგალითი მისაბაძია. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ქალთა აქტივის მომზადებას, რომელსაც ირჩევენ საბჭოებში.

ზაუტაშვილი (საქართველო) ამბობს, რომ აუცილებელია კვალიფიციური მუშა-მოსამსახურეების მომზადება აზერბეიჯანში. აზერბეიჯანში უნდა მოეწყოს ინდუსტრიალური სკოლები და ქიმიური ტეხნიკუმები. უნდა გავაუმჯობესოთ აგრეთვე მასწავლებელთა კვალიფიკაცია. აუცილებლად უნდა მოეწყოს პედაგოგიური ინსტიტუტი. ამასთანავე უნდა ვეცადოთ მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კრილოვისა ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია კოოპერაციამ გააერთიანოს მთელი შინა მრეწველობა, კერძოდ ხალიჩის წარმოება. ჩარჩები თურქი ქალების შრომის უსინდისო ექსპლოატაციას ეწევიან.

აზერბეიჯანში უნდა მოეწყოს შინამრეწველობის ცენტრი. კოოპერაციის საშუალებით უნდა მოეწყოს შინამრეწველ ქალთა არტელი. განჯის კოოპერატიულ დუქნებში ნაკლებად არის ისეთი საქონელი, რომელსაც საჭიროებს გლეხობა. საქმე უნდა დავაყენოთ ისე, რომ გლეხმა კოოპერატივში შეიძინოს მისთვის საჭირო საქონელი და არ მოუხდეს მისი ყიდვა კერძო დუქნიდან.

ამხ. ბუნიატ-ზადეს სიტყვა.

კამათში დაბოლოს გამოვიდა ამხ. ბუნიატ-ზადე, რომელიც დაწვრილებით შეეხო საქონლის ჭირთან ბრძოლის საკითხს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საკითხი არის არა მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის საკითხი. მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებს საქონლის ჭირთან ბრძოლისათვის. ზურნაბადის სადგურმა, რომელიც 6.000-მდე ლიტრა შრატს ამზადებდა, წარსულ წელში 12.000 ლიტრა შრატი დაამზადა; მიმდინარე წელში კი განზრახული იყო 24.000 ლიტრის დამზადება, მაგრამ შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ 1 იანვრისათვის ეს სადგური უკეთესად უნდა მოეწყოს და წლიწადში უნდა მივიღოთ 36.000 ლიტრა შრატი.

საქონლის ჭირზე მეტი ზარალი მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის სხვადასხვა გვარ მავნებლებს. ამ მავნებლებთან ბრძოლისათვის ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ მივიღოთ სათანადო თანხები.

აუცილებელია სერიოზული ყურადღება მიექცეს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობას. მე მგონია, რომ ძალიან ნელა მიდის ჩვენი მუშაობა სარწყავი ქსელის აღსადგენად.

შემდეგ ამხ. ბუნიატ-ზადე ახასიათებს ახალ განჯას და ამბობს:

„დღეს ჩვენ აქ დავინახეთ ზეთის სახდელი ქარხანა, მის გვერდით სდგას აბრეშუმის სადგური, რომლის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გააუმჯობესოს აბრეშუმის წარმოება მთელ აზერბეიჯანში. ამ სადგურის გვერდით არის ორი ბამბის საწმენდი ქარხანა. იქვე შენდება ჩითეულობის ფაბრიკა. ხვალ გაიხსნება ელექტრიური სადგური, რომლის მიზანსაც შეადგენს აზერბეიჯანის სასოფლო მეურნეობის განახლება და გადახალისება“ (ტაში).

შემდეგ ამხ. ბუნიატ-ზადე აღნიშნავს, რომ მებამბეობა სარფიანი უნდა გახდეს გლეხობისათვის. ამისათვის საჭიროა თესლის გაუმჯობესება, სასოფლო მეურნეობის მექანიზაცია და მანუფაქტურისა და პურის მიწოდება მებამბეებისათვის.

დასკვნაში ამხ. ბუნიატ-ზადე ეხება ეროვნულ საკითხს და აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის სხვადასხვა ერთა შორის ძმურ ურთიერთობის დამყარებაში უდიდეს როლს თამაშობს მიწის საკითხი.

აზერბეიჯანის მთიან ნაწილს ნაკლები მიწა აქვს დაბლობ ნაწილთან შედარებით. დაბლობ ნაწილებში გამოყოფილია მრავალი მიწები, რომელნიც გადაეცემა მაღლობ ნაწილებში მცხოვრებ გლეხობას. ამასთან ერთად ირწყვება რაიონების მთელ რიგი. გიაურის და მილის ველების მორწყვის საქმის გათავების შემდეგ, მორწყული მიწების ნაწილი გადაეცემა მთიან ყარაბახს, რომ ბოლო მოეღოს იქ მიწის სიმწირეს.

კამათი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და გადატანილია ხვალ დილის სხდომისათვის.

კამათის დამთავრების შემდეგ დღეს საღამოთი დელეგატებისათვის გაიმართა წარმოდგენა მუშურ-გლეხური თეატრის თურქული დასის მიერ. დადგმულ იქნა პიესა „ტაიფუნი“. („შტარმი“).

ზეთის სახდელ და საპნის ქარხნის გახსნა

განჯა, 11 დეკემბერი. (ადს) განჯის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ვეზიროვის მოხსენების დამთავრების შემდეგ სესია მთელი შემადგენლობით მიდის საპნის და ზეთის სახდელ ქარხნის ოფიციალურ გახსნაზე.

ქარხანა იყო გავსებულია მუშებით, პროფკავშირთა წარმომადგენლებით და ახლო მდებარე სოფლებიდან მოსულ გლეხებით.

ტრიბუნაზე ადიან **მუსაბეკოვი, მიხა ცხაკაია, ლუკაშინი და ბუნიატ-ზადე**.

ბუნიატ-ზადეს სიტყვით იხსნება საზეიმო მიტინგი.

ბუნიატ-ზადეს სიტყვა

აზერბეიჯანის მთავრობამ—ამბობს ამხ. ბუნიატ-ზადე, გადასწყვიტა შექმნას რესპუბლიკაში ზეთის სახდელი და საპნის ძლიერი ქარხანა. პირველ ყოვლისა, აზერბეიჯანის, კერძოთ განჯის ინდუსტრიალიზაციის მიზნით და, მეორე მხრით იმ მიზნით, რომ მოეწყოს ბამბის თესლისა და ზეთის დამუშავება იმ რაოდენობით, რომ დავაკმაყოფილოთ არა მარტო აზერბეიჯანის და ამიერ - კავკასიის საჭიროება, არამედ გავიზიდოთ უცხოეთში. ამ მოსაზრებით აზერბეიჯანის მთავრობამ აუცილებლად სცნო ამ ქარხნის აგება. ქარხანამ ნავარაუდევია დაამუშაოს 4 მილიონი ფუთი თესლი წლიურად. არსებული მოწყობილობით ქარხანას შეუძლია წლიურად 2 მილიონი ფუთის დამუშავება. წლიდან წლამდე ქარხნის პროდუქცია, რასაკვირველია, გადიდდება. მუშათა რიცხვი ამ ჟამად უდრის 367 კაცს, აქედან თურქი 224, სომეხი—40, რუსი 68 და სხვა ეროვნების 35. ქარხნის მოწყობილობის ნაწილი გამოწერილია გერმანიიდან და ამერიკიდან, ნაწილი კი გაკეთებულია საბჭოთა ქარხნებში. ქარხანა მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საუბრის დროს ერთმა ამერიკელ ინჟინერს მე ვკითხე, რითი ჩამოუვარდება ეს ქარხნის მოწყობილობა ამერიკულ ქარხნისას; მან მიპასუხა—„არაფრითო“. ეს ქარხანა ჩვენი მარჯვენის დიდი გამარჯვებაა! (აპლოდისმენტები, „ურას“ ძახილი, რომელიც ეურთდება ქარხნის საყვირის ხმებს).

ჩვენ გადავსწყვიტეთ,—განაგრძობს ამხ. ბუნიატ-ზადე—ვუწოდოთ ამ ქარხანას ერთი ჩვენი ძვირფასი ამხანაგთაგანის **მიასნიკოვის** სახელი. განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად მოვიხადოთ ქუდები (ყველანი იხდიან ქუდებს).

მიხა ცხაკაიას სიტყვა

„ამიერ-კავკასიის ფედერაციის მუშათა და გლეხთა მთავრობის სახელით,—ამბობს ამხ. **მიხა ცხაკაია**, მე გილოცავთ თქვენ დიად საქმის ინიციატორებს—აზერბეიჯანის მთავრობას და ჩემს თავსაც ამ ქარხნის გახსნას. ეს ქარხანა, რომელიც ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის აგებული, მიუხედავად ჩვენი ეკონომიური გაჭირვებისა, წარმოადგენს უდიდეს მიღწევას. ქარხნის დღევანდელი გახსნა თვალსაჩინოდ სცნის ამიერ-კავკასიის ცაკის სესიისათვის აზერბეიჯანის მშრომელთა წარმატებებს სამეურნეო ფრონტზე.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ სულით და გულით ახალ ქარხნის გახსნას. გაუმარჯოს წითელ განჯას; იაშასინ ყირმიზ აზერბეიჯან! (გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანს).

ამხ. ლუკაშინის სიტყვა

შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ა. ქ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ლუკაშინი**.

ქარხანა, რომელიც დღეს იხსნება,—ამბობს ამხ. ლუკაშინი წარმოადგენს სამაგალითო წარმოებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშებისა და გლეხებისათვის“.

ამხ. კარინიანის სიტყვა

„ეს ქარხანა—ამბობს შემდეგი ორატორი ამხ. **კარინიანი**, დიდი მიღწევაა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციოდ დაწყებულ მუშაობაში. იგი ქმნის ნიადაგს მუშათა და გლეხთა იმ შეკავშირებისათვის, რომლის შესახებ ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით და რომელსაც ეხლა რეალურად ვახორციელებთ. გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა შეკავშირებას“.

ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარის **იაკუბოვის** მისალმების შემდეგ სიტყვას ამბობენ ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა წარმომადგენლები, **ქემალოვი და ხუკიასოვი**.

მიტინგის დამლისას ამხ. **ბუნიატ-ზადე** მადლობას უძღვნის ინჟინრებს, ტეხნიკოსებს და მუშებს იმ შრომისათვის, რომელიც მათ ქარხნის ასაგებად გასწიეს.

საზეიმო ცერემონიები

ა.-კ. ცაკის წევრები უახლოვდებიან ქარხნის რკინის კარებს. ამხ. **მიხა ცხაკაია** მაკრატლით სჭრის შესავალთან გაბმულ წითელ ლენტს. ყველანი ჩერდებიან ღვედიან ბორბალთან, რომელზედაც გაბმულია წითელი ლენტი. ლენტს სჭრის საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფ. მახარაძე**. გაისმის „ურას“ საერთო ძახილი. ბორბალი იწყებს მოძრაობას.

სესიის წევრები მიდიან მეორე ბორბალთან, რომლის წითელ ლენტს სჭრის ამხ. **აღამალი-ოღლი** სიტყვებით: „წინ ახალი გზით“. მესამე ბორბლის ლენტს სჭრის ამხ. **კარინიანი** სიტყვებით: „ვსჭრი მონობის ბორკილებს“. შემდეგ იწყება ქარხნის დაწვრილებით დათვალიერება რომელიც თავდება საღამოს 5 საათზე.

რა ხდება უცხოეთში

ინგლის - ამერიკის კაპიტალის მეტოქეობა

ამერიკის კაპიტალი ახალი ბაზრების ძებნის პროცესში პირველ რიგში სცდილობს თავისი პოზიციები გაამაგროს მეზობელ სახელმწიფოებში — ცენტრალური და სამხრეთ - ამერიკის რესპუბლიკებში. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ამერიკა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს თავისი მეტოქეების თითეულ ნაბიჯს ამ ქვეყნებში.

უკანასკნელ ხანებში ამერიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბრაზილიას. ეს აიხსნება იმით, რომ ამერიკის კაპიტალის პოზიცია ბრაზილიაში ჯერ-ჯერობით გაცილებით სუსტია, ვიდრე მისი მთავარი კონკურენტის — ინგლისის პოზიცია.

შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, ინგლისის კაპიტალს ბრაზილიის წარმოებებში დაბანდებული აქვს დაახლოებით 2.640.000.000 მანეთამდი, ამერიკას კი—მხოლოდ 620.000.000 მანეთი.

ამერიკას ყველაზე უფრო ის გარემოება აფიქრებს, რომ მისი ცდა გაათანასწოროს ინგლისისა და ამერიკის კაპიტალის გავლენა ბრაზილიაში, დამაკმაყოფილებელ შედეგებს არ იძლევა. საქმე იმაშია, რომ ბრაზილიაში დაბანდებულ ინგლისური კაპიტალის ჯამი —1923 წ. — 1.310.000.000 მანეთით გაიზარდა, ამერიკისა კი —მხოლოდ 80.000.000 მანეთით.

არც არგენტინაშია უკეთეს პირობებში ამერიკის კაპიტალის მდგომარეობა. ინგლისის კაპიტალის ჯამი ამ რესპუბლიკაში 1925 წ. დამლევისათვის აღემატებოდა 4.000.000.000 მან. ამერიკის კი შეადგენდა მხოლოდ 640.000.000 მან. განსაკუთრებით სასოწარკვეთილებაში აგდებს ამერიკელ კაპიტალისტებს ის გარემოება, რომ არგენტინის რკინისგზების უმრავლესობა ეკუთვნის ინგლისელებს, რომლებიც მოხერხებულად სარგებლობენ რკინისგზის ტარიფებით ამერიკელების წინააღმდეგ.

ბრაზილიასა და არგენტინაში ამერიკის კაპიტალს ჯერ არ დაუძლევია ინგლისის გავლენა. მაგრამ ჩილისა და ბოლივიის რესპუბლიკებში ამერიკის კაპიტალს მტკიცე პოზიციები აქვს მოპოვებული. ასე მაგალითად, 1923 წ. ინგლისიდან ბოლივიაში შეტანილი იქნა 7.630.814 მანეთის საქონელი, ამერიკიდან კი—2.779.846 მანეთის. 1923 წ. ამერიკის იმპორტმა ბოლივიაში მიაღწია 9.327.482 მანეთამდი, ინგლისისამ კი მხოლოდ—8.099.842 მანეთამდი. 1925 წ. ამერიკამ ბოლივიაში შეიტანა 12.606.142 მანეთის საქონელი, ინგლისიდან საქონლის შეტანა კი უმნიშვნელოდ გაიზარდა—9.351.080 მანეთამდი. ამერიკის ექსპორტი ბოლივიაში 10 წლის განმავლობაში გაიზარდა ხუთჯერ, ინგლისისა კი მხოლოდ ერთი მეხუთედით.

ამერიკის კაპიტალის გავლენა განმტკიცებულია მექსიკაში. მექსიკის ექსპორტის 60 პროცენტზე მეტი შეერთებული შტატების ხელშია. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან ცენტრალურ და სამხრეთ-ამერიკის სხვა რესპუბლიკები: პანამა, კოლუმბია, ვენეცუელა და პერუ.

შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, ამერიკულ საქონლის ექსპორტი ლათინური ამერიკის ქვეყნებში 191 პროცენტით გაიზარდა ომის წინა დროსთან შედარებით.

ცენტრალური და სამხრეთ-ამერიკის ბაზრებისათვის ბრძოლა ამჟამად სწარმოებს უმთავრესად შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის. ომამდი ამ ბაზრებზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გერმანია. მას ჯერ-ჯერობით ვერ მოუხერხებია ომის წინა დროინდელი გავლენის აღდგენა. ყოველ შემთხვევაში გერმანიის კონკურენცია შეერთებულ შტატებისათვის ჯერ-ჯერობით არ არის ისე საშიში, როგორც ინგლისის. შეერთებულ შტატებში არიან ზოგიერთი წრეები, რომლებიც, პირიქით, საჭიროთ თვლიან ამ მხრივ ხელის შეწყობას გერმანიისათვის, რომ ამით შეასუსტონ ინგლისის მდგომარეობა.

ა. ს.

მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია სეიმში

სოფ. სტარაია-ბერიოზაში პოლიციამ თავს დაესხა ბელორუსიის გრომადას, დაჭრილია 50 კ. გლეხთა პარტიის დეპუტატი ბალინი და კომუნისტი სკრიპა დაჭრილთა სისხლიანი პერანგებით გამოვიდნენ სეიმში. პრესა უკმაყოფილოა მთავრობით, რადგან მან ვერ შესძლო პასუხი გაეცა ასეთ შეკითხვებზე.

მოკავშირეთა სახალხო არმია წარმატებით განაგრძობს შეტევას

ელჩთა კონფერენცია გერმანიის ზურგს უკან სწყვეტს გერმანიისათვის საჭირბოროტო საკითხებს

არაჩვეულებრივი დემონსტრაცია სეიმში

ვარშავა, 11 დეკემბერი. 10 დეკემბერს გაიხსნა სეიმი. პირველ სხდომაზე გაიმართა არაჩვეულებრივი სცენა ბელორუსიის გრომადის მიერ სასწრაფო განცხადების გამო, სადაც იგი მოითხოვდა სოფელ სტარაია ბერიოზაში (ბელსკის მაზრა) შეკრებილ გრომადის კონფერენციაზე მოწყობილ თავდასხმის გამოძიებას. თავდასხმის დროს პოლიციამ დასჭრა კონფერენციის 50 მონაწილე, მათ შორის გრომადის დეპუტატები. გამოძიების დანიშვნას განსაკუთრებით მოითხოვდა გლეხთა დამოუკიდებელი პარტიის დეპუტატი ბალინი, რომელმაც განაცხადა: **„მთავრობას სწადია სისხლში ჩაახრჩოს ყოველგვარი გამანთავისუფლებელი მოძრაობა“.**

ამ სიტყვების წარმოთქმისას ბალინი პორტფელიდან იღებს სტარაია ბერიოზიდან მოტანილ დაჭრილთა გასისხლიანებულ ხალათებს და ფოტოგრაფიულ სურათებს, უჩვენებს მათ სეიმს, ისვრის ბარტელის მიმართულებით და იძახის: **„თქვენ, ბატონებო, ვერ ჩამოირეცხავთ ამ სისხლს“.**

ბალინის სიტყვამ მთელს დარბაზში დიდი მღელვარება გამოიწვია. მთელი სეიმის შეშფოთების დროს, კომუნისტ-დეპუტატმა სკრიპამ გასისხლიანებული ხალათით გაიარა მთელ დარბაზში, დაუდვა ხალათი ბარტელს მაგიდაზე და მიმართა: **„ასეთია თქვენი სამაისო დროშები“.**

ასეთი დემონსტრაცია ჯერ სეიმს არ მოსწრებია. როდესაც მღელვარება (კოტათი) დაცხრა, სეიმის თავმჯდომარე რატაიმ განაცხადა: **ასეთი ბრალდების დროს მთავრობა თავის ადგილზე ველარ დარჩება“.**

პრესა სკანდალის შესახებ

ვარშავა, 11 დეკემბერი პოლონეთის პრესა, რომელიც ეხება სეიმში დატრიალებულ სკანდალს, ჰკიცხავს ბარტელს, — იმისათვის, რომ მან ვერ გამონახა სიტყვები მთავრობის გასამართლებლად და სეიმის ტრიბუნიდან წარმოთქმულ ბრალდების საპასუხოთ

ერთა ლიგა

პარიზი, 10 დეკემბერი. კომუნისტ დეპუტატმა **კაშენმა** დეპუტატთა პალატაში შეიტანა შეკითხვა საფრანგეთ-იტალიის დამოკიდებულების შესახებ.

„აუცილებელია შექმნილი მდგომარეობის დროულათ განხილვა—განაცხადა კაშენმა. **ალპების ორივე მხარეზე გროვდებიან ჯარები.** იქმნება დიპლომატიური კონფლიქტი. ფაქტებსა და მთავრობის წევრების განცხადებათა შორის არსებული წინააღმდეგობა აუცილებლად ხდის საკითხის დროულათ გადაჭრას“.

პუანკარემ ადგილიდან შენიშნა: „ეს საკითხი შეეხება გარეშე საქმეთა მინისტრს, რომელიც ეხლა უცხოეთში იმყოფება“-ო.

„მით უფრო მნიშვნელოვანია,—განაგრძობს კაშენი—რომ სწორეთ ერთა ლიგის საბჭოს სხდომის დროს, **იტალიის და საფრანგეთის იმპერიალიზმი ერთმანეთზე თავდასხმას ამზადებს. ერთა ლიგის კომედია არასოდეს არ გათამაშებულა ასეთი დიდი ცინიზმით“.**

პალატამ ხმების უმრავლესობით, კომუნისტებისა და ზოგიერთ სოციალისტების წინააღმდეგ დაადგინა გადასდოს ამ საკითხების განხილვა. (ადს).

ინგლისის პოზიცია

ლონდონი, 10 დეკ. ერთა ლიგის მიერ დაწესებულ კომისიაში ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლის შეფარდების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ **ინგლისის თვალსაზრისი ამ საკითხში არ ეთანხმება კომისიის უმრავლესობის თვალსაზრისს.**

ინგლისის წარმომადგენელმა კომისიაში, **ლორდ სესილმა** განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ერთა ლიგის საბჭოს მიერ ერთხმად მიღებულ დადგენილებას სამხედრო დახმარების შესახებ იმ სახელმწიფოსთვის, რომელსაც თავს დაესხმიან, და სამხედრო ზომების მიღების შესახებ იმათ წინააღმდეგ, „ვინც დაარღვევს მშვიდობიანობას“, შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ რეკომენდაციის და არა როგორც ერთა ლიგის ყველა წევრებისათვის სავალდებულო დადგენილების ხასიათი. ინგლისის თვალსაზრისით ასევე მიუღებელია ფინეთის მიერ წარმოდგენილი პროექტი, „ავტომატიურ“ ფინანსიურ დახმარებისა იმ სახელმწიფოსთვის, რომელსაც თავს დაესხმიან.

„ფინეთის პროექტის თანახმად, ამბობს „დეილი ტელეგრაფი“, გამოდის ისე, რომ ინგლისმა ფინანსიური დახმარება უნდა აღმოუჩინოს ფინეთს, პოლონეთს, სამხრეთ-სლავიას ან და რუმინეთს, ე. ი. ფინანსიურად სუსტ ქვეყნებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩაბმული აღმოჩნდებიან ომში საბჭოთა კავშირისა, ან მათ დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყნების წინააღმდეგ. ეს ნიშნავს იმას, რომ ინგლისელთა ფულები უსარგებლოთ გაიფანტება, რადგან იმ ქვეყანას, რომელსაც უნდა გაეწიოს ფინანსიური დახმარება, სამხედრო იარაღს მიაწვდიან, ალბად, არა ინგლისური ფირმები“. (ადს).

ჩინეთის მშრომელთა ბრძოლა

ლემპსონისა და ჩან-კაი-შის თათბირი

პეკინი, 10 დეკემბერი. ხანკოუსაკენ გამგზავრების დროს ინგლისის ახალი ელჩი ჩინეთში ლემპსონი შეჩერდა ცზიუციანში, სადაც მას საუბარი ქონდა კანტონის არმიების მთავარსარდალთან—ჩან-კაი-შისთან. (ადს).

გომინდანელების განთავისუფლების მოთხოვნა

პეკინი, 11 დეკემბერი. კანტონიდან იუწყებიან, რომ გომინდანის ცეკას წევრებმა ჩან-ძო-ლინისაგან ტელეგრაფით მოითხოვეს იმ 14 გომინდანელის დაუყოვნებლივ განთავისუფლება, რომელნიც დატყვევებულ იქნენ ინგლისელების საკონცესიო ტერიტორიაზე—ტიან-ძინში და შემდეგ გადაეცენ მუკდენის მთავრობას.

სახალხო არმია წინ მიიწევს

პეკინი, 11 დეკემბერი. გაზეთების ცნობით, მოკავშირე სახალხო ჯარები წარმატებით განაგრძობენ წინსვლას პროვინცია—ხე-ნანისაკენ. ფუნგუანის აღების შემდეგ, სახალხო არმიამ დაიკავა რამდენიმე ქალაქი, რომელნიც მდებარეობენ პროვინცია ხე-ნანის დასავლეთ ნაწილში.

კომუნისტების განთავისუფლება

პეკინი, 12 დეკემბერი. საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მუკდენის ხელისუფლებას არ გადასცეს ის კომუნისტები, რომელნიც ამას წინად იყვნენ დაპატიმრებულნი ტიან-ცზინში საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე. 8 დაპატიმრებული უკვე გაანთავისუფლეს. (ადს).

გერმანიის ზურგს უკან

ბერლინი, 10 დეკემბერი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ჟენევის მოლაპარაკებათა გამო აღნიშნავენ, რომ ყველა უმთავრესი საკითხები, რომელნიც ეხება გერმანიას, წინასწარ მუშავდება ელჩთა კონფერენციის მიერ გერმანიის დაუსწრებლათ. პატარა სახელმწიფოები, მათ შორის ისინიც, რომელნიც სექტემბრში იქნენ არჩეულნი ერთა ლიგის საბჭოში, ფაქტიურად მოშორებულნი არიან ამ საქმეს. შეთანხმების მიღწევას ამ შემთხვევაში აძნელებს ინგლისის პოზიცია, რომელიც სცდილობს, რომ ხელი შეუშალოს ტუარში დაწყებულ საფრანგეთ-გერმანიის უშუალო დაახლოებას. (ადს).

ლატვიის მენშევიკები

რიგა, 10 დეკემბერი. ლატვიის სოციალ-დემოკრატები უკვე დასთანხმდნენ კაბინეტის შედგენაზე; ამის გამო სოციალ-დემოკრატიული გაზეთი აქვეყნებს სოციალ-დემოკრატების პლატფორმას.

სოციალ-დემოკრატების უმთავრესი ყურადღება მიქცეულია სამეურნეო პოლიტიკაზე. ისინი აუცილებლად სცნობენ ეკონომიური ხელშეკრულობის დადებას საბჭოთ კავშირთან და გარდა ამისა ცალკე ხელშეკრულებათა დადებას საბჭოთა კავშირთან და ბალტიის სხვა სახელმწიფოებთან.

საგარეო პოლიტიკის საკითხებში სოციალ-დემოკრატები აუცილებლად სცნობენ თანამშრომლობის გაძლიერებას ესტონეთთან. (ადს).

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

მოსკოვი, 11 დეკემბერი. ვაცხადებ, რომ მე არ ვასაჩივრებ ჩემი პარტიის გადაწყვეტილებებს კომინტერნში, მაგრამ, როგორც კომინტერნის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე მე ვალდებულად ვრაცხ თავს მოგცეთ აქ რამოდენიმე განმარტება.

საკითხი სოციალიზმის ერთს ქვეყანაში დამყარების შესახებ არის ჩვენი უთანხმოების ერთი მთავარი საკითხთაგანი.

ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი ამტკიცებდენ, რომ პროლეტარიატის რევოლიუციონური პოლიტიკის ძირითადი ხაზი არ შეიძლება შემოიფარგლოს ნაციონალური მასშტაბის პერსპექტივების ჩარჩოებით.

(ხმა ადგილიდან: მერე ვინ ამტკიცებს წინააღმდეგს?)

რამდენად უფრო შევისწავლით ლენინს, იმდენად უფრო დავრწმუნდებით, რომ სოციალიზმის ერთს ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინი მთლიანად და სავსებით იცავდა მარქსის და ენგელსის შეხედულებებს.

მეტის-მეტად მნიშვნელოვანია ლენინის ის განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ ვიდრე საბჭოთა კავშირი წარმოადგენს კაპიტალისტურ ქვეყნისთვის დაპირისპირებულ ერთად-ერთს პროლეტარულ სახელმწიფოს, უტოპია იქნებოდა გვეფიქრა ჩვენი ქვეყნის სრულ ეკონომიურ დამოუკიდებლობაზე. აი ეს არის საფუძველი ჩვენი უთანხმოების. ლენინის სიტყვები მოწმობენ, რომ მას მხედველობაში ჰქონდა არა შეიარაღებული ინტერვენცია, არამედ კაპიტალიზმის ეკონომიური გარემოცვა.

ეხლა სცდილობენ საქმე ისე წარმოგვიდგინონ, თითქოს ლენინის მოძღვრება იყოს არა მოძღვრება საერთაშორისო რევოლიუციის შესახებ, არამედ მოძღვრება ერთს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

ლენინის ამ სიტყვებიდან, რომ „სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია პირველად რამდენიმე, ან ერთერთ რომელიმე ქვეყანაში“—სცდილობენ გამოიყვანონ დასკვნა, თითქოს ლენინის მოძღვრება არის მოძღვრება სოციალიზმის ერთს ქვეყანაში გამარჯვების შესახებ. აქ ლენინი ხმარობდა სიტყვებს: სოციალიზმის გამარჯვებას იმ აზრით, რომ შესაძლებელია პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და, წარმოიდგინეთ, მხედველობაში ჰქონდა არა საბჭოთა რესპუბლიკა, არამედ დემოკრატიული, თებერვლის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, შვეიცარიელ მუშებისადმი მიძღვნილ წერილში ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის პროლეტარიატს თავის საკუთარი ძალებით არ შეუძლია განახორციელოს სოციალისტური რევოლიუცია (ხმა ადგილიდან: ამ ციტატებით თქვენ გინდათ გაამართლოთ თქვენი შეცდომები ოქტომბერში).

ჩვენ ბრალად გვდებენ პერსპექტივების უქონლობას, პესიმისტობას და პასივობას.

ეს ბრალდება სწორი იქნებოდა, ეჭვი რომ გვეპარებოდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენება შესაძლებელი და სავალდებულოა. ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს და ჩვენ საბოლოოდ ავაშენებთ მას სხვა ქვეყნების პროლეტარული რევოლიუციის დახმარებით (ხმა: თუ რევოლიუციას დააგვიანდა?) ჩვენი წინადადება მეტად მარტივია: ჩვენ ვაცხადებთ: მარქსის და ენგელსის შეხედულებები ამ საკითხის შესახებ არ დაძველებულან და ამასთან ერთად ვიცავთ ლენინის იმ შეხედულებებს, ამ საკითხში, რომელსაც ყველანი ვიზიარებდით 1924 წლამდე.

რამდენად ჩვენში იზრდება კულაკობა და ახალი ბურჟუაზია, იმდენად მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ გადაგვარების საფრთხის საკითხებს. ჩვენ ვაყენებთ საკითხს გადაგვარების საფრთხის შესახებ, რომლის მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო კაპიტალისტური გარემოცვა, „ნეპ“-ის უარყოფითი მხარეები, ჩვენი ქვეყნის წვრილბურჟუაზიული გარემოცვა, ჩვენი პარტიის მონოპოლიური მდგომარეობა, სახელმწიფოს ბიუროკრატიზმი. ამ საფრთხეების შესახებ ლაპარაკობდა აგრეთვე ლენინიც.

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას ულტრა — მემარცხენეებისა და მემარჯვენეების მიმართ, ეს დამოკიდებულება დარჩა ისეთი, როგორც იყო, ე. ი. ისეთი როგორც არა ერთხელ დაუხასიათებია ლენინს.

ბრალდება იმის შესახებ, რომ მე დასაშვებად მიმაჩნია ორი პარტიის არსებობა ჩვენს ქვეყანაში არაფრით არ შეიძლება დადასტურდეს; რაც შეეხება საკითხს პარტიის მთლიანობის შესახებ, ჩვენ ერთი სიტყვითაც არ მიგვაქვს უკანვე იმიდან, რაც მთელი წლების განმავლობაში გვიწერია და გვილაპარაკია ფრაქციულობის მავნებლობის და საშიშროების შესახებ. 16 ოქტომბრის ჩვენი დეკლარაციით ჩვენ აშკარად ვაღიარეთ ჩვენი შეცდომები (ადგილიდან: „მხოლოდ სიტყვით და არა საქმით“.).

რამოდენიმე სიტყვა ტროცკიზმზე; რაც შეეხება ისტორიულ ტროცკიზმს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ლენინიზმს 1917 წლამდე, და რომელსაც უკვე ეხლა აღარ იცავს თვით ტროცკიც, ეს ტროცკიზმი ვერაფრის გზით ვერ გახდება საფუძველი ოპოზიციონური ბლოკის შესაქმნელად და, ყოველთვის შეეჩეხება ჩვენს უძლიერესს წინააღმდეგობას. (ხმა ადგილიდან: უსმინეთ, უსმინეთ!). განსაკუთრებით ჩვენ არ ვიზიარებთ [illegible] რევოლიუციის თეორიას. მაგრამ ღრმა შეცდომაა ის შეხედულება, რომ ყოველი საკითხი, რომელიც რევოლიუციის მამოძრავებელ ძალებს უკავშირდება, გაგებულ იქნას, როგორც დავა პერმანენტული რევოლიუციის შესახებ.

მე, ისე როგორც წინად, ვდგევარ ლენინიზმის ნიადაგზე. მე ვფიქრობ, რომ რაც ვსთქვი, საკმაოა იმისათვის, რომ ბრალი არ დაგვდოთ სოციალ - დემოკრატიულ გადახრაში. (ადს).

10 დეკემბრის საღამოს სხდომა

კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 11 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის 10 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **მანუილსკიმ** (კომინტერნის აღმასკომი), **ნეიმანმა** (გერმანია), **კუუსინენმა**.

იტალიის კომპარტიის ც. კ. დეპეშა

ნეიმანის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ ამხ. **რემელემ** გამოაქვეყნა დეპეშა, რომელიც პლენუმმა მიიღო იტალიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისაგან.

დეპეშის უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ტაშით იფარება.

დეპეშის გამოქვეყნების შემდეგ კამათში ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო მონაწილეობა მიიღეს ამხ. **უიოვიჩმა** და **შაცკინმა** (ახალგაზრდობის კომინტერნი).

ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

11 დეკემბრის დილის სხდომა

მოსკოვი, 11 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის 11 დეკემბრის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდა: ამხ. **კამენევი, ტან-ნინ-სიანი** და სხვ.

სხდომის დასასრულს მოსმენილ იქნა სამხრეთ - სლავიის კომპარტიის განცხადება, რომელშიაც იგი სავსებით და მთლიანად უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოზიციას მის ბრძოლაში ოპოზიციის წინააღმდეგ.

საღამოს სხდომა

პლენუმის საღამოს სხდომაზე გამოვიდა: ამხ. **სტუჩკა** (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი), **ბეკი** (კანადა) და **ნირობა** (ფინეთი).

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. **რიკოვს**, რომელსაც მხურვალე ტაშით ხვდებიან. სიტყვის დამთავრების შემდეგ პლენუმი ამხ. რიკოვს კვლავ უმართავს მხურვალე ოვაციას. ყველანი დგებიან — მღერიან „ინტერნაციონალს“.

ამხ. რიკოვის შემდეგ გამოვიდა ამხ. **ტელმანი** (გერმანია). ამხ. ტელმანის სიტყვის შემდეგ კითხულობენ უნგრეთის კომპარტიის განცხადებას, რომელშიც იგი სრულ სოლიდარობას უცხადებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მის ბრძოლაში ოპოზიციის წინააღმდეგ. შემდეგ სხდომაზე, რომელიც შესდგება ორშაბათს, 13 დეკემბერს დილის 10 საათზე, გაგრძელდება კამათი ამხ. სტალინის მოხსენების გარშემო და შემდეგ ამხ. სტალინი წარმოსთქვამს საბოლოო სიტყვას. (ადს).

ამხ. ს. ორჯონიკიძის ცირკულიარული წერილი

მოსკოვი, 11 დეკემბერი. (ადს) საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ს. ორჯონიკიძემ მიმართა პარტიის ყველა წევრებს—უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ს. კ. პ. (ბ) ყველა საკონტროლო კომისიებს ცირკულიარული წერილით, რომელშიაც ნათქვამია რომ სათადარიგოთ დათხოვნილი მ. გ. წით. არმ. უფროს შემადგენლობის სამოქალაქო სამსახურში მოსაწყობათ დაწყებულ კამპანიას პარტია აძლევს დიდს პოლიტიკურ მნიშვნელობას. 1926 წლის 14 სექტემბერს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული იყო დადგენილება, რომელიც ავალებდა ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს მიეღოთ სამსახურში მთავრობის საგუბერნიო კომიტეტებს თანრიგის მიხედვით სათადარიგოთ დათხოვნილნი, რომელთათვისაც გამოყოფილი უნდა ყოფილიყო თვითეული ადგილები არა ნაკლებ 3 პროცენტისა. მიუხედავად ასეთი დადგენილებისა, ამ კამპანიის ჩატარების პროცესში გამოირკვა: მთელმა რიგმა დაწესებულებებმა და წარმოებებმა, რომელთაც ხელმძღვანელობენ საკ. კ. პ.-ბ-ის წევრები, სათანადოთ ვერ შეაფასეს ამ საქმის მნიშვნელობა: ან ფორმალურად მიუდგნენ საკითხს, ან შეეცადნენ გვერდი აეხვიათ ამ კანონისათვის.

ამასთან ერთად იყო შემთხვევები ყოვლად შეუწყნარებელი არა ამხანაგური მოპყრობისა უფროსი სამხედრო შემადგენლობის მიმართ (შეყვირება, არმიღება მოსალაპარაკებლად, ხანგრძლივი ლოდინი მისაღებ ოთახთან და სხვა), რაც იწვევს ამ უკანასკნელთა ბუნებრივ გულისწყრომას და უკმაყოფილებას.

ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები ზემოხსენებულ მოვლენების აღმოსაფხვრელად და სამუშაოებზე გამწესრიგებელ კომისიებისათვის დაწესებულებების მხრით ხელის შესაწყობად.

პროფკავშირთა ყრილობა

მოსკოვი, 11 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა 11 დეკემბრის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **ლოზოვსკის** საბოლოო სიტყვა, სამანდატო კომისიის მოხსენება, საბჭოთა კავშირის შრომის სახ.კომისარის ამხ. **შმიდტის** და სახ. დაზღვევის ცენტრ. სამმართველოს უფროსის ამხ. **ნემჩენკოს** მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენებიდან ჩანს, რომ ყრილობას ესწრება 1.295 დელეგატი, რომელთაგან გადამწყვეტი ხმით არის 1.072 დელეგატი. **დელეგატები წარმოადგენენ პროფკავშირების 8.852.000 წევრს. დელეგატებს შორის 73,1 პროცენტი მუშებია.** მეექვსე ყრილობასთან შედარებით მუშათა რიცხვმა იმატა 7 პროცენტით. დელეგატ ქალთა რიცხვი უდრის—7,4 პროცენტს. დელეგატებს შორის საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრებია— 83,7 პროც., კანდიდატები—2,4 პროცენტი, ლენინურ ახალგ. კომკავშირის წევრები—1 პროცენტი და უპარტიონი 12,9 პროცენტი. (მეექვსე ყრილობაზე უპარტიონი იყვნენ 1,2 პროცენტი). (ადს).

მოსკოვი, 11 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობის 11 დეკემბრის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი შმიდტისა და ნემჩენკოს მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო 21 ორატორმა, რომელთა შორის ილაპარაკეს: უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკისტანის, ამიერ-კავკასიის, ურალის, ჩრდილოეთ-კავკასიის, შორეული აღმოსავლეთის, ლენინგრადის და მოსკოვის წარმომადგენლებმა. (ადს).

კუკი საბჭოთა კავშირის შესახებ

მოსკოვი, 11 დეკემბერი. ინგლისური გაზეთის „სანდეი უორკერ“-ის მოსკოველ კორესპონდენტთან საუბარში კუკმა სთქვა:

„ინგლისის კაპიტალისტურმა პრესამ შეგნებულად დაამახინჯა ჩემი სიტყვა პროფკავშირთა ყრილობაზე. ეს იმის ახალი დამამტკიცებელია, რომ ბურჟუაზიულ პრესას სრულიად არ სურს ჭეშმარიტების აღიარება საბჭოთა კავშირის შესახებ. როცა ინგლისში დავბრუნდები, იქ გამოვააშკარავებ ამ სიყალბეს. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირმა და განსაკუთრებით საბჭოთა პროფკავშირებმა. საბჭოთა პროფკავშირების ყრილობა დიდ კონტრასტს წარმოადგენს ტრედიუნიონების ყრილობასთან შედარებით. აქ იყო სრული ლებელი იქნება ინგლისის მუშებისათ- დემოკრატია, მაშინ, როდესაც იქ ჩვენში — სრული ბიუროკრატია არის. უბრალო მუშებს, გლეხებს და მუშა-ქალებს თავისუფლად შეუძლიათ გააკრიტიკონ ტომსკის, დოგადოვის და სხ. ბელადების მოხსენებანი. ინგლისში ბელადები უწევენ მუშებს კონტროლს, საბჭოთა კავშირში კი უბრალო მუშები უწევენ კონტროლს პროფკავშირების ბელადებს.

მე ჩემის საკუთარის თვალით დავრწმუნდი, რომ იმის გაკეთება, რის გაკეთებაც რუსეთის მუშებმა შესძლეს მუშათა კლასის ბატონობის დროს, შესაძვისაც. (ადს).

საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის გეგმა

მოსკოვი, 11 დეკემბერი. საკავშირო სახ. კომ. საბჭომ მოისმინა სახელმწ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **კრჟიჟანოვსკის** მოხსენება საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს შემდეგ მუშაობათა შესრულებას სხვადასხვა რაიონებში: ცენტრალურ სამრეწველო რაიონში რაიონული სადგურები გაფართოვდება 388.000 კილოვატით და 1932 წლის 1 იანვრისათვის მიაღწევს 700.000 კილოვატამდე. ჩრდილო-დასავლეთ რაიონში დასახულია ლენინგრადის ცენტრალური სადგურების გაფართოება 100.000 კილოვატამდე. სადგურის საერთო ძალა 1932 წლის 1 იანვრისათვის იქნება 290.000 კილოვატი. უკრაინაში განზრახულია გაფართოება 250.000 კილოვატიდან 320.000 კილოვატამდი, ჩრდილოეთ კავკასიაში 100.000-დან 140.000 კილოვატამდე, ამიერ-კავკასიაში—100.000-დან 190.000 კილოვატამდე. პოვოლჟიეში—60.000-დან 70.000 კილოვატამდე, ურალზე—100.000-დან 120.000 კილოვატამდე. ბელორუსიის დასავლეთ ოლქში ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია აიგოს სადგური 60.000 კილოვატი ძალით, ასეთივე ძალის სადგურები აიგება თურქმენისტანში და ციმბირში. საერთოდ ელექტროფიკაციის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს არსებული სადგურების გაფართოებას და ახალი სადგურების აგებას (1.278 ათასი კილოვ.).

ამგვარად 1932 წლისათვის საბჭოთა კავშირს ექნება 2.010 ათასი კილოვატი ენერგია. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი ელექტროფიკაციის ხუთწლიანი გეგმა, როგორც მინიმალური და დაავალა საკავშირო სახ. საგეგმო კომისიას და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ შეიტანონ მასში ის შესწორე-

უმუშევართა საყურადღებოდ

ხარკოვი, 10 დეკემბერი. უკრაინის შრომის სახალხო კომისარიატმა გააფრთხილა ყველა უმუშევრები, რომ მუშების მიღება დნეპრის აღმშენებლობის სამუშაოზე მოხდება მტკიცე ორგანიზაციული გზით—შრომის ბირჟის საშუალებით.

ყველა უმუშევრები, რომელნიც თავის ნებით მიემგზავრებიან ზაპოროჟიეში და სხვა ქალაქებში, მძიმე მდგომარეობაში აყენებენ თავიანთ თავს; ვინაიდან არავითარი საშუალება არ არის, რომ უზრუნველყოფილ იქნან ისინი ბინებით და მაშინვე მიეცეთ სამუშაო. (ადს).

ღამის ცნობები

შვარცი და კორში კომპარტიის წინააღმდეგ

ბერლინი, 11 დეკემბერი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ შვარცისა და კორშის ჯგუფი, რომელიც გამორიცხულ იქნა პარტიიდან, გერმანიის სოციალ-დემოკრატიას აწვდის მასალებს გერმანიის კომპარტიის ავტორიტეტის დაცემის მიზნით. ეს მასალები ნაწილობრივ მიდის რედაქციაში, სადაც მას სათანადოდ ამუშავებენ. უეჭველია, რომ ამ მასალებით სარგებლობს ბერლინის პოლიციის პრეზიდიუმიც, რომელთანაც სოციალ-დემოკრატია ახლო ურთიერთობაშია და სადაც მათ პასუხისმგებელი თანამდებობები უკავიათ. (ადს).

სახალხო არმიის შეტევა

პეკინი, 11 დეკემბერი. პრესის ცნობით, მოკავშირე სახალხო არმიები წარმატებით განაგრძობენ შეტევას (ადს).

ახალი ახსნა-განმარტება

პარიზი, 11 დეკემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ელჩთა კონფერენციამ მოისმინა გერმანიის წარმომადგენლის ახალი ახსნა-განმარტება გერმანიის განიარაღების შესახებ და არ სცნო ის დამაკმაყოფილებლად (ადს).

კანონ-პროექტი პრესის შესახებ უარყოფილია

ვარშავა, 11 დეკემბერი. სეიმმა ერთხმად უარჰყო მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი პრესის შესახებ (ადს).

პოლიტპატიმართა შიმშილობა

ვარშავა, 10 დეკემბერი. ციხის წინ ვილნოში, სადაც პოლიტპატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს, ყოველ დღე ხდება დემონსტრაციები. დემონსტრანტებს ფანტავს პოლიცია. მრავალი დემონსტრანტები დაპატიმრებულია.

პირდაპირი მიმოსვლა შუა ევროპასთან

მოსკოვი, 11 დეკემბერი. მოსკოვში დაბრუნდა გზათა სახ. კომისარიატის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა შუა-ევროპის და საბჭოთა კავშირის სარკინიგზო მიმოსვლის კონფერენციაზე — ბერლინში კონფერენციამ დაადგინა, 1927 წლის 15 მაისში გაიხსნას პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა საბჭოთა კავშირსა და შუა-ევროპის ქვეყნებს შორის. (ადს).

ამხ. მიქოიანი ბაზრის მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 11 დეკემბერი. 8 დეკემბერს მოსკოვის საბჭოს გაფართოებულ პლენუმზე მოხსენებაში ბაზრის მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატმა ამხ. **მიქოიანმა** განაცხადა:

„პურის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს. 1927 წლის 1 იანვრისათვის დამზადებული იქნება 480 მილ. ფუთი პური, რაც ორჯერ აღემატება პურის იმ რაოდენობას, რომელიც წარსულ წელს დამზადებულ იქნა ამავე პერიოდის განმავლობაში. მომავალ წლის მოუსავლიანობის შემთხვევაში სახელმწიფოს ექნება 50 მილიონიანი სათადარიგო ფონდი. მუშები და მომხმარებელი რაიონები სავსებით უზრუნველყოფილი არიან პურის მიწოდების მხრივ.

მანუფაქტურის საქმე გაცილებით უფრო კარგათ არის, ვინემ გასულ წელს: მიმდინარე წელს ჩვენ მოგვივიდა 1 მილ. ფუთით მეტი ბამბა“.

ფაიფურის ფინჯანიც ალაპარაკდა

(წერილი მოსკოვიდან)

თურმე, სათუთ ნივთსაც შეუძლია ზოგჯერ გვიამბოს უდიდესი ამბავი. თურმე, ფაიფურის ფინჯანს შეუძლია ლაპარაკი რევოლიუციაზე. ამაში შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ დაათვალიერებთ საბჭოთა ფაიფურის გამოფენას.

ეს გამოფენა—უდიდესი მოვლენაა ჩვენს მხატვრულ ცხოვრებაში, და შეიძლება არა მარტო მხატვრულ ცხოვრებაში. და აი, რატომ.

საბჭოთა ფაიფურის გამოფენა გვიმტკიცებს, თუ როგორ შორს გავცილდით იმ დროს, როცა სასაცილოც კი იყო ფიქრი სათუთ და ნაზ ფაიფურზე. ეს გამოფენა გვეუბნება იმას, რომ დადგა დრო, როცა ჩვენ შეგვიძლია უკვე მოვიცალოთ მხატვრული ცხოვრების წვრილმანებისათვის, უმთავრესად იმას, რომ ჩვენ ამ მხატვრული წვრილმანებით შეგვიძლია გავალამაზოთ ჩვენი ოჯახი.

ფაიფური ლაპარაკობს რევოლიუციაზე. აი, დიდი მათლაფა „წითელი არმია“, აი ჩაის იაფი სერვიზი—ტრაქტორით და სურათებით ახალი სოფლის ცხოვრებიდან, აი—რევოლიუციონური ისტორიის კუთხე—მოთავსებული სახელმწიფო ფაიფურის ქარხნის მიერ დამზადებულ უზარმაზარ ფიალაზე.

უამრავია საბჭოთა ფაიფურის სახე, მაგრამ თვითეული მათგანი ასე თუ ისე დაკავშირებულია ჩვენს რევოლიუციასთან. ამ სახეების უამრავობა და მათი მნიშვნელობა ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება.

საქმე იმაშია, რომ რევოლიუციამდე ჩვენი ფაიფურის ქარხნების პროდუქცია არ იყო მაღალი ღირსების. პირიქით, ჩვენი ქარხნები კუდში მისჩანჩალებდნენ საზღვარგარეთის ფაიფურის მრეწველობას, ხოლო ეს უკანასკნელი ჰღეჭდა წარსული საუკუნის თემებს.

ასეთ გარემოებაში ჩვენი მხატვრული ფაიფური არ წარმოადგენდა მშრომელი ოჯახის მოხმარების საგანს, არამედ ის წარმოადგენდა ფაიფურის მცირერიცხოვან მოყვარულთა საკოლექციო ნივთს, ფუფუნების საგანს.

დღეს კი ასე არ არის.

ის რევოლიუცია, რომელიც ფაიფურის ფინჯანის დროს მოხდა, იძლევა ახალ თემას და სულ ახალ ფეხზე აყენებს საქმეს. პროდუქციის სიიაფე და მისი სიახლოვე საბჭოთა კავშირის მრავალეროვან მოსახლეობასთან (აქ მრავალი ნაციონალური მოტივია) ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გამოფენის მრავალი ექსპონატი ჩქარა გადაბარგდება გლეხის ქოხში.

ალაპარაკდა ფაიფურის ფინჯანიც.

ლ. შავერდაშვილი.

მოსკოვი 8 დეკემბერი.

პარტიული ცხოვრება

მესამე რაიონის პარტკონფერენცია

მეორე სხდომა

ხსენებულ კონფერენციის მეორე სხდომაზე ამხ. ასრიბეკოვი აძლევს სრულიად ამომწურავ პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც შემოტანილი იქნენ თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ.

კამათი

ამის შემდეგ იწყება კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. გარიბოვმა, ტარდატიანმა, ბაირამოვმა, დემეტრაშვილმა, იესიანმა, ვანციანმა, ჯაფარიმ, ალიგანოვმა, ნუცუბიძემ, მოსესოვმა, ლიოზნიანსკაიამ, იჯონმა, ჯიგოევმა, ავაკუმოვმა, კაკაბაძემ, შელამოვამ და თმაროვმა.

ყველა აქ ჩამოთვლილი ამხანაგები თავიანთ სიტყვებში უმთავრესად ეხებოდნენ შემდეგ საკითხებს: თბილისის ორგანიზაციაში პარტიულ მუშათა პროცენტის გადიდებას, ქალთა შორის მუშაობის გაღრმავებას, საწარმოო თათბირების და ეკონომ-კომისიების საქმიანობის გაცხოველებას, მომავალში თბილისის საბჭოს მუშაობის უფრო განმტკიცების აუცილებლობას, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებას, მუშა-აღმშენებლობადმი ყურადღების გაძლიერებას, მესამე რაიონში მუშათა კლუბის დაარსების საჭიროებას, ადგილობრივ გაზეთების მე-8 რაიონის მუშათათვის თავის დროზე მიწოდებას, მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასთან თანხლებულ მახინჯ და უარყოფით მოვლენათა აღმოსაფხვრელად დასახულ ღონისძიებათა უფრო მომარჯვებას, კოოპერაციის პირველ მოთხოვნილების საგნებით უზრუნველყოფას, თბილისის კომიტეტის მიერ ხელმძღვანელობის გაძლიერების აუცილებლობას მაზრისადმი, კვალიფიციურ და საწარმოო მუშების დაწინაურების მოწესრიგებას, პარტიულ უმუშევრობის მოსასპობად აღებულ ხაზის ურყევად გატარებას და სხვა...

კამათის დასრულებით იწყება

ამხ. ასრიბეკოვის საბოლოო სიტყვა

მომხსენებელი იწყებს ბიუროკრატიზმიდან და ამბობს, რომ ბიუროკრატიზმი არსებობს როგორც საბჭოთა, ისე სამეურნეო ორგანოებში. ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანაა: სასტიკი ბრძოლა მის მიმართ.

ასევე უნდა ითქვას პროტექციის შესახებაც, რომელიც, სამწუხაროდ, აქა-იქ ჩვენი პარტიული ამხანაგების სტუმარიც გახდა.

ჩვენ გავადიდეთ საბინაო ქირა, მაგრამ საბინაო ქირის ახალი დებულება გვავალებს, რომ ბინის ქირის მომატება ბოროტად არ გამოიყენოს სახლის მეპატრონეებმა და რომ ქირის მომატება სავსებით შეთანხმებული იქნას საბინაო აღმშენებლობის საერთო ამოცანასთან.

პროფკავშირებმა, სხვათაშორის, ფართედ უნდა გაშალონ კულტმუშაობა, რომელშიაც აქტიურად ჩაბმული უნდა იქნან მუშათა ფართე ფენები.

აუცილებელია, რომ ტეკამ შემდეგისათვის კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს თბილისის ორგანიზაციის ზრდას და მოწესრიგებას, კერძოდ ორგანიზაციაში მუშათა რაოდენობის გადიდებას.

ქალთა შორის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად საჭიროა ორი რამ: პირველი—ამ მუშაობაზე პარტხელმძღვანელობის გაძლიერება და მეორე—თვით ქალთა შორის მომუშავეთა უფრო მეტი ამოძრავება, ვინემ ეს დღეს არის.

რაც შეეხება ოპოზიციას—ამ მხრივ უნდა ვსთქვათ შემდეგი: მართალია, იგი დამარცხდა სასტიკად, მისი უპრინციპო და ლიკვიდატორული იდეოლოგია კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ყველა ადგილობრივი ორგანიზაციის პარტიულმა მუშებმა, მაგრამ აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღეს ოპოზიციის წინააღმდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერებული უნდა იქნას იდეური ბრძოლა. ამას გვავალებს ზინოვიევ-ტროცკის თუ გინდ უკანასკნელი გამოსვლები კომინტერნის აღმასკომის მეშვიდე პლენუმზე, სადაც ერთხელ კიდევ დაგვიდასტურეს ის, რომ ისინი ჯერ კიდევ ხელს არ იღებენ თავიანთ პრინციპიალურ თვალსაზრისზე.

საბოლოო სიტყვის დასრულებით თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ ერთხმად მიღებული იქნა

რეზოლიუცია,

რომელშიაც ნათქვამია: თბილისის კომიტეტის მუშაობის პოლიტიკური ხაზი ჩაითვალოს სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

ამით დამთავრდა კონფერენციის მეორე სხდომა.

რა გააკეთა მესამე რაიკომმა

მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა განყოფილების მუშაობა

განყოფილება მუშაობას აწარმოებს მუშა-ქალთა, დიასახლისთა და მოსამსახურეებს შორის. განყოფილების გარშემო შეკავშირებულ ქალთა რიცხვი უდრის 1.982-ს, აქედან მუშა-ქალებია 741, მოსამსახურეები — 269 და მუშების ცოლები — 972.

მუშაობა სწარმოებს უჯრედების ქალთა ორგანიზატორების საშუალებით. სულ რაიონში ითვლება 23 ქალთა ორგანიზატორი. ქალთა კომისიები —5. ქალები წევრები და კანდიდატები რაიონში ითვლება 118—10 პროც.; ქალიშვილები — ა. ლ. კ. კ. წევრები და კანდიდატები რაიონში არის 325 — 19 პროც. დელეგატ ქალების პუნქტებია რაიონში — 5, რომელთაგან სამი გლეხ-ქალთა პუნქტია და ორი ქალაქში.

სადელეგატო კრებებთან არსებობს სექციები. დელეგატი ქალები მეცადინეობენ ჯგუფებში. პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულია 186 ქალი, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში — 2447. პროფკავშირების წევრებია 1012, რაც შეადგენს 20 პროც. კოოპერატივის წევრებია — 60 პროც.

კლუბის წევრებია 400 ქალი; ჟელაზრის მუშათა კლუბთან არსებობს ქალთა კუთხე, რომელსაც ჰყავს გამგეობა; კუთხესთან მოწყობილია წრეები. კუთხის მუშაობაში ჩაბმულია უმთავრესად მუშების ცოლები.

მუშა - ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება მთელ კულტურულ და საგიტაციო მუშაობას აწარმოებს რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების საშუალებით; ქალები ჩაბმულია საერთო პოლიტსკოლებში; ამ უკანასკნელთა კურსდამთავრებულების რიცხვი შარშან უდრიდა 126. წელს პოლიტსკოლებში ჩაბმულია 125 ქალი და ამას გარდა მოწყობილია 5 პოლიტსკოლა სპეციალურად მუშა - ქალებისა და მუშების ცოლებისათვის. როგორც სადელეგატო კრებები, ისე პოლიტიკური სკოლები უზრუნველყოფილია ხელმძღვანელებით.

მუშაობა ახალგაზრდა ქალთა შორის სწარმოებს ა. ლ. კ. კ. რაიონულ კომიტეტთან ერთად ახალგაზრდა ქალთა ორგანიზატორების საშუალებით. რაიონში არის აგრეთვე თურქი მოსახლეობა. მუშა - ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება მუშაობას აწარმოებს თურქ-ქალთა შორისაც; მთელი მუშაობა ამ მხრივ სწარმოებს თურქ-ქალთა კლუბში. კლუბის გარშემო შეკავშირებულია თურქი მუშა - ქალები და მუშების ცოლები - დიასახლისები. კლუბის წევრად ითვლება 162 მუსლიმანი ქალი. კლუბთან არსებობს ა. ლ. კ. კ. წევრ - ქალთა უჯრედი და სხვადასხვა წრეები, წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფები თურქულ და რუსულ ენებზე, პოლიტიკური სკოლები და სადელეგატო კრებები. დელეგატი ქალებია 35. პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და კოოპერატიულ ხაზით საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებულ ქალთა რიცხვი უდრის 132.

მუშა - ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება თავის მუშაობას აწარმოებს რაიონული კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით. კავშირი და დახმარება მუშაობაში თბილისის კომიტეტის მუშა - ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილების, რაიონული კომიტეტის განყოფილების და უჯრედების მხრიდან კარგია. რაიონის მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის მხრივ ჭრელია, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილია, განსაკუთრებით ქალები; ქალთა ორგანიზატორები, რომელთა საშუალებითაც სწარმოებს მუშაობა ადგილებზე, ვერ არიან სათანადოთ მომზადებული. საჭიროა მათი გადამზადება. მუშა - ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება თავის მუშაობაში ანგარიშს უწევს ყველა ამ მომენტებს.

პარტგანათლება

პარტიულ - განმანათლებელ მუშაობის ზრდა, რასაც ყოველგან აქვს ადგილი, თავის გამოხატულებას პოულობს მე-3-ე რაიონშიაც, სადაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საგრძნობი მიღწევები გვაქვს ამ დარგში, როგორც რიცხობრივად, ისე ხარისხობრივად.

1924 წლიდან რაიონული ორგანიზაციის შემადგენლობის ხარისხი შეუჩერებლად უმჯობესდება, რასაც მოწმობენ შემდეგი ციფრები: 1924 წელს ნორმალურ, შემოკლებულ სკოლებში, უმაღლეს საბჭოთა პარტიულ სკოლებში, ლენინურ, საპროპაგანდო და სხვ. წრეებში სულ გაგზავნილი იყო 649 კაცი, 1925 წელს—970 კაცი. ხოლო 1926 წელს — 1037 კაცი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში მოსწავლეთა რიცხვის საერთო ზრდასთან ერთად, მცირდება შემოკლებულ და ნორმალური სკოლებში გაგზავნილთა რიცხვი, ხოლო სწრაფად იზრდება საბჭოთა — პარტიულ სკოლებში და ლენინურ წრეებში მოსწავლეთა რაოდენობა. ეს იმით აიხსნება, რომ უკანასკნელ წლებში ძირითად პარტიულ მასის პოლიტიკური უცოდინარობა აღმოფხვრილია.

წელს პარტიულ სკოლების რაოდენობა რაიონში ასეთია: საგნობრივი წრე — 1, ლენინური წრე — 4, უმაღლესი საბჭოთა-პარტიული სკოლა — 10, ნორმალური სკოლა 8 და შემოკლებული — 7, სულ 31. მსმენელთა რიცხვი უდრის 734 კაცს.

რაც შეეხება სწავლის ხარისხს, აქაც საგრძნობია მიღწევები. სკოლების წარმატებით მუშაობის წინასწარ პირობებს წარმოადგენენ: კარგად მოწყობილი სკოლის შენობები, წიგნების და სახელმძღვანელობების საკმაო რაოდენობა, ხელმძღვანელთა კარგი შემადგენლობა და კარგი პროგრამულ - მეთოდიური ხელმძღვანელობა რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების მხრივ. წელს ყოველივე ზომებია მიღებული სკოლების მუშაობის ნორმალურ პირობების შესაქმნელად. სკოლების უმრავლესობას მეცადინეობისათვის გამოსადეგი შენობები მოეპოვება. სკოლები უზრუნველყოფილია ხელმძღვანელობით, გამონაკლისს შეადგენენ ნაციონალური სკოლები, განსაკუთრებით სომხური. ხელმძღვანელებად შერჩეული არიან კვალიფიციური ამხანაგები.

გაუმჯობესდა პროპაგანდისტების კვალიფიკაცია, თუმცა ამ კვალიფიკაციის ზრდა არა საკმაო სწრაფი ტემპით სწარმოებს, ის ჩამორჩება მსმენელ მასების პოლიტიკური დონის ზრდის ტემპს. რაიონული კომიტეტი ამ გარემოებას ითვალისწინებს და იღებს სათანადო ზომებს პროგრამულ - მეთოდიური ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის. ამ ხელმძღვანელობას ეწევა საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაკის რაიონული კაბინეტი. გარდა აგიტაციის და თვითგანვითარების დარგში მუშაობისა, კაბინეტი თავის ამოცანად ისახავს ხელმძღვანელთა თეორეტიული და მეთოდიური კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ მიზნით კაბინეტი რეგულიარულად მართავს სკოლების ხელმძღვანელებთან თათბირებს.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად, სამოსწავლო წლის დაწყებიდანვე შემჩნეულ იქნა მთელი რიგი დეფექტებისა. მიუხედავად იმისა, რომ რაიკომის და უჯრედების მიერ თავის დროზე იქნა ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა, სკოლების ნაწილი დაგვიანებით შეუდგა მუშაობას. ერთგვარ გულგრილობას ჰქონდა ადგილი რეგულიარულ მეცადინეობაზე გადასვლის დროს. იყო შემთხვევები, როცა მეცადინეობა რამოდენიმეჯერ გადადებულა მსმენელთა ან ხელმძღვანელთა სრული რაოდენობის გამოუცხადებლობის გამო. ამაში ბრალი მიუძღვით უჯრედთა აგიტპროპორგანიზატორებს, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევდენ სკოლებს, ბრალი მიუძღვით აგრეთვე ზოგიერთ ხელმძღვანელებს, რომლებიც მეცადინეობას რეგულიარულად არ ესწრებიან. რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სათანადო ზომებს იღებს ამ ნაკლულევანებათა აღმოსაფხვრელად.

აულ.

როგორ იზრდება ჩვენი ორგანიზაცია

(სიღნაღი)

ს.კ.პ. (ბ) კომპარტიის სიღნაღის სამაზრკომმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორგანიზაციის ნორმალურ ზრდის მუშაობას.

მაზრკომს ორგანიზაციის ზრდის საკითხში აღებული ჰქონდა კურსი უღარიბეს გლეხობაზე, რკინისგზის სატრანსპორტო მუშებზე, და კომკავშირის აქტივზე; ზრდა ამ უკანასკნელთა ხარჯზე მიმდინარეობდა.

წლის დამდეგიდან დღემდე ორგანიზაცია გაიზარდა 345 კაცით. ამათგან 25 მუშები, 257 გლეხები და მოსამსახურენი—58.

სათანადოთ მოგვარებული იქნა აგრეთვე ცოცხალი კავშირი, როგორც თემკომებთან, ისე ძირითად უჯრედებთან. ცოცხალი კავშირის მეტი უზრუნველყოფის მიზნით, შემოღებულ იქნა უჯრედების და თემკომის მდივანთა გამოძახების პრაქტიკა, როგორც მაზრკომის განყოფილებათა კოლეგიებზე, ისე პრეზიდიუმის სხდომაზე—მოხსენებებისათვის.

მაზრის პასუხისმგებელი ამხანაგები მიმაგრებული იქმენენ თემის კომიტეტებზე უკანასკნელთათვის ყოველდღიური მუშაობაში დასახმარებლად.

სამი თვის წინად სათანადოთ მომზადდა და საქმიანად იქმნა ჩატარებული უჯრედების ბიუროების გადარჩევები. ამ გადარჩევებმა გამოააშკარავა არაჩვეულებრივი აქტივობის ზრდა. თუ ამ ერთი წლის წინად საუჯრედო მუშაობა მხოლოდ უჯრედის მდივანი „აწარმოებდა“ ამჟამად მიღწეულია ბიუროს წევრთა შორის პარტიული სამუშაოს განაწილება. საგრძნობლად გაუმჯობესდა აგრეთვე უჯრედების კრებების სისტემა და დღის წესრიგი.

გარდა ამისა მაზრკომმა სათანადო ყურადღება მიაქცია პარტგანათლების საქმეს. გასულ წელს ამ მიზნით მოწყობილი იყო 7 მოძრავი სკოლა, რომელთაც გამოუშვეს 402 მსმენელი.

მიმდინარე სამოსწავლო წლის დაწყებისთანავე გახსნილი იქმნა ერთი მოძრავი და ორი სტაციონალური სკოლები, ახლო მომავალში გახსნილი იქნება კიდევ 3 სტაციონალური სკოლა.

ქალაქში არსებობს ნორმალური ტიპის პოლიტსკოლა.

დევენი.

მიწად-მოქმედების სახ. კომისართა მე-სამე საკავშირო თათბირი

(საუბარი ამხ. ა. გეგეჭკორთან)

ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა მიწადმოქმედების სახ. კომისართან, ამხ. ა. გეგეჭკორთან, რომელიც დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც ის მონაწილეობდა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების მიწადმოქმედების სახ. კომისართა მესამე თათბირში.

— თათბირის მოწვევის მიზანი იყო მთელ რიგ სერიოზულ და თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობით საპასუხისმგებლო საკითხების გადაჭრა საკავშირო მასშტაბით და ამ მხრივ რესპუბლიკანურ მიწ. მოქმედების სახ. კომისარიატების ღონისძიებების შეთანხმება.

ცენტრალური საკითხი, მთავარი ღერძი, რომლის ირგვლივ სწარმოებდა თათბირის მუშაობა, იყო გლეხური მეურნეობა, ღონისძიებები მის ასაწევად და გასაძლიერებლად. თათბირმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკამ „სავსებით გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. მოგვცა მთელი რიგი პრაქტიკულ მიღწევებისა, პირველ ყოვლისა საგლეხო მეურნეობის საერთო აღორძინების სფეროში. ეს მიღწევები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობაში. სასოფლო მეურნეობის აღდგენის პერიოდი თავდება და სასოფლო მეურნეობა კავშირის მთელ მეურნეობასთან ერთად შედის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და ძნელ რეკონსტრუქციულ განვითარების პერიოდში და მთავრობის ამოცანაა გააძლიეროს ეს აღორძინება ვინაიდან სოფლის საწარმოო ძალების მხოლოდ შეუჩერებელ პროგრესიულ განვითარების პირობებში არის შესაძლებელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მეურნეობის ახალ ტეხნიკურ ბაზისზე გარდაქმნა რაც მთავარი წინასწარი პირობაა საგლეხო მეურნეობის მასიურ კოლექტივიზაციისათვის“.

ეს არის თათბირის მიერ გამოთქმული ძირითადი ფორმულა, საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობის სინამდვილის ძირითადი დიაგნოზი. ამის მიხედვით თათბირმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა, როგორც მაგალითად: მიწის კოდექსის იმ მუხლების განვითარება, რომლებიც აწესრიგებენ მიწათ-სარგებლობის საკითხს და ხელს უწყობენ მიწათ-სარგებლობის უბრალო ფორმებიდან მაღალ ფორმებზე გადასვლას; მეურნეობის დაყოფის განსაზღვრა და საერთოდ მეურნეობის დაყოფისათვის საზღვრის დადება; ზომების მიღება, რათა ცხოვრებაში გატარებულ იქნეს მიწის კოდექსის ის მუხლი, რომლის თანახმად მიწით მოსარგებლეებს უნდა აუნაზღაურდეთ დახარჯული შრომა და მატერიალური საშუალებები (შენობები, ნათესები, მელიორაცია და სხვ.) იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესწყვეტენ გაუმჯობესებულ მიწით სარგებლობას მიწათმოწყობის, გადასახლების და სხ. დროს, რისთვისაც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში შექმნილ უნდა იქნას სათანადო სპეციალური ფონდები; გაძლიერება ეკონომიურ, საორგანიზაციო და კულტურულ-საავიტაციო ზომების, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოო კოოპერაციის და მეურნეობის კოლექტიურ ფორმების ზრდას; ღარიბ და სუსტ მეურნეობათა სამეურნეო დახმარების ღონისძიებების სისტემატიური გატარება; ბაზრის მოწესრიგება კერძოთ ფასების პოლიტიკა, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის ინტენსიურ დარგების პროდუქტებზე, ხსენებულ პროდუქტებზე ფასების ისეთი დონის უზრუნველყოფით, რომელიც ხელს შეუწყობს ამ დარგების განვითარებას და უზრუნველყოფს მათი წარმოების გაფართოებას; მიწათმოწყობის, სამელიორაციო და საგადასახლებლო სამუშაოთა გაძლიერება; საგადასახადო პრაქტიკის გამოსწორება, კულტურულ და კოლექტიურ მეურნეობათა დაცვა და მთელი რიგი სხვა ღონისძიებათა.

გარდა გლეხური მეურნეობის აქ ჩამოთვლილი ძირითადი საკითხებისა, რომლებზედაც მიქცეული იყო თათბირის პლენუმის ყურადღება, კომისიამ დეტალურად დაამუშავა შემდეგი პრაქტიკული საკითხები: მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის საერთო საკავშირო კანონმდებლობის საფუძვლები, საკავშირო მასშტაბით საგადასახლებლო საქმის მდგომარეობა, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში გეგმიანად მუშაობის წარმოება. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა, მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკისა და ანგარიშიანობაში მუშაობის შეთანხმება, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და ტრაქტორებით მომარაგება, სელექციური და ჯიშიანი თესლეულით ვაჭრობა, მომარაგების და სტანდარტიზაცია, მოსახლეობისათვის დაუმუშავებელი ხე-ტყის მიწოდება და დახერხილი ხე-ტყის მასალით უტყეო რაიონების მომარაგება, სასოფლო სამეურნეო მავნებლებსა და ეპიზოოტიასთან ბრძოლაში მუშაობის შეთანხმებულად და გაერთიანებულად წარმოება. აღვნიშნავთ, რომ მსხვილი საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმეში გამოყენებულ იქნა საკავშირო თანხები.

საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე თათბირის დადგენილება მევენახეობასა და მეღვინეობის შესახებ, რომლითაც განსაკუთრებით დაინტერესებულია ამიერ-კავკასია და საქართველო. ამ დარგში თათბირმა დასახა შემდეგი მთავარი ღონისძიებები: შამპანიურზე აქციზის დაკლება 4 მან. და 50 კ.-დე ვედროზე, მაგარ სასმელებზე—3 მან. 20 კ.-მდე, ლიქიორზე—64 კ.-მდე ვედროზე, ხოლო სუფრის ღვინოზე აქციზის მთლად მოხსნა, სარკინიგზო ტარიფის დაკლება ომის წინადროინდელ ნორმებამდე; ვენახებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირება, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ადგილი ექნება ვენახების მასიურად დაზიანებას—სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მათი სავსებით განთავისუფლება, ყურძნის ღვინოების ფალსიფიკაციასთან ბრძოლის გაძლიერება, 1927 წლის 1-ლ იანვრიდან პურის სპირტეულით ღვინის გამაგრების სავსებით აღკრძალვა; 1927 წლის 1-ლ იანვრიდან ღვინის გამაგრების და მასში შაქრის შერევის აღკრძალვა არა ღვინის მხდელ რაიონებში, ფილოქსერასთან საბრძოლველად ღონისძიებათა შეფარდება, კერძოდ პერიოდულ თათბირების მოწვევა; ამიერ-კავკასიაში ასეთი თათბირების მოწვევა ევალება საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს; განსაკუთრებული გრძელვადიანი ფონდის შექმნა ვენახების აღსადგენად და სხვა ღონისძიებები.

თუ მევენახეობასა და მეღვინეობის დარგში თათბირის მიერ დასახული ღონისძიებები ცხოვრებაში გატარდება, მაშინ, ყოველ ეჭვს გარეშეა, ჩვენი მევენახეობა და მეღვინეობა დადგება სწრაფი და რაციონალური განვითარების გზაზე.

თათბირმა გადასწყვიტა დაამუშავოს სატყეო მუშაობის საერთო მეთოდიკა და მიუთითოს პრაქტიკული ბოტანიკისა და ახალ კულტურების საკავშირო ინსტიტუტს თავის მუშაობის მჭიდროთ დაკავშირების საჭიროებაზე რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობასთან—ინსტიტუტის მთელი მუშაობა უნდა ტარდებოდეს რესპუბლიკანურ სამეცნიერო და საცდელ საშუალებით, ამ მუშაობაზე სათანადო თანხების გაცემით.

თათბირმა გამოსთქვა სურვილი, რომ მოწვეულ იქნას [illegible] ცალკე სპეციალურ საკითხების განსახილველად, როგორც, მაგალითად, სატყეო საცდელ საქმის, მავნებლებთან ბრძოლის საკითხების და სხ.

რესპუბლიკების დავალებით რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ საკავშირო ორგანოებს და საკავშირო მნიშვნელობის კომისიებში ჩატარებული მუშაობის შესახებ თათბირმა დაადასტურა, რომ ეს მუშაობა სავსებით შეეფერება რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სურვილებს და მითითებებს.

შემდეგისთვის დატოვებულ იქნა მიწათმოქმედების სახალხო კომისართა 1-ლ და მე-2 თათბირის მიერ მიღებული მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მუშაობის შეთანხმების წესი და ფორმები.

საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკებს მიწათმოქმედების სახალხო კომისართა შემდეგი თათბირის მოწვევა განზრახულია 1927 წელს, უკრაინაში, ქალ. ხარკოვში.

მიწად-მოწყობა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილებას განზრახვა აქვს შეუდგეს მიწათმოწყობის საქმეზე გამოცემულ კოდექსის ზოგიერთ მუხლების განხილვას და კანონმდებლობის იმ ადგილების შეცვლას, რომელიც არ შეეფერება ამჟამათ ჩვენში არსებულ პირობებს.

გარდა ამისა მიწათმოწყობის განყოფილება ფიქრობს მომავალი წლიდან შეუდგეს სამიწათმოწყობო საქმის დაჩქარებას, მიწათმოწყობათა რიცხვის გამრავლებით.

ამჟამად სამიწათმოწყობო მუშაობა შეჩერებულია რესპუბლიკის რამოდენიმე პროვინციაში ზამთრის სეზონის დადგომის გამო.

მესაქონლეობა

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს ცნობით საქართველოში მესაქონლეობის გამოკვლევა დასრულდა.

ამჟამად სპეციალისტები აწარმოებენ მესაქონლეობის შესახებ შეგროვილი მასალების დამუშავებას. გამოკვლევის მიზანს შეადგენდა გამორკვევა იმისა, თუ რა და რა ჯიშის საქონლის განახლებაა საჭირო, ან რომელი ჯიშების სისხლის შერევა უფრო მიზანშეწონილი იქნება ჩვენში მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად.

უმთავრესი ყურადღება მიექცევა გლეხური მუშა-საქონლის ჯიშის გაუმჯობესებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრეთვე ჩვენებური ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებას მატყლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კაზანცევის მატარებლის დამსხვრევის გამო

მთავრობის კომისიის აზრი

წიაში მომხდარი კატასტროფის მიზეზებს გამოსარკვევად, ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ დანიშნული კომისიის თავმჯდომარემ ამხ. პავლუნოვსკიმ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში კატასტროფის მიზეზების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„მთავრობის კომისიამ უკვე დაასრულა თავისი მუშაობა და სათანადო მოხსენება გაუგზავნა ა.-კ. სახკომსაბჭოს.

ამ კომისიის დასკვნით, მატარებელი № 192-ის დამსხვრევის ერთ-ერთი მიზეზია ორთქლმავლის განმხოლოება (იზოლიაცია) მატარებლის დანარჩენ შემადგენლობისაგან, რა მიზეზითაც აღარ ამოქმედდა კაზანცევის მუხრუჭი.

მუხრუჭის უმოქმედობა არ არის თვით მუხრუჭის სისტემის შედეგი.

კაზანცევის მუხრუჭი იდეალურია, რაც დამტკიცდა მისი მრავალმხრივი გამოცდით ა.-კ. რკინის გზებზე და, აგრეთვე, მისი შედარებით კუნცე-კნორის სისტემის გერმანულ მუხრუჭებთან.

კაზანცევის მუხრუჭი წარმოადგენს დამუხრუჭების ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევას, და არა თუ არ ჩამოუვარდება კუნცე - კნორის მუხრუჭებს, არამედ, პირიქით, ბევრად სჯობნის მას თავისი ღირსებით, რაც უკვე აღიარეს გერმანიაში.

კატასტროფის მიზეზია: ორთქლმავლის განმხოლოება მატარებლის დანარჩენ შემადგენლობისაგან; როგორც ხელით, ისე კონტრ - ორთქლით დამუხრუჭების მომენტის გაცდენა; მატარებლის გაწყვეტა მრუდე ხაზზე ჩიხში და, ბოლოს, სათადარიგო ჩიხის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

სათადარიგო ჩიხი რომ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში ყოფილიყო, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა კატასტროფის თავიდან აცდენა.

მთავრობის კომისიამ გამოარკვია, აგრეთვე, რომ ა.-კ. რკინისგზის სამმართველოს ტეხნიკურ ნაწილს არასაკმაო ყურადღებით შეუმოწმებია კაზანცევის მუხრუჭები მატარებლის გამგზავრების წინ.

ამხ. კაზანცევის აზრი

ამხ. რკინისგზელებო!

საკმაო დრომ განვლო იმ დღიდან, 12 ნოემბრიდან, რა დღემაც მოგვიტანა სამწუხარო ცნობა სურამის უღელტეხილზე მთელი მატარებლის დამსხვრევის შესახებ.

ჯერ კიდევ ცოცხალია დაღუპულ ამხანაგების სახე, ჯერ კიდევ არ არის მოშორებული დაზარალებულთა ჭრილობები, ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული ის საშინელი სურათი, რომელიც გადმოგვცეს ამ უბედურობის მონაწილეებმა.

მაგრამ როგორ მოხდა, რამ გამოიწვია მატარებლის დამსხვრევა, — აი კითხვა, რომელზედაც ფიქრობს ყოველი ჩვენგანი.

ამ კითხვაზე პასუხი უნდა მოგვცეს კომისიამ, რომელიც სპეციალურად იკვლევს უბედურობის მიზეზებს. მე აქ დავკმაყოფილდები მხოლოდ ჩემი პირადი შეხედულების გამოთქმით იმ გარემოებაზე, რამაც გამოიწვია ჩემი მუხრუჭებით მოწყობილი მატარებლის დამსხვრევა.

კატასტროფის ადგილის პირველ დათვალიერებისთანავე, ამ უბედურობის მოწმეთა პირველ დაკითხვისთანავე, ჩემთვის სავსებით ნათელი გახდა მატარებლის დამსხვრევის მთელი სურათი.

მე ვამტკიცებდი და დღესაც ვამტკიცებ, რომ ამ კატასტროფის მიზეზია არა მუხრუჭების უვარგისობა, არამედ ორთქლმავლის იზოლიაცია მატარებლის დანარჩენ შემადგენლობისაგან.

ასეთია ჩემი აზრი. სათანადო დასაბუთებით ეს ჩემი აზრი მე უკვე წარუდგინე კომისიას, და რა შეხედულებისაც არ უნდა იყონ ამაზე, მე მაინც განვაგრძობ ჩემი შეხედულების სისწორის მტკიცებას ამ საკითხზე და შევსძლებ კიდეც თეორეტიულად და პრაქტიკულად ამის დამტკიცებას, რადგან ეს შეხედულება ემყარება არა პირად, მიდგომით მსჯელობას, არამედ ზუსტ მათემატიკურ გამოანგარიშებას.

მე აქ სრულიად არ ვეხები საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ და რა პირობებში მოხდა ორთქლმავლის იზოლიაცია, რა მდგომარეობაში იყო მუხრუჭები გამგზავრების წინ, მიღებული იყო თუ არა გამაფრთხილებელი ზომები და სხ. ყველაფერ ამას გამოარკვევს და დაადგენს კვლევა - ძიება.

მაგრამ რა დასკვნაც არ უნდა გამოიტანოს ამ გამოძიებამ, მაინც ერთი რამ ცხადია სავსებით; სახელდობრ ის, რომ უბედურობის მიზეზი არ არის დაკავშირებული თვით მუხრუჭის სისტემასა და სამუხრუჭო მოწყობილობათა მდგომარეობასთან. ეს აშკარაა ყველა იმათთვის, ვინც საკმაოდ იცნობს მუხრუჭს, ვისთვისაც ნამდვილად გასაგებია მისი აგებულობისა და მოქმედების ძირითადი პრინციპები. ისინი კი, ვისაც არ აკმაყოფილებს თეორიული დასაბუთება, დეე ჩემი მტკიცების სისწორეში დარწმუნდნენ დამსხვრეულ მატარებლიდან მოხსნილი მუხრუჭების გამოცდის შედეგებით. ამ გამოცდის შედეგები, მუხრუჭების დაუზიანებლობის და მათი ნორმალური მოქმედების მხრივ, უკვე ოფიციალურად დამტკიცებულია კომისიის მიერ და, ალბად, მალე გამოქვეყნდება კიდეც.

მე გულწრფელად უსურვებ კომისიას, რაც შეიძლება ჩქარა აღადგინოს უბედურობის დაწვრილებითი სურათი, გამოარკვიოს და დაამტკიცოს უბედურობის გამომწვევი მიზეზები.

მუხრუჭის ზოგიერთ მოწყობილობის კონსტრუქციასა და ჰაერდენით დაკავშირებაში მე განზრახული მაქვს შევიტანო ისეთი ცვლილებები, რომლებიც მოსპობენ ორთქლმავლის იზოლიაციის საფრთხეს და სხვა მოულოდნელ გართულებებს.

ამ მოკლე ხანში მე დავასრულებ ამაზე მუშაობას და მხოლოდ მაშინ მემანქანე მოიხმარს მუხრუჭს, როგორც უტყუარ და სავსებით მის მორჩილ იარაღს. მემანქანის ამოცანაა — გაეცნოს მუხრუჭს, შესძლოს მისი ხმარება და დაიცვას მისი გამოყენებისათვის დაწესებული ნორმები და წესი.

ამ ერთმა მძიმე შემთხვევამ არ უნდა დაჩრდილოს ახალ მუხრუჭში შეტანილ ტეხნიკურ გაუმჯობესებათა მნიშვნელობა და შეასუსტოს მისი გამოყენების ენერგია.

რამდენადაც ადრე შევითვისებთ დასახული ამოცანის მთელ მნიშვნელობას, იმდენად ადრე აღმოფხვრით ნაკლს მუხრუჭის სწორი მოვლისა და მასში შემჩნეულ დეფექტების დროზე გამოსწორების საქმეში, აღმოფხვრით, აგრეთვე, იმ უნდობლობას, რომლითაც ერთგვარად ეკიდებიან ამ საქმეს.

ჩემი სურვილია, რომ ეს მოწოდება არ იქნას გაგებული, როგორც ჩემი პირადი დაინტერესება. ცხადია, ამ დაინტერესებას იმდენად აქვს ადგილი, რამდენადაც ეს ახალი მუხრუჭი წარმოადგენს ჩემს ნაშრომს, მაგრამ ავტორის უფლებები მასზე ეკუთვნის სახელმწიფოს, და ამიტომ ამ გამოგონების ინტერესების დაცვა არის ამავე დროს მთლიანად სახელმწიფოსი და კერძოდ საბჭოთა ტრანსპორტის ინტერესების დაცვა.

მე კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგო, რკინისგზელებო, შეგნებულ და მშვიდ მუშაობისაკენ.

თქვენ არ სცდებით თქვენს სურვილში, იქონიოთ ნამდვილად მორჩილი და საიმედო მუხრუჭი. მრავალმა წელმა, რომელიც მე გავატარე ამ მუხრუჭის გამოგონებაზე, მთელ რიგ რთულმა და მრავალმხრივმა მეცნიერულმა გამოცდამ და ორი წლის განმავლობაში, შემიძლია ვიფიქრო, მუხრუჭის არა ცუდმა მოქმედებამ თქვენს, ამიერ - კავკასიის გზაზე, საკმაოდ შეამოწმეს მუხრუჭი და მისი ღირსება.

ახალი მუხრუჭის მომავალი თქვენს გზებზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სურვილს და უნარს გამოიჩენთ ტრანსპორტის ინტერესებისათვის მისი ჯეროვნად გამოყენების საქმეში.

მარადიული ხსოვნა ბრძოლის სადარაჯოზე დაღუპულ ამხანაგებს.

ჩემი მხურვალე თანაგრძნობა დაობლებულ ოჯახებს და ყველა იმათ, ვინც განიცადა ეს უბედურობა ან და დაზარალდა მისგან.

მეტი რწმენა საქმისადმი, ამხანაგებო, მეტი სიმშვიდე, მეტი შეგნება და ენერგია მის განხორციელებაში.

ამხანაგური სალამით—**ფ. კაზანცევი.**

ტყავეულობა ამიერ-კავკასიაში

ტყავეულობის შემოზიდვა ამიერ - კავკასიაში წელს სუსტათ სწარმოებს. ამ საქმეს ა.-კავკასიაში აწარმოებს ტყავეულობის საკავშირო სინდიკატი სამხრეთ - აღმოსავლეთის განყოფილების ა.-კ. კანტორა. ტყავეულობის შემოზიდვას აწარმოებს არა უშუალოდ ტყავეულობის სინდიკატი, არამედ მისი სამხრეთ - აღმოსავლეთის განყოფილება.

სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მოთხოვნილება ტყავეულობაზე უკანასკნელ ხანებში მეტად გაიზარდა, მაგრამ ა.-კ. კანტორას არა აქვს საშუალება დააკმაყოფილოს ყველა ეს მოთხოვნილებები, ტყავეულობის სინდიკატთან უშუალო კავშირის უქონლობის გამო.

მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში ა.-კავკასიაში ტყავეულობა უნდა შემოეზიდათ შემდეგი რაოდენობით: ფეხსაცმელები —95.000 წყვილი, ჩექმები — 6.700 წყვილი, ქალის ფეხსაცმელები — 27.000 წყვილი, ლანჩები — 96.000 კილოგრამი, ნახევრად ნაბდის ჩექმები — 36.000 კილო, ტყავი — 105.000 ფუტი და დანარჩენი ტყავეულობა 100.000 ფუტი.

შემოზიდულია კი: 30.000 წყვილი ფეხსაცმელი, 50.000 კილო ლანჩა და 30.000 ფუტი სხვა და სხვა ტყავეულობა.

ტყავეულობის და ფეხსაცმელების ბაზრის მოწესრიგების მიზნით, ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა მიმართა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შუამდგომლობით, დაარსოს საკავშირო ტყავეულობის სინდიკატის ა.-კავკასიის განყოფილება, რომელსაც უშუალო კავშირი ექნება ტყავეულობის სინდიკატთან.

ამასთანავე ეთხოვა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს თავის დროზე მიაწოდოს ტყავეულობის სინდიკატის ა.-კ. განყოფილებას ა.-კავკასიის კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საჭირო ტყავეულობა.

საგზაო ბეგარა

საქართველოს კომუნალური მეურნეობის განყოფილება შეუდგა მასალების დამუშავებას შრომის საგზაო ბეგარის გატარების შესახებ საქართველოში.

კომუნალური განყოფილების შეკითხვებზე ადგილებიდან მიღებულია ცნობები მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ შრომის საგზაო ბეგარისადმი და აგრეთვე მიმდინარე წელს წარმოებულ გზების გაყვანისა და შეკეთების შესახებ. განყოფილება ამუშავებს აგრეთვე ცნობებს იმ პრაქტიკულ მიღწევებზე, რომელიც შედეგად მოჰყვა შრომის საგზაო ბეგარის კანონის ცხოვრებაში გატარებას.

მგზავრის ფურცლები

* *
*

უნდა გამოვტყდე, რაჭა-ლეჩხუმში პირველად მხოლოდ ეხლა ვიყავი.

სირცხვილი ამაზე შორს როდი წავა: საქართველო პატარა ქვეყანაა, მის კუთხეებზე ხომ რა ითქმის! მათი შემოვლა რამოდენიმე დღის საქმეა—ფეხითაც კი, სხვას რომ თავი დავანებოთ.

ეს დანაშაულად მიმაჩნია. მაგრამ დანაშაულს სათანადო გასამართლებელი საბუთი თუ აქვს, ზნეობრივი სასჯელიც გიმსუბუქდება. ამით ვიმართლებ თავს...

* *
*

პირველად სიტყვა ქუთაისზე უნდა ვსთქვა.

ქუთაისი—დასავლეთ საქართველოს ყოფილი ცენტრი—რამოდენიმეჯერ შემომივლია. გავცნობივარ მის მაჯის-ცემას, სუნთქვას. რასაკვირველია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა შთაბეჭდილება მიმიღია.

განათლების, პოლიტიკის, თითქმის მთელ საქართველოს ადმინისტრატიულ-ეკონომიური შუაგული, ყოველ შემთხვევაში ერთი დიდმნიშვნელოვანი ბაზა,—აი ქუთაისი რევოლიუციამდე.

დრო შეიცვალა. თბილისმა საბოლოოდ გაიმარჯვა. ქუთაისიც ჩამორჩა, ფრთებ ჩამოშვებით აიტუზა ცხოვრების უკანა კარებთან, სალოდავათ, საბრალოდ.

აბა რა იყო შარშანდელი ქუთაისი! „ავადმყოფი ადამიანი“. არც მკვდარი, არც ცოცხალი. სინათლეც და სიბნელეც,—თუ არ ვიტყვით—სიწმინდეც და სიბინძურეც,—თანაბრად მეფობდა იქ.

მოდუნებული მოძრაობა. რაღაც უიმედობა ყოველ შემთხვევაში „უიმედობის იმედი“...

— ქუთაისს მომავალი არა აქვს—მეუბნებოდა შარშან ერთი ამხანაგი.

მხარი ავსწიე. ამით გამოვხატე ჩემი უსიტყვო,—მაშასადამე—მეტად მწარე და ნაძალადევი,—თანხმობა.

სულ სხვა მეტყველებს დღევანდელი ქუთაისი. „ავადმყოფი ადამიანი“ ჯანსაღდება, მრთელდება, იღვიძებს, სიცოცხლეს ეპოტინება.

ქუჩა გამოცოცხლებულა. იმედიანობა სჭვივის ყველაფერში: მოძრაობაში, ლაპარაკში, სულიერ განწყობილებაში, შენებაში.

დღევანდელმა ქუთაისმა არ იცის პესიმიზმი, სასოწარკვეთილება. იმედის, რწმენის, მომავლის ჩანგები გაისმის ქუთაისის მთელ არსებაში.

აღმშენებლობა, ახალი წამოწყებანი, გეგმები. ახალი პეიზაჟი იპყრობს ახლჩასულის ყურადღებას. კრიტიკული თვალი იოლად შეამჩნევს განსხვავებას „ძველსა“ და „ახალს“ შორის.

ქუთაისის გამოცოცხლების, მისი გარდაქმნის დიდძალი ენერგია და ფანატიური გატაცება დაგუბებულა.

უიმედობა გამქრალა.

— სად იყიდეთ ეს წაბლისფერი მაუდი?

— კონტრაბანდა გგონიათ ამხანაგო? ჩვენი ქარხნის ნაწარმოებია. მთელი პალტო ხუთი თუმანი დამიჯდა. გინდათ რიგს გარეშე გაყიდვინოთ ამხანაგობის მაღაზიაში?

ოპტიმიზმი, ირონია—ყველაფერი სასიცოცხლოა ამ სიტყვებში ჩაქსოვილი.

მაგრამ მარტო მაუდი როდი ათბობს ქუთაისის ჩამომქანცველ სხეულს. ისტორიული მნიშვნელობის პროექტები და გეგმები იხსნება, მუშავდება.

პირველ რიგში აღსანიშნავია რიონის ჰიდრო ელსადგურის პროექტი. ქუთაისის ზემოთ, ნახევარ ვერსზე, უნდა შეაჩერდეს რიონის გაშმაგებული დენა, წყალმა მიმართულება უნდა იცვალოს, გვირაბით წყალ-წითელას შეუერთდეს, ძლიერი ჩანჩქერით, წყლის საკმაო სიმაღლიდან დაცემა თითქმის ბუნებრივად მოხდება. ხელოვნური ამაღლება საჭირო არაა. ბუნებრივი ზედაპირი თითქმის ოდნავ არ შეილახება. დაიბადება მეორე ზაჰესი, მოხმარების გაცილებით ნაკლებ [illegible], ნაკლებ ჯაფით, არა მნიშვნელოვანი თანხით,—ზაჰესი № 2 რიგით, ნამდვილად კი №1 სიძლიერით—50 ათას ცხენის ძალით.

მთელი ქუთაისი ფუსფუსებს ამ „ლეგენდარულ უცნაურობაზე“. ქუთაისურ მეშჩანების გაყინული ტვინის უჯრედებიც კი გამთბარა მომავალ ელექტრო-სხივებით, ღამის მზის ამოსვლის მოლოდინში.

ელიან რიონის სიკვდილს და წყალწითელას მკვდრეთით აღდგომას.

ეს დღეც არ იქნება შორს. რიონის ჰიდრო ელექტრო-სადგურის აგების საკითხი მომწიფებულია პატარძლივით. თუ სადმე ხელსაყრელია ახალი ელექტრო-სადგურის აგება, ეს უსათუოდ რიონზე პირველ რიგში.

ქუთაისი კიდევ მეორე საქმის მოლოდინშია. წყალსადენი!

უწყლობა აწრობს და აღუნებს ქუთაისის ორგანიზმს.

ეკონომიის რეჟიმი წყლის ხმარებაში დაცულია—თუ გნებავთ მთელი ასი პროცენტით.

ქუთაისი მოკლებულია წყალს, მაშასადამე—ჰიგიენასაც, სანიტარიას, სიცოცხლის ენერგიას, წინსვლის საშუალებას.

— ქუთაისში ფერ-უმარილი უფრო ძვირიცაა და მეტიც იყიდება სხვა ქალაქებთან შედარებით—მეუბნება ამხანაგი,—წყალი ძვირობს პირის დასაბანადაც ვერ იშოვებენ, ხელოვნურ სინაზეს უმარილით იძენებენ.

— მამაკაცებიც კი—ხუმრობს მეორე.

მართლაც სამძიმარია მდგომარეობა. რიონი აჰობს ქუთაისს, რიონის ხმაური უღიღინებს ქუთაისის ყურის აპკს. წყალი კი მაინც სანატრელი გამხდარა.

აღმშენებლობის გეგმაში ახალი პუნქტებიც შეუტანიათ. ქუთაისს წყალი უნდა მიეცეს, ქუთაისის გამხმარი არტერიები წყლით უნდა გაიჟღინთოს.

ქუთაისში წყალსადენი უნდა მოეწყოს.

ამაზე მეტს ფუსფუსებენ, ვინემ ელექტრონზე. ეს არის მწვავე საკითხი, მწვავეთ წამოჭრილი ქუთაისის წინაშე.

მეშჩანური ქუთაისი ოცნებობს წყლით სავსე ემბაზზე,—„განსაბანავად“, „ცოდვების მოსარეცხად“.

ყველგან და ყველაფერში იმედის ჩანგები, იმედის მუსიკა მოისმის.

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს“...

ქუთაისი „გარდაცვლილა“, განახლებულა, დაიმედებულა!

ქუთაისი მიდის წინ,—ნელად, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით, დინჯათ, მაგრამ საიმედოთ.

ასეთია საერთო სახე დღევანდელი ქუთაისის ცხოვრების.

სამწუხაროდ, გუბის ხიდის საქმეს მაინც არაფერი ეშველა თურმე. ხიდი ჩანგრეულია. გლეხობა იწევს დიდ უკმაყოფილებას. გლეხობა ვერ ურიგდება ასეთ მდგომარეობას. მთელი „დასავლეთი“ მოწყვეტილია, უკაცრავათ—თითქოს მოწყვეტილია ქუთაისს. გუბის ადიდება ზამთარ დიდი ხნით აშორებს მაზრის ცენტრს სოფლებსა და რაიონებს. ნორმალური მიმოსვლა შეუძლებელი ხდება. ხონის, სამტრედიის, დიდი-ჯიხაიშის, აგრეთვე ცხენისწყლის მიდამო მხარეთა სოფლების გლეხობა უხიდობით დიდს ზარალს განიცდის. გუბის ხიდს არ აქვს მნიშვნელობა მარტო მაზრის მასშტაბით. ამ ხიდს ყურადღება უნდა მიექცეს. ქუთაისელ ამხანაგების წინასწარი ანგარიშით, ხიდი ასი ათასზე ცოტა მეტი დაჯდება. ეს გაზვიადებაა, მგონი. გაცილებით ნაკლები თანხა და გაცილებით მეტი თაოსნობა უშველის საქმეს. ყოველ შემთხვევაში, დროებითი ხიდი მაინც უნდა აიგოს.

გუბის ხიდის საკითხი მწვავეთაა დასმული. მას გადაწყვეტა უნდა. ცენტრალური ხელისუფლებამაც უნდა ჩაერიოს საქმეში, გზატკეცილების მთავარ სამმართველოზე თუ არაფერი ვიტყვით.

გუბის ხიდი მართლაც ხიდი იქნება, გლეხობასა და ხელისუფლების ორგანოებს შორის გადებული. საკითხს ამ მხრივაც უნდა მივუდგეთ. მო, მართლა, გუბის ხიდმა დამაცილა ქუთაისის ფარგალს.

მაშ წყალტუბოსაც შევხედოთ.

წყალტუბო ცნობილია მინერალური თბილი წყლებით. აქედან წარმოსდგება, მგონი, მისი მეგრული სახელწოდებაც—„წყარი ტიბუ“ (თბილი წყალი). ქუთაისიდან 8—9 ვერსითაა დაშორებული. ქუთაისის აღმასკომის ხელი აქაც დამჩნეულა: სულ ახალი გზა გაუყვანიათ—განიერი, მოკენძილი, პირდაპირი. ქუთაისიდან ავტოთი რამოდენიმე წუთია საჭირო.

წყალტუბოშიაც სდუღს აღმშენებლობა. სპეციალისტის გამოცდილი კალამი თუ აღწერს მიმდინარე მუშაობას. შენდება ახალი სახლები, ახალი აბანოები, საცხოვრებელი ბინები კლიენტებისათვის.

სიმართლე უნდა ითქვას, საკურორტო სამმართველოს მართლაც დიდი ყოჩაღობა გამოუჩენია.

აი რას ნიშნავს თურმე საქმისადმი ორგანიზაციული მიდგომა.

გლეხობაც „გაშმაკებულა“.

ვინ არ იცის, წყალტუბოს დიდი მომავალი აქვს. გასულ სეზონშიაც აუარებელი ხალხი მიაწყდა წყალტუბოს. დიდი იყო ბინის კრიზისი. უბრალო კარვებში სცხოვრობდნენ. კერძო სახლის პატრონის ბედს ხომ ძაღლი არ დაუყეფდა! მდგმურებს რამდენიც გინდა იშოვიდი. ქირა—რამდენიც მოგეპრიანება.

ახლო-მახლო გლეხობამ ალღო აუღო ამას. ყველას უნდა დასახლება წყალტუბოში, მის მახლობლად მაინც.

ბედი არ სწყალობთ. წყალტუბოს ზონა განსაზღვრულია. ნაციონალიზაცია სრული. კერძო სახლის, კერძო ბინის აგება აკრძალულია.

ხერხი სჯობია ღონეს.

მოსახლეობამაც მიმართავს ხერხს: ჩუმათ სახლდებიან. ღამით ჩამოაქვთ „სახლი“, დილაზე უკვე კვამლის ხვეტია, გაგანია ცეცხლი.

„ნაძალადევი“ „ნაძალადევზე“ შენდება. წყალტუბოსაც ჰყავს თავისი ნაძალადევი.

ჩამოსახლებულის გადასახლება ძნელი საქმეა. აქ ანაზღაურებაა შრომის, მატერიალურ დანაკლისის—მამა სისხლად.

ეს სასურველი არაა.

ადმინისტრაციამ სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს.

კურორტებზე არაა საკუთარი ადმინისტრაცია. ადგილობრივი ხელისუფლება იცავს წესიერებას. კურორტის „ავტონომიურ რესპუბლიკასა“ და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს შორის არაა ფუნქციები სათანადოთ გამოკვეთილი.

არევ-დარევა და გაუგებრობა ხშირია.

ეს საკითხი არა მარტო წყალტუბოს, მთელი საკურორტო მასშტაბით უნდა დაისვას...

* *
*

ციხმარა ამინდია. დასავლეთი გაზაფხულობს.

ალიონზე ვეთხოვებით პურ-მარილის ქუთაისს, ღვინო-ყანწების ქალაქს და რაჭის ცენტრისკენ—მივეშურებით.

ბედი მწყალობს ყოველ ნაბიჯზე. გამიჩნდნენ თანამგზავრები, პატივცემული ამხანაგები: შაშვი (გვარი რა საჭიროა, მგონი ასეთი სახელი მეორეც არაა საქართველოში, რაჭას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რასაკვირველია) და კიროლი კაკაბაძე—გამოცოცხლების, გამოღვიძების გზაზე მდგომი ქუთაისის ხელმძღვანელი,—აღმასკომის ახალი თავმჯდომარე.

სამნი...

რიჟრაჟობს. თენდება. აი საზარბაბი! ბუნების მთელი სიგიჟე და უბიწოება!

შარა-გზა რიონის გაწვრივ მიიკლაკნება, მთის კალთებში. რიონი უხსნია ხალხს. მაგრამ რიონის ეს სიკეთე ვის დაუფასებია! პირიქით, რიონს რკინის სალტეებით ემუქრებიან, „სიკვდილს“ უწინასწარმეტყველებენ, ახალ სამარეს უთხრიან. ქუთაისი ემუქრება მას.

მივდივართ ნელა. აქ აჩქარება ვის გაუბედნია. ვაი იმას, ერთი ნაბიჯი უხნებლიდ ვისაც გადაუსცდება. ხრამისკენ, რიონის უფსკრულისაკენ. რიონი ჩაგზიტებს სამუდამოთ...

შიში გვიორკეცდება. სიფრთხილე გვიძლიერდება. ერთი დღის წინეთ თბილისიდან დეპეშამ საზარელი ამბავი ჩაგვძახა: თბილისიდან თერთმეტ ვერსზე კატასტროფა ავტოხა...

დაამსხვრა, დაშავდნენ.

უბედურების ურჩხული შემაძრწუნებელი მიხვრავს მთელს სხეულში.

— ფრთხილად, შოფერ!

ვინ იცის... ბეწვის ხიდზე ვდგევართ.

მართლაც ძნელია პირველი მგზავრობა. ვისაც არ უვლია, ძნელია მისთვის სწორი წარმოდგენა.

ასეთ გზით ასი ვერსი უნდა გაიარო. [illegible] დანარჩენი კიდევ სხვაა.

რამდენი ძველი ციხე-სიმაგრეები! არავინ იცის, რომელ დროიდან. ნაშთებია მძიმე საუკუნეების.

რესტორანები უხვათ „გულწრფელად“ გვპატიჟებიან. ფული გინდ ნუ გადაიხდი. არ აინტერესებთ, თითქოს „ლამაზი თვალებისათვის“ გვეპატიჟებიან, რაღა.

საათი საათს მისდევს. მშვენიერი ბუნება გიტაცებს, გაბიაბრუებს, გათრობს. ოცნებას ეძლევი, ფანტაზია გიფრენს.

— აი იმ ადგილას, ორ მთას შუა, ჩასაფრდა წითელი რაზმი. შევებრძოლეთ. სამი ამხანაგი მოგვიკლეს—ქიქნაძე ამხ. შაშვი. ანთებული თვალებით მოგვითხრობს ალიხანოვის შემოსევის ცეცხლით და მახვილით.

ამბავს ისეთივე გატაცებით ვისმენ, როგორც ზღაპარს დევ-გმირებზე ბავშვობისას.

ვხედავ თავგანწირულ ბრძოლის ადგილებს.

* *
*

შემთხვევით ჩემი ხელიგზე შეიცვალა. ონი განზე დავტოვეთ.

შოვისკენ გავსწიეთ. არ ვნანობ. მიხარია კიდეც.

ბევრი მსმენია შოვზე. კარგიც და ავიც. წამიკითხავს. მაინტერესებს ნახვა, დათვალიერება.

განსაკუთრებული ბუნება იშლება შოვის გზაზე.

აი უზარმაზარი თეთრი პირამიდივით აწვეტებულა მთა. ნამდვილ ეგვიპტურ პირამიდას მაგაგონებს.

კატიწყერას ეძახიან.

ის შუქურაა, შოვის მაჩვენებელი. იძლევა მიმართულებას.

უახლოვდები შოვს—იძირები ბუნების სიქალწულეში.

შოვი—მწვერვალია მომხიბვლელობის.

გვიან ვესტუმრეთ. მზე დაგვემალა. შერცხვა ალბათ. რა გაეწყობა, „სოფლის პატიოსნება“.

რიჟრაჟზე ფეხზე ვართ. ყინავს. გავდივართ სანახაობა იწყება.

მზე პირბადეს იხდის. აღმოსავლეთი წითლდება. მამისონის მწვერვალების სხივები დასთამაშებს. ირგვლივ მთები, ორ ზონათ დამწკრივებული. პირველი—მუდმივი თოვლით, თეთრი წვერ-ულვაშით დაბურული, ღრმა მოხუცი, მოწმე შორეულ წარსულის, ამაყი, უტეხი, გაურეკველი. გარეული თხა, არჩვი, შველიც კი ვერცხლის წვერზე შავ ბურთივით დახრიალებენ. რამდენ მონადირეს აუტოკდება გული.—მეორე—მწვანებული, ფიჭვნარით და ნაძვნარით შემოსილი, მხიარული, განსაკუთრებული ემოციონალობის გამომწვევი, აღმაფრენი. ეს ზონა მუშათა გარსშემოერტყმულა კურორტს დასამშვენებლად, შესამკობად.

ვუცქერით მომხიბვლელ ბუნებას, ბუნების სათაყვანო მოვლენებს. გრძნობა გუბდება. სიტყვები ყელში გეჩხირება. აზრი ვერ გამოგითქვამს. გრძნობა სჭარბობს გონებას. პოეტები გრძნობის ხალხია და ახლა მივხვდი, კარგი პოეტი რატომ არის ცუდი მეტყველი!

საბედნიეროთ, პოეტი არა ვარ, თორემ ხომ გამჭვდავდა ბუნების მიმზიდველობა ჯაყოს ხელებით.

შოვზე მართლაც ითქმის პოეტის სიტყვები: — „მის მშვენებას ვერ აღწერს ხელი“.

მზე სამკაოთ ამოგოგდა. შეცურა უდროობაში და უსაზღვროებაში. ამაყათ დაგვყურებს, იცინის. ახლა ჩვენ ვემალებით. ჩვენა გვრცხვენიან. გრძნობა დაეშვა. შევუდექით საფუძვლიან დათვალიერებას. ვუკვირდებით ყველაფერს. ყველაფერი გაკვირვებას იწვევს.

საკვირველია: მივარდნილ კუთხეში, ბუნების წიაღში, მწვანე მთის კალთებში ვინ გაბედა ასეთი ლამაზი სახლების, ელექტრო-სადგურის, სახერხ მანქანების დადგმა—აგება?

ვინ წაართვა შოვის მიდამოებს სიქალწულე, ვინ გაარღვია ბუნების ჯადოსნობა! რამ ააშენა ეს მომხიბვლელი სახლი, [illegible] ფიჭვნარიდან მთის კალთიდან?!

მართლაც პირველ რიგში ახალი შენობებია საყურადღებო. ისინი გიზიდავენ ანდამატივით. აი, ეს სახლი, აგებული [illegible] ტიპისაა უკანასკნელი სიტყვაზე. ორმოცდა თექვსმეტი ოთახი, ორმოცდა თექვსმეტი აივნით. ლამაზი, კრიალა, [illegible] საჭირავაც გამოუყენებიათ. [illegible] თოთხმეტივე აივნით. აქიდან ხედავ მთელ შოვს, ვით ხელის გულზე.

კურორტებზე ექსკურსიით მაინც ვყოფილვარ. ჩვენში თითქმის ყველა დამივლია. ახალი საკურორტო შენობები დამითვალიერებია. მაგრამ... ამ სახლის მსგავსი თავისი კონსტრუქციით, სილამაზით არაფერი მინახავს.

აი როგორ უნდა აშენდეს სახლი ჩვენს კურორტებზე, აგარაკების სანიმუშოა.

მხატვარიც არა ვარ, არც ფოტოგრაფი. სულმა წამსძლია ამ სახლის ქაღალდზე აღსაბეჭდათ. ფანქარს წავავლე. უკმაყოფილების გამანადგურებელმა გრძნობამ ელექტრო ნაპერწკალივით გამიელვა ტანში, მხატვრული იმპოტენცია რომ გადამეღობა, გადამეჩეხა.

ეს სახლი ორჯერ დავათვალიერე, „მაეროვან კოცნით“ გავლოკე...

აქვეა კურზალი, სასტუმრო, სამზარეულო, სხვა შენობები.

საძირკველი ჩაუყრიათ ახალ დიდ შენობას.

სახერხი მანქანა განუწყვეტლივ ქაჩანებს—ალიონიდან. გლეხების ფუსფუსი. ხმაური ხერხის. ჭიხვინი ცხენების.

ვათვალიერებთ მანქანას. ორგვარია ის—ერთი წყლით მოძრავი, მეორე—ჩვეულებრივი დიზელი.

იხერხება ახლოვანი ფიჭვები. ტყე არ იჩეხება.

— ხიდან მოგაქვთ, ამხანაგო, ასეთი ხე?

— რა თქვით-უკ, ბატონო. ხის მეტი რა არის ამ ტყეებში, არ ვსჭრით, ბლომათაა წაქცეული თავისთავად.

— ვწმენდავთ-უკ, თქვენი ჭირიმე, ტყეს. მთავრობა ნებას გვაძლევს და ჩვენც მადლიერი გახლავართ.

გლეხობთან სხვა რამეზეც ვბაასობ. ორი წლის წინეთ, შოვის ექსპლოატაციის საქმე რომ დაიწყო, გლეხები უკმაყოფილონი იყვნენ თურმე. სად იყო შეგნება.—ავყვირდებ? ტყეს არ მოგვცემენ, სიცოცხლეს გაგვიძნელებენ—გაიძახოდნენ. სულ სხვაა განწყობილება ახლა. მუშაობენ. ფულს აკეთებენ. ხერხავენ. აგარაკზე თავიანთ ნაწარმოებს ეზიდებიან. ჰყიდიან. სულ ითქვამენ. ჩაცმული არიან, დახურული. შოვი შენდება—უხარიათ.

ჰიდრო სადგური თითქმის დასრულებულა. ას ოცი ძალისაა. გამოვსცადეთ. წყალი გაუშვით. აძაურდა დგლები. ტაში. ყველაფერი რიგზეა. წვრილმანები-ღა დარჩენილა. შოვი განათდება. ბებერი ბუნება ერთხელ კიდევ გამოცდება, შეხახვიგინდება.

შესანიშნავი საქმეა!

კოოპერატივიც აქვეა. სავსეა მუშტრებით. პირველ საჭიროების საგნები არის. წევრებიც ბლომად ჰყოლია შოვის კოოპერატივს. მთელი სოფელი ჩაწერილია.

ცხადია, სადაც ელექტროფიკაციაა, კოოპერაციაც იქვე ჩნდება. ელექტროფიკაცია და კოოპერაცია შედუღებულია ერთმანეთთან.

აი მართლაც რატომ მოუცია ლენინს გენიალური ფორმულა: „ელექტროფიკაცია plus საბჭოთა ხელისუფლება არის სოციალიზმი“.

[illegible]

მაგრამ რა არის ყოველივე ეს! სულ სხვაა შოვის ფუნდამენტი, საფუძველი.

სამკურნალო წყაროები!

ჩვიდმეტი სხვადასხვა თვისების წყალია. ანალიზი ქმნილია. გამოკვლეულია მათი სამკურნალო ღირსება. ნიშანი ყველგან დადებითია. წყლები უშველის მრავალგვარ ავადმყოფებს: კუჭ-ნაწლავებს, სისხლნაკლებობას, საერთო სისუსტეს და სხვა მრავალს.

წყლები უხვად მოდის. რამოდენიმე ადგილას მოჩუხჩუხებს. დებეტი დიდია.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხელუხლებელია წყლების საქმე. კაპტაჟი გაკეთებული არაა. ერთნაირ თვისების წყალს ერთად უნდა თავმოყრა. დებეტიც გაძლიერდება, მოხერხებულიც იქნება. ალბათ, კურორტის გახსნამდე ესეც მოეწყობა.

— როდის გაიხსნება კურორტი?—ვკითხულობ.

— ზაფხულის დასაწყისში, ივნისის პირველ რიცხვებში!

ისტორიული იქნება ეს დრო. საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ აღმშენებლობაში ერთი ნაბიჯი გადაიდგმება. შოვი გაიხსნება. დიდძალ მუშას და გლეხს ჯანმრთელობისაკენ ახალი გზა გეხსნება.

ფაქტიურად შოვი კარგა ხანია გახსნილია. შარშანდელ კარვებით დაცხრილულია შოვის ფერდობები. ჩამოსულან რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა რესპუბლიკებიდან.

შოვი დაუთვალიერებიათ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ მესვეურებსაც: ამხ. სტალინს, ენუქიძეს, კუიბიშევს, ორჯონიკიძეს.

ახლა კი ეჭვი არ მეპარება შოვის უდიდეს მომავალში. შოვი ერთ-ერთ პირველხარისხოვან კურორტად უნდა ჩაითვალოს. მისი მნიშვნელობა საკმარისი მასშტაბით გაიზრდება.

განსაკუთრებით დიდი სიმდიდრეა შოვი რაჭის მაზრისათვის. ნუ თუ ეს ვინმესთვის გაუგებარია?!

საკითხს შოვის შესახებ ასე ვაყენებ: შოვის მოწყობის საქმე სავსებით უნდა დასრულდეს, დაგვირგვინდეს. ორიოდე ამხანაგის ფანატიური გატაცება და თავდაუზოგველობა არაა საკმარისი. საქმე გაიზარდა. საჭიროა ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, სახელმწიფოებრივი დახმარება. აქ რამდენიმე ვარიანტია შესაძლებელი: რაჭის აღმასკომი, საკურორტო მთავარსამმართველობა, საკავშირო მთავრობა. არ ვიცი, ვინ დაეპატრონება. დაპატრონება კი საჭიროა და აუცილებელი.

საკითხი ასე უნდა გადაწყდეს. თვალსაზრისთა სიჭრელე მავნეა და მიუღებელი.

ცუდია გზა შოვისაკენ. ავტოს ეძნელება. გზა გასაფართოვებელია, მოსაკეთებელი, გასასწორებელი.

თუ რამე ხელს შეუშლის შოვის წინსვლას—უსათუოდ გზა.

რაღაც რკინისგზის პროექტია. განზრახულია ხაზის გაყვანა სენაკიდან ჩრდილოეთისაკენ მამისონის უღელტეხილით. შოვს გაუვლის. რამოდენიმე ასეულ მილიონის გეგმაა. ძნელია, რასაკვირველია.

პროექტი პროექტია, სინამდვილე—სულ სხვა ხილია.

შოვის გზას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მგონი, ორმოცდა ათი ათასი უკვე გადადებულია. საკმაო თანხაა. მუშაობა გაზაფხულზე დაიწყება და შოვის გახსნამდე დასრულდება.

ახალი გზა გაიჭიმება.

შოვის ბედსაც ძაღლი არ დაჰყეფს...

შთაბეჭდილებით დატვირთული, გრძნობებით დამძიმებული გამოვეთხოვეთ შოვს, ხელჩამოურთმევლად—ნიშნად მოულოდნელ გამიჯნურებისა...

ახლა კი ვისწრაფი სხვა მიმართულებით.

* *
*

რაჭაში იყოთ და რაჭის დედა-ქალაქი—ონ-გრადი—არ ნახოთ ვის გაუგონია!

ბედმა მიმუხთლა. ონის „ანალიზი“ ვერ მოვასწარი. ღამე ჩავედი. ელექტრო-სადგურში შევიჭყიტე. ელექტრონის შუქი მკრთალად ანათებდა. ალბათ, მოთხოვნილებაა დიდი და სადგური ვერ სწვდება—ვიფიქრე.

დამნაშავე თვით სადგური აღმოჩნდა.

ოცი ცხენის ძალა!

რას ეყოფა ეს ქალაქს? ნუ თუ ვერ მოხერხდა მიდრო გამოყენება? რიონი ხომ გვერდებს უმტვრევს ქალაქს!

კარლიკულ ელექტრო-სადგურის შთაბეჭდილებამ წინასწარ ჩაკლა ქალაქის დათვალიერების წყურვილი.

არ შემიძლია რამეს გავკრა კვანტი. რიჟრაჟზე დავსტოვე ონი—გაუცნობლად, დაუმეგობრათ. ალბათ, შევხვდებით კიდევ.

საერთოდ, რაჭაში გაჩაღებული აღმშენებლობაა. სოფლები შენდება. ახალი გზები. ახალი ხიდები. ახალი სკოლები.

სოფლის ნახვა მწყურია. მაინტერესებს რაჭის სოფელი.

ამბროლაურში გადაუხვიეთ.

რიონზე ახალ ხიდს აკეთებენ. ქვის უზარმაზარი ბოძები 20—25 ათასი ჯდება.

ნუ თუ გუბის ხიდზე მეტი დაიხარჯება!

აქვეა სამეურნეო ტეხნიკუმი. მოწაფეების საცხოვრებლად სპეციალური სახლიც აუგიათ. ხელს უწყობენ ღარიბთა შვილებს.

ეკლესია დაუნგრევიათ. ქვებს სადღაც ეზიდებიან.

ეს ისტორიული ეკლესია ყოფილა თურმე. კარის ქვებს ჩაუჩუქურთმებიათ.

— ეს არქეოლოგიური ნაშთია, მეცნიერების საქმეა. ხომ არ აპირობთ გაცამტვერებას?

— ვინ მოგახსენათ-უკ, ნაბრძანები გვაქვს, წარწერები და ჩუქურთმები შეინახეთო.

აქვეა მეორე ხიდი, პატარა მდინარეზე, მაგრამ ძალიან მოზრდილი. ერთი წლის წინეთ აუგიათ.

ალბათ, გლეხობა აფასებს მთავრობის ამაგს. კარგ ხელმძღვანელებს.

გადმომცეს, ელექტროფიკაციაა განზრახული.

ამას რა სჯობია. ბუნებრივი არხი მზათაა. საჭიროა ტურბინა და ელექტრომოძრავი, ბოძები და მავთული.

ათი-თხუთმეტი ათასი გაახსიოვნებს მთელ არგ-მარგს.

დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება. დღეს თუ არა, ხვალ მაინც.

„ბეწვის ხიდს“ ყოველ ნაბიჯზე შევხვდები. რიონზე უთვალავია ასეთი ხიდები. ბოძები არ აქვთ. კანატზე ჰკიდია. ვიწროა, უმანო. ადამიანს ვაუშინდება, მგონი, ნაპირს გასვლა.

— რას ბრძანებთ-უკ, თქვენი ჭირიმე, ურმები დაიარებიან. აი შეხედეთ.

რაღაც მოგრიალებს. ქონდრის ხარები. ურემი არ ჩანს თურმე მიწაზე ხოხავს. ხიდი ქანაობს.

მოო, „ურემიც“ გადის!—ჩაილაპარაკე ირონიულ თავშეკავებით.

სტუმარ-მოყვარეობას იჩენენ. სხვა სოფლად გვეპატიჟებიან. ზრდილობა, დარბაისლობა. ყურადღებას იპყრობს რაჭველი გლეხის შეგნებული გამოხედვა,—თუმცა ალმაცერათ, მაგრამ ჭკვიანათ, ერთპირულად.

— გაზეთი მოგდით, კითხულობთ რასმე?

— აბა რა კითხვაა, ვიწერთ-უკ. „ახალი სოფელი“ ყველას გვაქვს. მის გამჩენს ვენაცვალეთ!

წერა-კითხვის უცოდინარობა იშვიათია. თითქმის ყველა სწერს, ყველა კითხულობს. „განათლების“ მხრივ რაჭას—გურიის შემდეგ—პირველი ადგილი უჭირავს.

მაშ რა საკვირველია, გაზეთს მასიურად თუ იწერენ.

შთაბეჭდილება შთაბეჭდილებას აწვება. მძიმდება. თვალსაჩინო მომენტი ცნობიერებაში დომხალივით ირევა. მინდა რაჭის სოფლის შესწავლას ჩავსწვდე, რაჭველ გლეხის სულში ჩავიჭყიტო.

მაგრამ... გონება მოვალეობისაკენ მიწოდებს. ლეჩხუმისაკენ!

* *
*

რაჭა-ლეჩხუმს „სახელმწიფოებრივი“ საზღვარი აქვს—ჭრებალო.

ეს ორიგინალური სათემო ცენტრია. აქ აფთიაქი—რაჭის ტერიტორიაზეა, მაშასადამე—ონის „გავლენის სფეროში“, რაჭის „ქვეშევრდომი“. დუქნები, სამკითხველო—ლეჩხუმის ზონაშია.

პატარა ღელე მიიჩუხჩუხებს. აქეთ—ლეჩხუმისტანი. იქით—რაჭისტანი.

ჭრებალოს გარშემო დიდი ჩხუბია. ჭრებალო ლეჩხუმს ეკუთვნის. რაჭა პროტესტს აცხადებს. ხალხიც ორათ გაყოფილა. ზოგი ონს იცავს, ზოგი ცაგერს.

საერთოდ, ისტორიული დანესტილი ატმოსფერო რაღაც გაუფანტველად მეჩვენება.

ლეჩხუმელი ფეოდალები ებრძოდნენ რაჭველ ფეოდალებს, ჭრებალოც ხელიდან ხელში გადადიოდა.

ანალოგიის აზრი გიღვივდება უნებლიეთ, ჭრებალოს „გაწამაწის“ რომ უკვირდები.

ჩვენმა ჩასვლამ რაღაც ინტერესი გამოიწვია. ჯგუფად მოცვივდნენ. უყურებენ.

— გაუმარჯოს, ღვთისამე, მოგვისმინეთ!

მოუსმინეთ. გამოვკითხეთ. ხარაზი, დალაქი, მეკუტანი, მეწვრილმანე ერთმანეთს აწყვეტინებს.

გამოირკვა: სანიტარულ კომისიას დაუჯარიმებია ისინი. „სანიტარიის ზაკონი“ დაურღვევიათ. სამაგიეროთ—ჯარიმა. ხუთი, სამი, ორი თუმანი! ასი მანეთითაც ყოფილა თურმე ზოგი დაჯარიმებული.—ცაგერს სულგრძელობა გამოუჩენია. გაუნახევრებია!

— აი ჩვენი ხელები. დახედეთ. დღე-ღამეს ვასწორებთ!—ცხარობდა ერთი ხარაზი (მგონი ხარაზი).

ლაილაშის მილიციის უფროსი გამოუგზავნიათ. ბრძანება: „ან ფული, ან ყური“. ჩვენს ენაზე—ან ჯარიმა, ან დუქნის დაკეტვა.

ჭრებალოში ჩერვონცები ძვირობს, როგორც ოსმალეთში ღორის ქონი.

გვეხვეწებიან, გვემუდარებიან. რა გაეწყობა—ვპირდებით. მშვიდდებიან.

მილიციის უფროსი მართლაც შეგნებული, სერიოზული ამხანაგი აღმოჩნდა. დაგვიჯერა. ვადა მოგვცა. გადამწყვეტი სიტყვა ცაგერს ეკუთვნის. ბუნებრივია.

მე ცაგერში მივალ. მაშ ამ ხალხის „ბედ-იღბალი“ ჩემს ხელშია!

მშ!...

ჭრებალოდან ცაგერამდე კარგი მანძილია. ცხენი—სატრანსპორტო იარაღია. გზას დილაზე უნდა გაუდგე. ერთი ღამე ჭრებალოსთან უნდა გაინაწილო.

აფთიაქის გამგე ავეტუზე კარებში. მასპინძლობა ჩვეულებრივია.

მოვიდნენ მეზობლები—ყოფილი თავადები.

ერთი მათგანი—დიმიტრი უიფიანი, თავადაზნაურობის ყოფილი წინამძღოლი.

შეხედულება—ახოვანი მოყვანილობა—მოწმეა მისი წარსულის გმირობის.

ვაკვირდები ამ კაცს, მის მიხვრა-მოხვრას, ლაპარაკს.

ფეოდალურ ვითარების ცოცხალი ნაშთია! საინტერესოა!

ალბათ, რამოდენიმე წელში ასეთი ნაშთიც აღარ დარჩება ბრწყინვალე წოდების.

ნეტავი გვქონდეს მუზეუმი ადამიანების—მუზეუმი ანტროპოლოგიური.

ჩემი წინადადება იქნებოდა ამ კაცის გაგზავნა ასეთ მუზეუმში.

მას უყვარს ხუმრობა. სახუმრო სიტყვებში აქსოვს თავისს ნაღველსა და მწუხარებას.

საერთაშორისო რევოლიუცია რომ იყოს, ბოლშევიკი გავხდებით.

არაა დღეს ასეთი რევოლიუცია. მაშ რაღაცას იმედი დარჩენია!

ნუ თუ?!

ვსაუბრობთ. ჩემსა და მის სიტყვებს შორის აშკარა ომია გამართული.

ვინაობას კითხულობს. უხსნიან. არ ესმის, ვერ ერკვევა. ახალ სიტყვებს ვერ შერიგებია. ყოველთვის ძველს ადარებს.

ვიღაცამ წამოიძახა—რედაქტორიო.

წამოვარდა. თვალები გაუფართოვდა. გადამეხვია.

— რედაქტორი ჩემი სათაყვანებელი პირია. ანტონ ფურცელაძე და ილია ჭავჭავაძე იყვნენ რედაქტორები. მერე რედაქტორი არ მინახავს!

არკვევს რედაქტორის საზოგადოებრივ თვისებას. მიხვდა ძველი, დახავსებული.

საწყალი! მართლაც რამდენად ჩამორჩენილა ცხოვრებას! სიცოცხლეს...

* *
*

მამლების კონცერტი გაზურდა.

სოფელი! რამდენი ხანია მოვსწყდი მას. ქალაქმა შთანთქა. ქალაქშია ცხოვრების მაჯისცემა. ქალაქიდან მოდის მომავალი.

სოფელი მიდის. საინტერესოა მასთან ყოველი წუთი!

ცხენი შეუკაზმიათ. ვიჩქარი. დღესვე ცაგერს უნდა გადავეშვაო. ცაგერი მელოდება. ვიჩქარი.

— შენ სად მიდიხარ, ამხანაგო?—ვეკითხები ცხენის პატრონს.

— ცხენს უნდა გავყვე, თქვენი ჭირიმე, დავაბრუნო უკან.

— მაშ მეორე ცხენი სადღაა?

— არა უშავს, ფეხით გაგყვებით. ასეთია ჩვენი წესი.

გამიკვირდა. თხუთმეტი ვერსი ფეხით უნდა იაროს ამ უღრან მთებში. ეს არაფერი, მე—ცხენზე, ის—ცხენთან. რაღაც გუბერნატორულია.

— იშოვეთ ცხენი. ფულს გადავიხდი. ფეხით რაფერ დამეწევით. მერე ძველი დრო ხომ არ გგონიათ!

— რის ძველი დრო, თქვე-უკ რას ბრძანებთ, წინეთ ცხენზედაც ჯდებოდნენ და კაცზედაც. ფულს ვინ მოგვცემდა, თუ გინდ მაწანწალებს დროს. გამოგვიძახებდნენ—კუდზე ცხენი. უნდა გვეშოვა, რა გზა იყო. ახლა ხელ სხვაა. ცხენს

საყოველთაო აღწერისათვის

რას ისახავს მიზნათ აღწერა?

როგორც უკვე ვიცით, 17 დეკემბერს დაიწყება მცხოვრებთა საერთო აღწერა.

ჩვენი სახელმწიფოს ყოველი აპარატი მცხოვრებთა მშრომელი ელემენტების სამსახურისათვის არის მოწყობილი, საკავშირო ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ნაწილდება და კონტროლის ქვეშ იხარჯება ისევ ხალხის საკეთილდღეოდ. ამიტომ სრულიად ბუნებრივი უნდა იყოს, რომ ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იმ ცნობების მუდამ ხელქვეშ ქონა, რომელნიც მცხოვრებთა რაოდენობას შეეხება.

აღწერის საპირადო ბარათის მესამე კითხვა არკვევს წლოვანების საკითხს, რომლის სწორი პასუხით სახელმწიფოს სრული წარმოდგენა ექნება მოსწავლე ახალგაზრდობის, მეომარი ძალების და სხვათა შესახებ.

ჩვენი ქვეყანა სოციალისტური ქვეყანა არის და მისი მცხოვრებთა ყოველგვარი მარაგით უზრუნველყოფა, სავსებით ეკისრება სახელმწიფოს და არა კერძო კაპიტალს.

ამიტომ პურის მომარაგება სახელმწიფოს მონოპოლიად არის გამოცხადებული და იმისათვის, რომ სახელმწიფომ თავის დროზე მიიღოს ზომები ქვეყნის ამა თუ იმ დამშეულ ნაწილის უზრუნველსაყოფად, რასაკვირველია, საჭიროა ამ ნაწილის მცხოვრებთა რაოდენობის ცოდნა.

გარდა ამისა, ფაბრიკა-ქარხნები და საერთოდ მრეწველობა დღეს სახელმწიფოს ხელში იმყოფება, ეს ქარხნები ყოველდღიურად ამზადებენ აუარება საქონელს. ამ საქონლის გასაღებისათვის საჭიროა ბაზარი.

საჭიროა ამ ბაზრის უნარიანობის გამორკვევა, ე. ი. მცხოვრებთა რაოდენობის და სხვა პირობების გათვალისწინება.

პირადობის ბარათის მეოთხე კითხვაში დასმული არის მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობის საკითხი.

ეროვნებათა რიცხვის გამოკვლევა დიდ საჭიროებას წარმოადგენს. ამის გამოკვლევით კანონიერ ფარგლებში იქნება დაცული მცირე ეროვნებათა ინტერესები, სხვადასხვა საკანონმდებლო ორგანიზაციებში წარმომადგენლობის არჩევით და სხვა.

საპირადო ბარათის მეოთხე კითხვაზე გაცემული პასუხი მოგვცემს ამ ცნობებს და მასალების დამუშავების შემდეგ ჩვენ სრული სურათი გვექნება მთელი კავშირის ეროვნული შემადგენლობის შესახებ.

საპირადო ბარათის მეცხრე მუხლი არკვევს წერა-კითხვის მცოდნეთა და არა მცოდნეთა რაოდენობას. ილიჩის სურვილი, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე არ დარჩენილიყო არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ვერ სრულდება, იმიტომ უფრო, რომ თავის დროზე არ გვქონდა ცნობები ამ უცოდინართა რიცხვის შესახებ. მეცხრე კითხვა სავსებით არკვევს ამ ძნელ საქმეს და აღწერის შემდეგ ჩვენ გვექნება უტყუარი ციფრი წერა-კითხვის უცოდინართა შესახებ.

ამასთან ერთად საპირადო ბარათი არკვევს თუ სად, რომელ კუთხეში რამდენი წერა-კითხვის უცოდინარი გვეყოლება. ამ ცნობების მიხედვით სახელმწიფო შეადგენს წერკუმსის ქსელებს, ხოლო მესამე კითხვის მიხედვით კი სასკოლო ქსელს, ვინაიდან მესამე კითხვა გვირკვევს ჩვენ წლოვანებას და აქედან კი შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ რამდენი სასწავლებელი იქნება საჭირო პირველი საფეხურის, რამდენი მეორე საფეხურის და სხვა.

ფრიად საყურადღებო ცნობებს მივიღებთ ჩვენ საპირადო ბარათის მე-10 კითხვიდან. ეს კითხვა არკვევს, რამდენი დასახიჩრებული არის სახელმწიფოში და რა მიზეზი იყო ამ დასახიჩრების. მსოფლიოში ერთად ერთი სახელმწიფო არის ჩვენი კავშირი, რომელიც ზრუნავს დასახიჩრებულებზე.

დასახიჩრებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩვენმა სახელმწიფომ შექმნა სპეციალური სოციალურ-უზრუნველყოფის კომისარიატი, რომელიც განსაკუთრებით ეხმარება იმპერიალისტური ომის მიერ დასახიჩრებულთ

საპირადო ბარათის მეათე კითხვა სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატს მისცემს საშუალებას გამოარკვიონ რესპუბლიკის დასახიჩრებულთა რაოდენობა და ამ რიცხვის მიხედვით წარმართოს თავისი მომავალი საქმიანობა.

ყველაზე უფრო საინტერესო ცნობებს მოგვცემს ჩვენ საპირადო ბარათის მე-12 კითხვა, რომელიც შეეხება მცხოვრებთა მოსაქმეობას, მდგომარეობას მოსაქმეობაში და შრომის დარგს. ჩვენ არა გვაქვს სრული ცნობა მშრომელი მოსახლეობის და განსაკუთრებით მათი ვიწრო სპეციალობის შესახებ.

ჯერ კიდევ შეუსწავლელი არის უმუშევართა საკითხი, არც ერთ რესპუბლიკებს არა აქვთ უტყუარი ცნობები უმუშევართა შესახებ. ეს ფრიად სერიოზული საკითხია და მის გამორკვევაში მომავალი აღწერა დიდ სარგებლობას მოგვიტანს. ეს ცნობები გამოირკვევა მე-13 კითხვაზე პასუხის გაცემით.

ბარათის მე-14 კითხვა გამოგვირკვევს ჩვენ მცხოვრებთა რაოდენობას თვით მომქმედთა და არა თვით მომქმედთა ელემენტების მიხედვით, ხოლო ბარათის უკანასკნელი მე-15 კითხვა კი არკვევს არა თვით მომქმედთა საარსებო წყაროებს.

შალვა გომართელი.

მოსახლეობის ჯანმრთელობა და აღწერა

საკავშირო მთავრობის დადგენილების თანახმად ა.-წ. 17 დეკემბერს დაიწყება საყოველთაო აღწერა. ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ აღწერის მნიშვნელობა საექიმო-სასანიტარო საქმის მიზანშეწონილად მოწყობის მხრით.

აღწერა სხვა მრავალ საინტერესო სტატისტიკურ მასალებთან ერთად მოგვცემს შემდეგ ცნობებს: 1) მოსახლეობის რაოდენობას, მათი დანაწილებით: სქესის, წლოვანების, პროფესიის და სოციალურ მდგომარეობის მიხედვით; 2) ფსიქიურ ნაკლიანების რაოდენობის გამორკვევას; 3) ქმრიან ქალთა რაოდენობას მოსახლეობაში და 4) რაც საინტერესოა სანიტარულ თვალსაზრისით, საბინაო პირობების გამომკვლევ სტატისტიკურ ცნობებს ქალაქის მოსახლეობის შესახებ.

ყველა ზემო ჩამოთვლილ ცნობებს მოსახლეობის შესახებ აქვს დიდი კავშირი საექიმო-სასანიტარო საქმის მოწყობასთან. მოსახლეობის რაოდენობის ცოდნა ამა თუ იმ რაიონში აუცილებელია, რადგან ამბულატორიების და საავადმყოფოების გახსნა პირველ რიგში იქ უნდა მოხდეს, სადაც უფრო მჭიდრო მოსახლეობაა. მოსახლეობის პროფესიონალური შემადგენლობის ცოდნა მედიცინის თვალსაზრისით აუცილებელი საჭიროა, რადგან ამბულატორიები ამისდამიხედვით უნდა იქნეს გახსნილი ამა თუ იმ ტერიტორიალურ ერთეულში. მაგალითად მბეჭდავი მუშებით დასახლებულ რაიონს უფრო ესაჭიროება თვალის სნეულების ამბულატორია, ხოლო ტყვიაწამლის წარმოებაში მომუშავე მუშებისათვის საჭიროა ტუბერკულიოზის დისპანსერი, რადგან ამ დარგზე მომუშავე მუშებს ახასიათებს ფილტვების სისუსტე და ასე სხვა.

ფსიქიურ ავადმყოფობათა აღრიცხვა საშუალებას მისცემს ხელისუფლებას საჭირო ფსიქიატრიულ საავადმყოფოებ(ი) გახსნას. გარდა ამისა, როცა ხელისუფლებას ეცოდინება ქმრიან ქალთა რაოდენობა ამა თუ იმ რაიონში, უპირველესად იქ გახსნის სამშობიარო თავშესაფარს, სადაც მეტი საჭიროება მოითხოვს მას. არავისთვის არ იქნება უცხო, თუ ვიტყვით, რომ სოფლად აუარებელი ახალგაზრდა დედები სიცოცხლეს ესალმებიან მშობიარობის დროს, დახმარების უქონლობის გამო ან და სამუდამოდ სნეულდებიან სოფლის ბებია ქალების წყალობით.

ქალაქებში და ქალაქების ტიპის ადგილებში მცხოვრებ მოსახლეობის შესახებ გარდა ზემოთქმულისა აღწერა მოგვცემს მცხოვრებთა საბინაო პირობების დახასიათებას. აღწერის მასალიდან ნათელი იქნება, თუ რა სანიტარულ და გიგიენურ პირობებშია მოსახლეობის ეს ნაწილი და რა ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული მოსახლეობის სანიტარულ და გიგიენურ პირობების დასაცავად. და აგრეთვე რამდენი კვადრატიული მეტრი საცხოვრებელი ფართობია საჭირო აშენდეს, რომ დაკმაყოფილებული იქნეს ამა თუ იმ ქალაქის მცხოვრებთა საბინაო საჭიროება სანიტარულ და გიგიენურ მოთხოვნილებების თანახმად.

მოსახლეობის რაოდენობის ცნობა, რომელსაც მოგვცემს ა. წ. 17 დეკემბრის აღწერა, საჭიროა ეპიდემიური ავადმყოფობის გავრცელების შემთხვევაშიაც, რადგან ეპიდემიის ადგილას გასაგზავნად საჭირო თანამშრომელ ექიმთა რაზმი და საჭირო წამლების რაოდენობა შეფარდებულ უნდა იქნეს მოსახლეობის რაოდენობასთან.

საბჭოთა მედიცინის მთავარი პრინციპია, პროფილაქტიური ზომების მიღება, ე. ი. დამაავადმყოფებელ პირობების ალკვეთა. ამის გამო საბჭოთა მედიცინა დიდ ყურადღებას აქცევს სანიტარულ გიგიენურ დაცვას. სანიტარულ ექიმების ინსტიტუტი სოფლად ფართოდ იქნება შემოღებული, ხოლო ამისათვის კი საჭიროა მოსახლეობის რაოდენობის ცოდნა ამა თუ იმ რაიონში, რომ მოსახლეობა თანაბრათ იქნეს განაწილებული მომუშავე ექიმთა შორის.

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკის სამმართველოსთან შეთანხმებით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ყოველწლიურად აგროვებს სტატისტიკურ ცნობებს მოსახლეობის დაავადებათა შესახებ. როცა ჩვენ აღწერის საშუალებით მოსახლეობის რაოდენობის და აგრეთვე მისი სქესობრივ და წლოვანების შემადგენლობაზე სწორ ციფრებს მივიღებთ, ხელისუფლებისათვის ადვილი იქნება ამა თუ იმ ავადმყოფობის გავრცელების პროცენტული გამოანგარიშება. უკანასკნელის გაგებას კი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის გარდა, მეცნიერული ხასიათი აქვს მედიცინისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის ხელის შეწყობას თვითეულ მოქალაქის ინტერესი მოითხოვს, ყველამ უკლებლივი და ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღოს აღწერის ჩატარებაში.

ა. ქარჩავა.

პროფკავშირები და აღწერა

ცირკულიარულად

ყველა პროფორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მიმდინარე წლის 17 დეკემბერს იწყება მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა.

აღწერა ქალაქებში გრძელდება—7 დღე, სოფლებში კი ორი კვირა. აღწერის მიზანია მოგვცეს სურათი საბჭოთა კავშირში მოსახლე ხალხთა საერთო რაოდენობისა და მისი შემადგენლობის შესახებ.

როგორც ვიცით, შეუძლებელია სწორი სამეურნეო პოლიტიკის წარმოება, თუ ხელთ არა გვაქვს ეს ცნობები მოსახლეობის რაოდენობის და შემადგენლობის შესახებ. მით უმეტეს საჭიროა ეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომლის მიზანია სოციალისტური მეურნეობის გეგმაშეწონილი მშენებლობა.

ამხანაგებო,—თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობაა ყოველ მხრივ დაეხმაროთ აღწერას.

პროფკავშირის ყოველ მუშაკს, უნდა ახსოვდეს, რომ აღწერის წარმატებით ჩატარება მისი არა მარტო მოქალაქეობრივი, არამედ კლასიური მოვალეობაა.

აღწერაში ჩაბმული მუშაკისათვის, რასაკვირველია, სახელმწიფო ვერ გაიღებს საკმაო ხელფასს. ეს გარემოება არ უნდა შეიქნეს აღწერის დამაბრკოლებელ მიზეზად, თუ გაიმსჭვალება იმ რწმენით, რომ მუშაობა აღწერის სათანადო ჩატარებისათვის მოქალაქეობრივი და კლასიური მოვალეობაა.

საბჭოთა კავშირის მოქალაქემ დახმარება უნდა გაუწიოს აღწერას—სწორი ცნობების მიცემით. პროფკავშირის წევრების დახმარება კი უნდა გამოიხატებოდეს მასში, რომ აქტიურად ჩაებან საღწერო კამპანიაში და დაარწმუნონ ხალხის ფართე მასები ამ ცნობების მიცემის აუცილებლობაში და აქედან გამომდინარე პრაქტიკულ სარგებლობაში ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის მთლიანად.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო, გრძნობს რა ამ საქმეში უდიდეს პასუხისმგებლობას მუშურ ხელისუფლების მიმართ, მოუწოდებს საქართველოს მუშებს და მოსამსახურეებს, რათა როგორც სიტყვით, ისე საქმით თავის წვლილი შეიტანონ აღწერის წარმატებით დასრულების საქმეში.

ს. პ. კ. ს. პ.-მგ. მდივ.: ალ. ფაჩხავა.

აღწერის პერსონალი

აღწერის ჩასატარებლად 17 დეკემბერს მუშაობას შეუდგება მთელ რესპუბლიკაში 4.130 კაცი. აქედან მაზრებში იმუშავებენ შემდეგი რაოდენობის აღმწერლები:

ახალქალაქის მაზრაში—9 ინსტრუქტორი და 88 რეგისტრატორი, ახალციხის მაზრაში—12 ინსტრ. 121 რეგისტრ. ბორჩალოს მაზრაში—10 ინსტრ. 104 რეგისტრატორი, გორის მაზრაში—27 ინსტრ. 280 რეგისტრატორი, დუშეთის მაზრაში—10 ინსტრ. 100 რეგისტრატორი, თელავის მაზრაში—13 ინსტრ. 139 რეგისტრატორი, სიღნაღის მაზრაში—19 ინსტრ. 183 რეგისტრატორი, თბილისის მაზრაში 18 ინსტრ. 181 რეგისტრატორი, ქალ. თბილისში—40 ინსტრ. 520 რეგისტრატორი, სვანეთის მაზრაში—2 ინსტრ. 16 რეგისტრატ., ზუგდიდის მაზრაში—16 ინსტრ. 167 რეგისტრატორი, ლეჩხუმის მაზრაში—6 ინსტრ. 69 რეგისტრატორი, ოზურგეთის მაზრაში—15 ინსტრ. 160 რეგისტრატორი, რაჭის მაზრაში—11 ინსტრ. 104 რეგისტრატორი, სენაკის მაზრაში—16 ინსტრ. 160 რეგისტრატორი, ფოთის რაიონში—2 ინსტრ. 27 რეგისტრატორი, ქუთაისის მაზრაში—40 ინსტრ. 424 რეგისტრატორი, შორაპნის მაზრაში—25 ინსტრ. 248 რეგისტრატორი, აფხაზეთის ავტონომიურ ოლქში—27 ინსტრ. 248 რეგისტრატორი. აჭარისტანში—20 ინსტრ. 234 რეგისტრატორი და სამხრეთ ოსეთში—12 ინსტრ. 121 რეგისტრატორი.

რესპუბლიკის ქალაქებში აღწერას ჩაატარებს 1114 აღმწერელი. სულ რესპუბლიკაში იმუშავებს 3.707 რეგისტრატორი და 350 ინსტრუქტორი.

აღწერის საოპერაციო დღე

საყოველთაო საკავშირო აღწერის ხელმძღვანელ ცენტრალურ ორგანოს დადგენილებით, აღწერის საოპერაციო დროთ განსაზღვრულია სოფლებში 17 დღე და ქალაქში 7 დღე.

ვაქირავებ. ფულს ვღებულობ. გავყვები. მეტი რა საქმე მაქვს!

მე მაინც არ ვარ კმაყოფილი არგუმენტაციით. ეს კაცი ცხენს როდი დაეწევა. მოკვდება გზაზე. ვფიქრობ.

პორტფელი იშვიათად თუ მიტარებია. არ მიყვარს. საუბედუროთ ახლა წამომიღია. „საქმეები“, რა გაეწყობა.

ერთ ხელზე ლაგამი და პორტფელი, მეორეზე—მათრახი. უხერხულია. ცხენს ვერ ვმართავ. ისედაც არ ვარ ბედაური ცხენოსანი. ორჯერ თუ ვყოფილვარ ცხენზე. არ მახსოვს.

— მომეცით მაგ რაღაცაა, წამოვიღებ, თავისუფლად მოვდივარ მაინც!—მეხვეწება თანამგზავრი.

მივეცი. განვაგრძეთ გზა. შევხედე—შევკრთი. არ მომწონს სურათი: ცხენზე ვარ, უკან მიძაგძაგობს გლეხი. პორტფელსაც ის მოათრევს.

— მოიტათ მაგ ოხერი, მოიტათ! მე წავიღებ.

— როგორ გეკადრებათ, თილად მომაქვს. ცხენზე უხერხულია—ეჩიუტობს ის.—თუ რამეა საიდუმლო—ინებეთ.

მეც ვინებე გამორთმევა. „საიდუმლოს“ აირ შევეღლევი. ახლა დავწყნარდი. ვინ იცის, გლეხკაცის თვალი ეგებ ამ მთების მწვერვალებსაც დაშურებს. კარიკატურაც გაზეთში წინდაწინ მეხატებოდა.

მე შევცდი. ჩემი თანამგზავრი როდი იღლება. ცხენი კუს ნაბიჯით მიჩანჩალებს. მთები, ოღრო-ჩოღრო. საშინლად ვიწრო ბილიკი. სახიფათოა ასე მგზავრობა. ცხენის ფეხებს თვალს ვერ აშორებ. მათრახის მოქნევას ვინ გაბედავს. კაკოუჩალი სად არის. თავს ვინ შეადარებს.

ცხენმა წაიფორთხილა. მოუფიქრებელი ნაბიჯი. გული მომწყდა, ნაწლავებში დაეშვა. დავილუპე—გადავარდი, გადავიჩეხე... გადავრჩი. ასე რამდენჯერ! თანამგზავრიც დამეკარგა. ჩამორჩა უკან. ვფიქრობ, მოვუცდი. მაგრამ დახეთ ჩემს გაკვირვებას—წინ ამეტუზა.

— რათ დაიგვიანეთ, თქვენი ჭირიმე!—მეკითხება.

— თქვენ სად იყავით, უკან მეგონეთ!

— რა ბრძანებაა, სწორი გზით წამოვედი. სათია აქ გიცდით!

ახლა კი მივხვდი, ცხენი რატომ არ მაქირავებინა. თავს რათ შეიწუხებდა. მეც გადავწყვიტე ჩამობრძანება.

თანამგზავრი გაანჩხლდა. როგორ შეიძლებაო, მეუბნება.

— დაღალდებით, დაშავდებით!—უკვე ბრძანების კილოზე ლაპარაკობს.

ალბათ, ფული აინტერესებს. ჩემი დაღალვა ფეხზე ჰკიდია. ცხენზე უფრო დავიღალე, სულ დავიკაწრე. ამაზე რატომ არ ფიქრობს?! ფეხით მილიონჯერ მირჩევნია. რას გადავეკიდე!

მივჩანჩალებ, მივიზლაზნები. ცხენმა შემატყო სისუსტე. სულ უკლო ფეხებს. კუც გაგვისწრებს, უეჭველია.

ბაასი გავაბით. ეგებ ამით დავსძლიოთ უხეში ხიფრუცე!

— დღევანდელი მთავრობა ჩვენი ნამდვილი მთავრობაა. ყველაფერი ჩვენთვის კეთდება. ამოვისუნთქეთ. ქურდობა მოისპო, ბაცაცობაც. ყაჩაღობა ხომ ყველას დაგვავიწყდა! სად არის თავად-აზნაურობა. მიწა გვაქვს, ვმუშაობთ არხეინათ. ქვეყანაც დაწყნარდა. ომი არ არის. აი ამ ცხენით სამჯერ ვიყავი საომრათ გამოწვეული მენშევიკების დროს. ეს თათარიაო, ეს სომეხიაო და რა ვიცი, რამეებს არ ამბობდნენ. წავიდა ის დრო. დავისვენეთ. საბჭოთა მთავრობას ვენაცვალეთ!..

ლაპარაკობს ნაწყვეტ-ნაწყვეტათ. თითქოს ყიდულობს თვითეულ სიტყვას. მაგრამ გულწრფელობაა ნამდვილი, გლეხური, მოურიდებელი. გულის სიღრმიდან ამოაქვს ფრაზები. ხანდახან ქრთიბაშათ აქუხდება და ვულკანივით ამოშრის სიტყვებს...

ცაგერიც გამოჩნდა. „ჰევრიკა!“ ავენთე. მგონი კოლუმბსაც არ გახარებია ამდენად ამერიკის აღმოჩენა!

შორიდან ხაცოდავია ცაგერი. სოფელია და არა ქალაქი! მოზრდილი სოფელი, ასეულ კომლით. კულაში უფრო დიდათ მეჩვენება. ასე—ველი სენაკი.

ვნახოთ, რა იქნება ახლოს...

⁂

მართლაცა, ძალიან პატარა ქალაქი ყოფილა. ქუჩები—უსახელო. დუქნები—ხის. მათ თითებზე ჩამოითვლი.

სამაგიეროთ აქაც შენდება ახალი ცაგერი. ახალი ცხოვრების ხიო საგრძნობლად მქროს. ოთხწლედი, შვიდწლედი, ცხრაწლედი. მოწაფეთა ჟრიამული. ცაგერი იცინის, მხიარულობს.

აღმასკომიც აქვეა, „ცენტრში“. ახალი, ქვის შენობა აუგიათ. ასეთივე სხვაც შენდება. მუშაობენ. ზოგს ათავებენ, ზოგს იწყებენ, ზოგი—გეგმაშია, ტეხნიკის გონებაში.

სახალხო თეატრი დაუსრულებიათ. რვაასი კაცი დაეტევა. საწყალი მსახიობები! სავსე აუდიტორიას ოდესმე მოესწრებიან?

ჰიდრო-სადგურისათვის მუშაობენ. ადვილად შესძლებენ. წყალი უხვათაა. ჩვენი ცხენისწყალი გვერდზე აქვს ცაგერს. გველეშაპივით მოგრეხილა. შფოთავს, ღრიალებს. ვინ იცის, რომლის ბედი ალბათ მასაც უცდის, თავს დახრივს.

რკინის სალტეებში ისიც მოექცევა. ფოლადის არტახებს სად გაექცევა!

ორიოდე სიტყვა პარტორგანიზაციაზე.

კრება გვქონდა. ქალაქის კომუჯრედები, თემკომის მდივნები, კომკავშირი, პასუხისმგებელი ამხანაგები—აუდიტორიის შემადგენლობა.

ახალი თეატრი გაოცებულა!

თემა: ლენინიზმის გამარჯვება. კონფერენციის შედეგები.

უსმენენ. ხალისი. დაჭიმული ყურადღება. ხანდახან სიცილი.

გათავდა. შეკითხვები და კამათი. აი ახლა უნდა გამოჩნდეს ორგანიზაციის სიმწიფე.

ვკითხულობ:

„რა განსხვავებაა მარქსისა და ტროცკის პერმამენტულ რევოლიუციის თეორიებს შორის“.

მრავალი მსგავსი შეკითხვები. თეორეტიული, საგულისხმო, პრაქტიკული.

კამათობენ. სიტყვას ხვანი თხოულობს. ლაპარაკობს. ეხება ოპოზიციას. ენგელსის აზრებით ასაბუთებს. მიკვირს, სად გაიგონა მან „კრიზისების თეორია“.

ორატორი ორატორს სცვლის. ახჯერ ოცდები. ახალი საბუთები. ახალი აზრები. ცაგერის ორგანიზაცია! მეოთხე რაიკომი ხომ არაა!

რეზოლიუცია ორი. ერთგვარი ხასიათის. ერთი უფრო სხარტი, ლაკონიური, მწარე. მეორე—გრძელი... პირველი გადის ერთხმად, ტაშით.

დიახ, გაზრდილა ორგანიზაცია. გაზრდილა თვისობრივათ, განვითარებულა. უფრო შეგნებულა, დამძიმებულა.

ორგანიზაციამ იცის, რას ლაპარაკობს. კიდევ მეტი—რაზე ლაპარაკობენ.

არ მოველოდი. მაგრამ რაა მოულოდნელი? ლეჩხუმის პარტორგანიზაციის რევოლიუციონური წარსული! ორგანიზაცია ბრძოლაში გამოიბრძმედა. ბრძოლამ შეადუღა მისი რიგები. ახლა ბრძოლაა სხვაგვარი. იწრთვნება. იდეურ ბრძოლაშიაც საგულისხმოა მისი გასალკლდევება!

აფერუმ, ამხანაგებო!

⁂

ლეჩხუმის გზის დათვალიერება დამპირდნენ. გამინაღდეს: ამხ. სიამაშვილი ამ გზით უკან მაცილებს—ორბელამდე.

გზა ერთ თვეში დასრულდება, გაიხსნება.

ლეჩხუმის ზეიმის და ნეტარების დრო დადგება.

ბუუუფ!

ნაღმია. კლდეებს ანგრევენ. გზას იკაფავენ. აღმომფრქვეველი შთაბეჭდილება. საოცარი სანახაობა.

გზა მთის კლდეებს შემორტყმია ვერცხლის ქამარივით.

აი უფსკრული. შემზარავი გადახედვა. ახალი ხიდი წამოუჭიმავთ, ქვის. საუკუნეებისათვის გაუკეთებიათ.

მთელი მაზრა მუშაობს. გლეხები გამოსულან თავისი ნებით. თვითდაბეგრულან. ხუთი დღის ნაცვლად—ხუთმეტით.

ქალებიც მუშაობენ, ადგილობრივი მასწავლებლები.

ყოჩაღ!

ბედნიერი ვარ. აბა რაა ისტორიის ცოცხალი მოწამეობა! ისტორიული საქმე კეთდება. ისტორია თვალწინ მეშლება, იქმნება.

— წინეთ საქმე ჭიანურდებოდა--მიხსნის გლეხი,—არ ეშველა გზის გაყვანას. კაცო, ენა აერია ჩვენს აღმასკომსაც. ზოგი რას ამბობდა, ზოგი—რას. გზა ზონისკენ უნდა გავიყვანოთო. არა და სხვაგანო. ომი იყო, შვილო, ომი.

— რატომ ხდებოდა, ბაბუავ, ასე?

— რატომ და მიტომ, აღმასკომში ყველას თავის მხარეზე უნდოდა გზა. თავმჯდომარე თავისკენ მიიწევდა, მდივანი—თავისკენ. აბა ვინ გაიტანს ღელოსო. ხალხი კი გავწყდით, შვილო, ამ გაწამაწიაში...—ნაღვლიანათ დააკვესა ჩიბუხს მოსაუბრემ.

უსიტყვოდ მივხვდი. დღეს მაზრის არც აღმასკომის თავმჯდომარე და არც ორგანიზაციის მდივანი ადგილობრივი არ არიან. ობიექტიურობა დაუცვიათ. საუკეთესო მიმართულება აურჩევიათ. ხალხიც კმაყოფილია.

გრანდიოზული მუშაობა ჩაუტარებიათ. ოული?—მმ! ორასი ათასის ხარჯთ-აღრიცხვა შეუდგენიათ. ხუთიც არ დაუხარჯავთ. ხელმძღვანელობა, თაოსნობა და ხალხის თვითმოქმედება—აი სამი მცნება თურმე აღმშენებლობის.

ერთ თვეში ცაგერზე ავტო გადაირბენს, გახრიალდება.

ცაგერი რას მოესწრება!

მუკვირდები გზას, მთის რკინის კალთებსა და კლდეებში რომ მიიკლაკნება.

მიკვირს... მიკვირს. გაოცებას საზღვარი დაეკარგა. აქ წინეთ ხომ კატა ვერ გაივლიდა! არწივის ბუდეები დაუნგრევიათ. ცაზე კიბე მიუბჯენიათ.

ბუუფ! ბუუფ!

— ნელა, ამხანაგო, არ წათორთხიალდეთ. სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია.

ისმის სიმღერა. შრომის სიმღერა! შრომის ჰანგებით.

უხარიათ. გზა გამყავთ.

ერთი თვე კიდევ, დღე ოცდა ათი!

ლეჩხუმი საქართველოს შეუერთდება. მთელ ქვეყანას დაუკავშირდება.

ჩინური კედლები დაინგრევა. კულტურის მზე მძლავრათ შეანათებს.

ლეჩხუმის გზა დამრღვევია ლეტარგიულ ძილის.

ეს გზაა ახალ ცხოვრებისაკენ—სოციალიზმისაკენ.

ლეჩხუმელ უბრალო გლეხმაც იცის ეს.

ნაღმი ნაღმს არ შორდება. ჭექს და ქუხს.

ბუუფ!

პასუხის ნიშნათ მთები გრიალებს. გამოძახილი.

ძველი ცხოვრება ინგრევა. ძველი მიდის. ახალი მოდის. მუშურ გლეხური საქართველო შენდება.

მზათ ვარ, მზათ, გალაქტიონი მილიონჯერ გევიმეორო:

სადღაც ისმის დაირა
და სიცილის წკეთება,
საქართველო—აი რა
არის შემოქმედება!

შევხვდი, აი მიხვდი, საბჭოთა საქართველომ რატომ ამოგლიჯა გულიდან პოეტ თანამგზავრს,—„პოეტთა მეფეს“— გენიალური რითმა, გენიალური რიტმით და გენიალური შინაარსით!

ფაქტი ცნობაში არ იმუდრება. ის თითონ გაცნობებს...

ყველამ უნდა იცნოს ახალი ცხოვრების შენების ფაქტი.

ნეტავი აქ მომცა რუსთაველის პროსპექტის მოლაყბენი!

ნუ თუ კიდევ არ შეინძრევა მათი გაყინული ტვინი!

კიდევ ერთხელ ვავლებ თვალს ლეჩხუმის გზას.

ვუყურებ შრომის საკვირველებას.

ყურები კი ზუზუნებს:

— საქართველო—აი რა არის შემოქმედება...

⁂

ორბელში დავეშვი.

აქედან ეტლით შეიძლება უკვე. მხოლოდ დილაზე. ღამე აქ უნდა დავრჩე.

სამიოდე დუქანია: სამიკიტნო, სამკითხველო, კოოპერატივი.

სიცოცხლე და სიხარული სამიკიტნოშია. გრამოფონი, სიმღერა, ხარხარი. ყველაფერი, რაც „ახარებს გულსა კაცისასა“.

აქვეა „სუფთა“ „საწოლი“—„ოთახები“.

რა გაეწყობა. უნდა დარჩე. მეტი გზა არაა.

სულ ცხენებზე ლაპარაკობენ. ლეჩხუმის სიამაყე ცხენი ყოფილა.

— ეხ, რა ვაჟკაცია. ქუდი მას ეხურავს. იმე, რა ცხენზე ზის!

დამაინტერესა. შევხედე... გამეცინა.

...გათენდა.

ცაგერიდან აღმასკომის შოფერი ჩამოვიდა. თბილისისაკენ მიემგზავრება. ახალი მანქანა უნდა ჩამოიტანოს. გამოწვეულია.

მეეტლენი აყაყანდნენ.

—კაცო, დაგვეხსენი თუ ძმა ხარ. კიდევ მოგაქვს ე საჯღანო, სატიალო. სულ ნუ ჩაგვიმწარებ სიცოცხლეს. ორი დღე-ღა დამრჩენია. ცოლ შვილს ნუ ამომიწყვეტავ...

სიბრალულის გრძნობამ გამიელვა. საბრალონი! პროგრესის მსხვერპლნი! ისტორიის ჩარხს ხომ ვერ შემოტრიალდებიან!

განა არ იციან, ცხენებზე ძრავმა რომ გაიმარჯვა. ეტლი ავტოს როგორ გაუძლებს!

— ე გზაც ჩვენს მოსასპობად გამოიგონეს!—წრუტუნებს მეცხენე.

?!?

ცხენისა და ეტლის დრო წავიდა. საბრძოლველი არაფერია. ბრძოლა დასრულებულია. ლეჩხუმის გზა კულტურის აპოთეოზია!

ვაი-ვაგლახით ვჯდები ეტლზე. თორმეტი კაცი, შვიდი გოჭი, ცამეტი ინდაური, თექვსმეტი ბატი და იხვი, ხუთი კალათი კვერცხი, ბარგი-ბარხანა—აი სურათი!

ცხენების „მხრჩოლავი გაზი“ და ხვიხვინი.

ალპანა!

მეშველა. გავედი სამშვიდობოს, თავი ქუდში მაქვს.

ავტოპრომტორგი,

მუცდი.

გაზეთი ცხრა დღეა არ მინახავს. ცაგერში ვნახე „კომუნისტი“-ს ნომრები, თბილისიდან წამოსვლამდე რომ წავიკითხე.

სამკითხველო. ახალი გაზეთი არც აქაა. ყოველ შემთხვევაში „უკანასკნელი“ ნომერი მაინც არის. წავიკითხე. ვათვალიერებ სამკითხველოს. „დელეგატ ქალის კუთხე“—ლენინის სურათი, „ჰიგიენის კუთხე“, პლაკატები. „მიიღება ხელის მოწერა „ახალ სოფელზე“, ბროშიურები სქესობრივ საკითხზე“.

სამკითხველო კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, თუმცა დუქანშია მოთავსებული.

მგონი, ხმამაღლა კითხვა და საუბრები არ უნდა იყოს პრაქტიკაში.

აბა რა იყო: სამი საათი ვიჯექი სამკითხველოში ავტოს მოლოდინში და გაზეთ არ მინახავს. ის ჯერ არც შემოსულა. ვინ იცის, ეგებ არც კი მოვა... რა საჭიროა. ეკონომიის რეჟიმი!

ხმაურობა. ონიდან ავტომობილი მოვიდა. ფრთამოტეხილ ძერას მოგაგონებს! დახავსებული, დაძველებული. მგზავრი ორიოდე.

გავყევი. ქუთაისისაკენ!

გზაზე ეტლებს ვეწევით. საცხეა ეტლი. მგონი, ცხენი მართლა იმარჯვებს მანქანაზე! ალბათ, უფრო იაფია.

ერთხელ კიდევ დავეწიეთ დატვირთულ ეტლს. გზას უხვევს. მეეტლემ შენიშნა, ავტოზე მგზავრი ცოტა რომ იყო.

გაიცინა, გაიღიმა. რაღაც ანიშნა შოფერს. სიამოვნების ნიშნით ხელი შუბლზე გადაისვა.

„გამარჯვება“ ამით აღნიშნა.

კიდევ იღიმებს.

უკანასკნელი ღიმილი...

აი ქუთაისიც.

თბილისისაკენ! ჩემს ქალაქისაკენ!

გ. მუშიშვილი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გზა წყალტუბოსა და გორდს შორის

ქუთაისი, 11 დეკემბერი. სრულდება გზის გაყვანა წყალტუბოდან გორდამდე, 19 ვერსის მანძილზე. ხიდები ჯერ არ გაუკეთებიათ. მდინარე ცხენის წყალზე გადაწყვეტილია გამოკიდებული ხიდის გაკეთება 45 საჟენის მანძილზე, მიწის სამუშაოები სრულდება შრომის ბეგარით. (ადს).

'ამხრეთ-ოსეთი

მუშათა სახლები

ქუთაისი, 11 დეკემბ. კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად, საზ-ბა „ქართულ მარგანეცმა“ 1927 წლის 1-ლ ივლისისათვის უნდა ააშენოს საცხოვრებელი სახლები 500 მუშისათვის. თვენახევრის შემდეგ დასრულდება საცხოვრებელი სახლების ნაწილის აშენება 244 კაცისათვის. შენობების დანარჩენ ნაწილზე ამ დღეებში მიღებული იქნება ცენტრის მიერ დამტკიცებული გეგმა 5 სახლის ასაშენებად. (ადს).

ფიზკულტურა

ახალციხე, 11 დეკემბ. სამაზრო აღმასკომის დადგენილებით, მოწყობილია ფიზკულტურის ახალციხის სამაზრო საბჭო. დღემდე მუშაობა უწესრიგოდ მიმდინარეობდა; მეცადინეობა სწარმოებდა მხოლოდ სასწავლებლებში. ფიზკულტურის სამაზრო საბჭოს გადაეცა თანხა სავარჯიშო მოწყობილობის შესაძენად და ინსტრუქტორთა შესანახად. მუშა - მოსამსახურეთა კრებებზე დაწესებულებებში ჩატარდა მოხსენებები ფიზკულტურის მნიშვნელობის შესახებ. (ადს).

საყოველთაო აღწერა

ახალციხე, 11 დეკემბ. სწარმოებს გაცხოველებული მზადება საყოველთაო აღწერისათვის. უკვე შედგენილია აღმწერელთა შტატი. სამაზრო სტატბიუროში ყოველდღე სწარმოებს მეცადინეობა ინსტრუქტორებთან. ეწყობა სატელეფონო ქსელი ქალაქსა და თემებს შორის. ყველა თემაღმასკომებს წინადადება მიეცათ ყოველგვარი საამღწერო მუშაობის შესრულებაზე რიგს გარეშე. აღწერის დამხმარე კომისიამ სპეციალური მოწოდებით მიმართა მოსახლეობას. სამაზრო აღმასკომის პლენუმზე გაკეთდა მოხსენება აღწერის მნიშვნელობისა და ასევე მოსამზადებელი კამპანიის მსვლელობის შესახებ. (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

საავტომობილო მიმოსვლა გორი-ცხინვალს შორის

ცხინვალი, 11 დეკემბერი. სამხრეთ-ოსეთის ცაკი მოლაპარაკებას აწარმოებს „ავტო-პრომტორგთან“ საავტომობილო მიმოსვლის მოწყობის შესახებ ცხინვალსა და გორს შორის. დღემდე მიმოსვლა სწარმოებდა კერძო მანქანებით.

სახელმწიფო დაზღვევა

ცხინვალი, 11 დეკემბერი. სამხრეთ-ოსეთის ცაკთან დაარსდა დასაზღვევი საბჭო. გლეხობაში დაზღვევის იდეების პოპულიარიზაციის მიზნით სამხრეთ-ოსეთის ცაკმა წინადადება მისცა სახელმწიფო დაზღვ. სამმართველოს, დაუყოვნებლივ დაურიგოს გლეხობას ჯილდოები, დაღუპულ საქონლის დაზღვევის ანგარიშში. (ადს).

წერილები

30 წელი კულტურულ ფრონტზე



მასწ. ს. კულოშვილი

30 წლის განმავლობაში კულტურულ ცენტრიდან მოწყვეტილ კუთხეში, როგორიცაა საინგილო, მასწავლებლობდა უდიდესი დამსახურებაა მშრომელი ხალხის წინაშე. და არა მარტო მასწავლებლობა, არამედ სკოლის გარეთ გაცხოველებული მუშაობა: ხელსაქმის ცოდნის გავრცელება, აბრეშუმის ჭიის ძოვლის სწავლება, მებოსტნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, სხვადასხვა ავათმყოფობასთან ბრძოლის სწავლება და სხვ. აი, რა ახასიათებს ყველა თავდადებულ, მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის მებრძოლ სოფლის კულტურულ მუშაკს. ასეთი იყო და არის მასწავლებელი სოფიო კულოშვილი.

საინგილო ბევრათ განირჩევა ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებისაგან. ეს მხარე ჩამორჩენილია ეკონომიურათ და კულტურულათ. განმანათლებელი მუშაობა საინგილოში განსაკუთრებით მძიმე და საპასუხისმგებლოა. ს. კულოშვილი ამ საპასუხისმგებლო საქმეს ღირსეულათ და პირნათლად ასრულებდა. ამ რამოდენიმე ათეული წლების წინათ მეტად იშვიათი მოვლენა იყო ინტელიგენტი ინგილო ქალი. დღეს კი თქვენ შეხვდებით მთელ რიგ ინგილო ქალებს, რომელთაც უმაღლესი და სპეციალური განათლება აქვს მიღებული.

მრავალი ამათგანი სოფიო კულოშვილის გამოზრდილია და მის მიერაა დაყენებული განვითარების გზაზე. სოფიოს ამგვარი დაუღალავი და ხანგრძლივი მოღვაწეობა ღირსეულად აქვს დაფასებული საინგილოს ყველა მოწინავე გლეხს და მშრომელ ინტელიგენტს. ამიტომ იყო, რომ კახის რაიონის მასწავლებელთა კრებამ დაადგინა, მიმდინარე წლის 17 დეკემბერს გადახდილ იქნას ს. კულოშვილის 30 წლის მოღვაწეობის იუბილე.

კახელი.

თელავის აბ-კარგი

თელავში, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, აღმშენებლობა წინ მიდის. ამის ერთ ნიმუშს წარმოადგენს ახალი ბაღი, რომელიც გაშენებულია ძველი ბაღის დასავლეთით. ქუჩებიც შეკეთებულია.

9 წლიან შრომის სკოლას, რომელიც მოთავსებულია ყ. წმ. ნინოს სასწავლებელში სჭირდება მინების ჩასმა. სკოლას არა აქვს საკმაო რიცხვი პარტების, რის გამო სწავლა ხდება ორ-წყებად. წყაროებს არა აქვთ მიცემული გზები სადენათ მაჭანწარაზე და თბილისის ქუჩაზე.

ბაზარში, ხევზე, ყაფნის ქვევით გზები არ ვარგა. თვით ბაზარიც ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. „ბატონის“ წყაროსთან ბოგირის ქვეშ არაა გამოწმენდილი ქვა და ღორღი. დაბანის გზები ცუდ მდგომარეობაშია. აღმასკომმა ამას უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აბრეშუმის ქარხანა. მთელ ჩვენ რესპუბლიკაში ეს მესამე ქარხანაა, რომელიც ახლად არის მოწყობილი. მანქანები გამოწერილია იტალიიდან. საოცარი სანახავია ქარხანა მუშაობის დროს.

დღეში მუშაობს დაახლოებით 200—300 მუშა ქალამდე. სიცხის და პარკის სუნის გამო მეტად ძნელია მუშაობა ქარხანაში. აბრეშუმის პარკი უმთავრესად მოაქვთ თელავის მაზრიდან და ქიზიყიდან, მაგრამ, როგორც გამოირკვა ქარხანას ამ პარკის მარაგი არ ჰყოფნის. ამიტომ ქარხანას დანარჩენი პარკი მოსდის ქუთაისიდან და ოზურგეთიდან.

გამზადებულ — ამოხვეულ აბრეშუმს შეკრულებათ — 10 გირ. და რამოდენიმე ფუთობით ქარხანა აგზავნის თბილისში. უმთავრესად აბრეშუმის ძაფი თეთრი ფერისაა. ქარხანას განზრახული აქვს ყვითელი ფერის პარკის მარაგის შეძენა, რადგან ამ ფერის ძაფი უფრო ძვირია და ღირსებითაც საუკეთესოა.

გ. გარსიაშვილი.

განხრა ბოლომდე გავატაროთ

(კოხნარი, გურია)

კოხნარში 1923 წელში დაარსდა სამეურნეო სკოლა. მოსწავლეთა საჭირო რიცხვის უყოლობის გამო დაუწყეს მასწავლებლებს მიწვევა მახლობელ სკოლებიდან. ამავე თემის ახალგაზრდობა, რომელიც სწავლობდა ჩოხატაურში, გადმოვიდა ხსენებულ სკოლაში, უმრავლესობა მე-7-დე ჯგუფიდან იმ იმედით, რომ აქ მიიღებდა სპეციალურ განათლებას.

სინამდვილემ სხვა მოგვცა. წელს ეს სკოლა გადაკეთდა სოფ. ახ. სკოლად, უკანასკნელი მე-6-ე და მე-7-დე ჯგუფები გამოცხადებულ იქნა სალიკვიდაციო ჯგუფებად. ამ ჯგუფებში ამჟამად არიან 1923 წელშიც ჩოხატაურიდან მე-7-დე ჯგუფიდან გამოსული ახალგაზრდები, ე. ი. მეოთხე წელია, რაც ისინი ისევ მე-7-დე ჯგუფში სხედან.

სოფ. ახ. სკოლის ადმინისტრაციამ აღძრა შუამდგომლობა განსახკომის და ოზურ. განინსპექციის წინაშე, რათა ყოველ შემთხვევაში სას. სამ. განხრა მაინც გატარებულიყო ამ ჯგუფებში, მაგრამ ჯერ შუამდგომლობა შუამდგომლობათაა დარჩენილი.

განხრას ვინ დაეძებს, ლაპარაკობენ უკვე მოზრდილი (18—20 წ.) მოსწავლეები და მათი მშობლები, საერთო საგნების საქმის დაყენებაც არ არის ჯეროვან ნიადაგზე. აქ ასწავლის ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელმაც იმდენად სუსტად იცის საგნები, რომ მოსწავლეებს (რომლებიც ასაკით ზოგიერთი მასზე უფროსია) აშკარად ელაპარაკება: მე ეს საგნები თვითონ არ ვიციო და ნუ გაიცინებთო.

საჭიროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება როგორც განხრის საკითხს, აგრეთვე მასწავლებლის შერჩევას.

ცქო.

წერილებიდან

ნ. პატარძეული, (გარე-კახ.)

კულტმუშაობა წინ მიდის. თემსაბჭოს კულტურულ სექციის ხელმძღვანელობით მეტად გამოცოცხლდა კულტურული მუშაობა. იდგმება წარმოდგენები, გამოდის კედლის გაზეთი, არსებობს გლეხკორთა წრე. არის აგრეთვე სხვა წრეებიც.

ოლოს.

ახ.-სენაკი.

აბანო არა გვაქვს. ჩვენი ქალაქი სამაზრო ცენტრია. აქ 500-დე მუშა - მოსამსახურეა. ბევრი მათგანი ბინის სივიწროვეს განიცდის. აბანოს აგება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობისათვის. ეს საკითხი უნდა დაისვას დღის წესრიგში და რაც შეიძლება დაუგვიანებლივ უნდა მოგვარდეს.

ზანი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ნათლიმამობას ბოლო უნდა მოეღოს

აგერ [illegible] წელიწადი თავდება და ვერ იქნა ვერ მოწესრიგდა რკ. გზ. მთ. სახელოსნოების ადმინისტრატიულ ტეხნიკური პერსონალის ჯამაგირების საკითხი. ამათი რიცხვი 70 კაცს აღემატება.

მოახლოვდება თუ არა ჯამაგირების დრო იწყება ამათი სიარული საამქროებიდან მთავარ კანტორაში, ბუხჰალტერიასა და მთ. სამმართველოს შუა.

ყოველ თვე იწერება დიდ-დიდი მოხსენებები და ბოლოს გზათა უფროსი იძლევა ნებას: „ამ თვეში კიდევ ნებას ვრთავ მიეცეს ძველებურათ“. ეს „ძველებურათ“ მეორდება ყოველ თვე. არც ერთმა პირმა არ იცის, რამდენს აიღებს, ან როდის აიღებს ჯამაგირს; ეს კი იწვევს დროს დაკარგვას და მუშაობაზე მუშაკების მიერ გულის აცრუებას.

გვეგონა ამ საბიუჯეტო წლიდგან მაინც მოგვარდებოდა ეს საკითხი, მაგრამ სინამდვილეში უფრო აიწეწა და ბოლო არ უჩანს. რომ ეს უთავბოლობა წარმოებაზე თავის უარყოფითი დაღს არ ასვამდეს — შეიძლება აოც კი მიგვექცია ყურადღება, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ამ მოვლენას თავისი ცუდი გავლენა აქვს წარმოებაზე —რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

არ არის მოწესრიგებული აგრეთვე ცალკე ცეხებს შორის სამუშაო პროგრამის განაწილება, რაიც იწვევს ადმინისტ. - ტეხნიკ. პერსონალის ხელფასის დიდ სხვადასხვაობას.

საამქროებს ყოველ კვარტალში უდიდებენ პროგრამას და ამ რიგათ ვერასოდეს საგრძნობ ზედმეტ პროცენტს ვერ გამოიყვანენ — მიუხედავათ ამ საამქროების ადმინისტრატიულ ტეხნიკ. პერსონალის დიდი დაუღალავი ზიკაცური მუშაობისა. ამწყობ და საქვაბო საამქროების პროგრამა კი წლობით უცვლელი რჩება (ხუთი ერთეული), ხოლო რომ ფულუკები ბლომათ აიღონ, პროგრამას ანგარიშობენ 4,5 ერთეულს. ეს ფიქცია იღებს ლოცვა „კურთხევას“ სამმართველოს იმ განყოფილებაში, რომელსაც განაგებდა მოქ. დანიუკოვი (ამწყობ საამქროს ყოფილი და ეხლანდელი გამგ. თანაშემწე).

ამ ფიქციის შედეგი კი ის არის, რომ ამწყობ და საქვაბო სამუშაოს გამგენი იღებენ 260 მან. თვეში, მათი თანაშემწენი 230 მან. და ამავე დროს პირველ ხარისხოვანი საამქროების გამგენი თვეში იღებენ 190 მან., თანაშემწენი 160 მან. ეს უსამართლობა გრძელდება დღემდე. არის ცდები — „ნათლიმამური“ რათა ეს ფიქტიურად შექმნილი ხელფასი შეანარჩუნონ ამწყობ და საქვაბო საამქროების ტეხნიკურ პერსონალს. ამ უსამართლობას ვეღარ გაუძლეს და ზოგიერთმა ყოველ მხრივ მომზადებულმა ინჟენერებმა მიატოვეს მთ. სახელოსნოები (სამჭედლოს და სამეხანიკო საამქრ. გამგეებმა). გარდა ამისა ამ ნიადაგზე შექმნილია ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ პერსონალის შორის დიდი ანტაგონიზმი.

ერთ მხარეზე დგას სამმართველოს მფარველობის ქვეშ მყოფი 6—7 კაცი ამწყობ და საქვაბო საამქროებიდან, ხოლო მეორეზე 70-დე დანარჩენი მუშაკნი.

სწორედ ამიტომ საჭიროა სასწრაფოთ იქმნას მზეზე გამოტანილი ეს ფიქტიური, ნათლიმამობით შექმნილი „რეალური ხელფასი“ და მოწესრიგდეს მთ. სახ. ტეხნიკური პერსონალის ჯამაგირების საკითხი, რათა ყოველ თვე არ უხდებოდეთ მათ მათხოვარივით სიარული თავიანთ ჯამაგირებზე. ეს დიდათ საჭიროა წარმოების აყვავებისათვისაც.

ვლ. მამაცაშვილი.

კომისიას ტკბილად სძინავს

(სამტრედია, ილორის უბ.)

1923 წელს ილორის უბანში გაკეთდა სახალხო სახლი. ამ სახლის ქონებას შეადგენდა: მისი შინაგან ავეჯეულობა და ეზოში მდგარი რამოდენიმე ათი ათასი მანეთის ღირებული ხეები. ბევრჯერ მოინდომა საზოგადოებამ სხვადასხვა საჭიროებისათვის ამ ხეების გაყიდვა, მაგრამ ვერ გაიმეტეს, რადგან ხეები მთელი კუთხის მშვენება იყო. დღეს კი რას ვხედავთ?

სახალხო სახლში არავითარი ავეჯი არ მოიპოვება, გარდა ერთი დანგრეული განჯინისა. ხეები ყველა გაყიდულია, რომლის ფასითაც საზ-ბა ვერავითარ მათთვის სასარგებლო საქმეს გაკეთებულს ვერ ხედავს.

გლეხებმა აირჩიეს საქმის გამომრკვევი კომისია, რომელსაც დაევალა საქმის სისწორით და სიჩქარით გამორკვევა. მათი არჩევის შემდეგ აგერ თითქმის ათი თვე სრულდება და კომისიის წევრები დავალებას ივიწყებენ.

დროა კომისიამ გამოიღვიძოს.

სურგო—ძე.

ზედმეტი ზედამხედველი

თბილისის საყუდში სხვათა შორის არსებობს ორთქლმავლის მრეცხავთა გუნდი. ხსენებული გუნდი თავის დანიშნულებას მუდამ პირნათლად ასრულებდა. მაგრამ ვიღაცამ შექმნა აქ ხელოვნურად ზედმეტი ადგილი და დანიშნეს ზედამხედველი ორთქლმავლის მრეცხავთათვის. იგი ღებულობს თვიურად 150—200 მანეთამდე და ამავე დროს ერთი კაპეიკის სარგებელი არ მოაქვს რა წარმოებისათვის.

რისთვის და ვისთვის დასჭირდათ ეს ზედმეტი ბარგი მრეცხავთა გუნდში?

უფრო ნაყოფიერი არ იქნება, რომ ეს „ზედამხედველი“ აქედან მოიხსნას და ჩააყენოს თავისი მუდმივ ხელობაში მექვაბედ, (ის მექვაბეა), სადაც მეტ ნაყოფს მოუტანს წარმოებას და 150—200 მანეთი ყოველ თვიურად დარჩება რკინის გზის სალაროს და მოხმარდება სხვა საჭიროებას? ორთქლმავლის მრეცხავთა გუნდს არასოდეს არ ყოლია და არც სჭირდება ზედამხედველი სპეცი.

მუშკორი მთ.

მუშათა ცხოვრება

საამქრო ბიუროების შესახებ

(თბილისის საუბნო პროფკავშირის მასალებიდან)

რკინის გზის წარმოება-დაწესებულებებში უკვე არსდება საამქრო ბიუროები. მათი მოწყობით რკინის გზის მუშები მნიშვნელოვან ნაბიჯს სდგამენ, როგორც კულტურულ, ისე საზოგადოებრივ მუშაობის დარგში.

საამქრო ბიუროები ეწყობა იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც მუშაობს 700-მდე მუშა-მოსამსახურე. ის წარმოება, სადაც მუშაობენ 200 მუშა-მოსამსახურემდე აირჩევენ რწმუნებულებს, რომელთაც კავშირი აქვთ საამქრო ბიუროებთან.

საამქრო ბიუროები არსდება ადგილკომის დადგენილებით, რასაც ადასტურებს საუბნო პროფკავშირი. საამქრო ბიუროებთან არსდება საწარმოო ქვე-კომისიები.

საამქრო ბიურო უნდა იქნეს არჩეული მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. ბიუროების შემადგენლობა განისაზღვრება სამიდან შვიდამდე, რაც მტკიცდება ადგილკომის მიერ. საამქრო ბიუროს არჩევის შემდეგ ბიუროს წევრები ანაწილებენ თავიანთი მუშაობის ფუნქციებს. აქედან გამოიყოფა ბიუროს თავმჯდომარე და მდივანი.

საამქრო ბიუროს ძირითად ამოცანას შეადგენს: მუშა-მოსამსახურეთა ჩაბმა პროფესიონალურ, პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით ყველა საკითხების დამუშავება, რომელიც წუდება საამქროს ბიუროს თვითმოქმედებით. საამქრო ბიუროებს ევალებათ: საერთო კრებების მოწვევა და მუშაობის გასაცხოველებლად სათანადო ინსტრუქციის შედგენა. ადგილკომის მუშაობის ანგარიშის შესახებ მოხსენების გაკეთება და სხვა.

ამას გარდა, საამქრო ბიუროების უშუალო მონაწილეობით უნდა მოგვარდეს საწევრო ანარიცხების თავის დროზე აკრეფის საკითხი. ბიუროები უნდა დაეხმარონ ადგილკომს საერთო კრებების და სადელეგატო სხდომების მოწვევის საქმეში, და კავშირის წევრად მუშა-მოსამსახურეთა ჩარიცხვაში.

სატარიფო ეკონომიურ დარგში საამქრო ბიუროებმა თვალყური უნდა ადევნონ კოლექტიურ ხელშეკრულების დარღვევას, კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანილ შრომის დაცვის საკითხების პრაქტიკულად განხორციელებას. არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ მორიგ შვებულების სისწორით სარგებლობა.

საწარმოო კომისიების მუშაობაში ჩაებმებიან საამქრო ბიუროები. ბიუროები თვალყურს ადევნებენ ტარდება თუ არა ცხოვრებაში საწარმოო თათბირების დადგენილებები.

საამქრო ბიუროებმა უნდა ჩააბან მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი კოოპერაციის რიგებში.

კულტურულ მუშაობის გაცხოველების მიზნით საამქრო ბიუროებში საჭიროა შემდეგი ღონისძიების ხმარება. საამქრო ბიუროებში მომუშავე მუშები უნდა ჩაებან კლუბებში წარმოებულ საწრეო და პროფესიონალურ მუშაობაში. უნდა მოხდეს წერა-კითხვის არა მცოდნეთა ლიკვიდაციის აღრიცხვა, და არა მცოდნეობის წინააღმდეგ ზომების მიღება.

საამქრო ბიურო სისტემატიურად, დაახლოვებით თვეში ერთხელ იწვევს საამქროს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას. ხოლო ორჯერ საამქრო ბიუროს სხდომას. არჩეულ საამქროში უნდა იყვნენ დელეგატები. მათ ინფორმაციულად უნდა გააცნონ მუშებს საკავშირო ხელმძღვანელ ორგანოების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. უნდა სწარმოებდეს წინასწარი განხილვა ამა თუ იმ საკითხების, რომლის ცხოვრებაში გატარება აუცილებელია.

ყველა განცხადებები იხილავს საამქროს ადგილკომი. საამქრო ბიუროს დადგენილებები უნდა დაადასტუროს ადგილკომმა.

საამქრო ბიურო უნდა წარმოადგენდეს ადგილკომის დამხმარე ორგანოს. იგი პასუხს აგებს ყველა საკითხებზე, როგორც ადგილკომის, ისე საერთო კრების წინაშე.

აი ის პრაქტიკული ღონისძიებები, რომელიც მიმართულია საამქრო ბიუროს მოწყობა-აღდგენისაკენ.

ბიუროს მოწყობაში რკინის გზის ყველა კავშირებმა უნდა დაეხმაროს, რომ შეიქნას ეს ახალი გეზი საკავშირო მუშაობის ძლიერი და ურყევი.

მუშკორი თბილისელი.

უნივერსიტეტში რკ. გზ. პროფსექციის გაუქმების შესახებ

სახ. უნივერსიტეტის რეორგანიზაციასთან ერთად მოხდა პროფსექციების ჩამოყალიბება ფაკულტეტების მიხედვით. როდესაც ეს ნაბიჯი გადაიდგა, სახეში იყო მიღებული წარმოებითი პრინციპის დაცვა ჩვენ უნივერსიტეტში. ამ ღონისძიების მიხედვით ყოველი სტუდენტი ფაკულტეტის მიხედვით უშუალოდ უკავშირდება წარმოება-დაწესებულების სპეციალობას იმ დარგში, სადაც ისინი იქნებიან პრაქტიკაზე გაგზავნილი. რა თქმა უნდა პროფსექციების ასეთი ჩამოყალიბება მიზანშეწონილია, რადგანაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ სათანადო პრაქტიკა სხვადასხვა ორგანოებში. მაგრამ სამწუხაროდ ამ შემთხვევაში სხვა მდგომარეობაშია რკინის გზის პროფსექცია. თბილისის ბიუროს აზრია, რომ ხსენებული სექცია გაუქმებულ იქნეს და ფაკულტეტის მიხედვით ყველა რკინის გზის კავშირის წევრები უნდა გადაირიცხონ სხვა კავშირში მაგ. [illegible] კავშირში. აქ საკითხი ისმება იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია განხორციელდეს ეს საკითხი რკინის გზელთა შორის.

ჩვენი აზრით რკინის გზის პროფსექციის გაუქმება გამოიწვევს დიდ გაუგებრობას და სამართლიან საყვედურს რკინის გზის მუშა-მოსამსახურებში.

რკინის გზა, როგორც ვიცით დიდი ორგანიზაციაა, რომელსაც რთული აპარატი აქვს, ვიდრე სხვა რომელიმე წარმოება დაწესებულებას. რკინის გზას აქვს ყველა დარგები. უნივერსიტეტში კი არსებობს სათანადო ფაკულტეტები და მაშასადამე უნივერსიტეტის მიერ გამოშვებული რკინის გზის კავშირის წევრები რა ფაკულტეტზეც ისინი არ უნდა ირიცხებოდნენ, ყველას მოათავსებს თავის დარგებში.

ამჟამად სახელმწიფო უნივერსიტეტში ითვლება 300 სტუდენტი რკინის გზის კავშირის წევრი სხვადასხვა ფაკულტეტებზე, რომელთაგან 35 პროც. მსახურობს, დანარჩენი არიან სტიპენდიანტები და სულ უმნიშვნელო რიცხვი-უმუშევრები.

აქვს რკინის გზას თავისი მუშაკი, სადაც სწავლობენ მეტ წილად დაზგაზე მომუშავე მუშები.

ეს უკანასკნელნი სწავლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტს ესტუმრებიან და შედიან სხვადასხვა ფაკულტეტებზე.

ასეთი დიდი რიცხვი სტუდენტთა რომ გაითქვიფოს სხვა კავშირში, მიუღებელი იქნება ყველასათვის, განსაკუთრებით იმ გარემოებითაც, რომ ამხ. რკინისგზელებს აქვს ათეული წლების საკავშირო მუშაობის სტაჟი და ამ კავშირიდან ჩამოშორებას ისინი არ მოისურვებენ, თუნდაც უნივერსიტეტს თავი მიანებონ.

მაშ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი.

არსებითად რკინის გზის პროფსექციის არსებობა უნივერსიტეტში არავითარ დაბრკოლებას არ ჰქმნის. რკინის გზა შესძლებს თავისი კავშირის წევრებს დახმარება გაუწიოს ისეთივე, რასაც ღებულობენ სხვა პროფსექციების წევრები თავიანთ კავშირებიდან.

პრაქტიკის საკითხი რკინის გზაზე 80 პროც. განხორციელებულია, მხოლოდ არ არის დაცული ის წესი, რომ ყველა ამჟამად მოსამსახურე სტუდენტები მსახურობდნენ თავიანთ დარგში სპეციალობის მიხედვით.

ეს ტეხნიკური მხარეა და ადვილად შესაძლებელია სამსახურის გადანაცვლება გადაყვანა-გადმოყვანით ერთი დარგიდან მეორე შესაბამ დარგში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მოსაზრება მიღებულ იქნება მხედველობაში და უნივერსიტეტის რკინის გზის პროფსექციას მიეცემა ისეთივე უფლებები, როგორითაც სარგებლობენ კავშირის სხვა პროფსექციები.

ი. წილოსანი.

ჩვენი მუშაობა

აწყურში არსებობს პროფკავშირი, რომელსაც ჰყავს 620 წევრი. მათში 35 მოსამსახურეა, 60 მოჯამაგირე და 525 ტყის მჭრელები და გამზიდველნი. ეროვნებით 320 ქართველია, 295 მუსულმანი და 5 სომეხი. მათში წერა-კითხვა არ იცის 80 პროცენტმა. ამისათვის აწყურში გაიხსნა 4 სალიკვიდაციო სკოლა: სამი მუსლიმანური და ერთი ქართული, სადაც სწავლობენ, როგორც თვითონ კავშირის წევრნი, ისე მათი ოჯახის წევრებიც. სკოლები გაიხსნა აგრეთვე აწყურის რაიონის 4 სოფელში: სოფ. ტაბრისში, საყუნეთში, გურკელში და ზიკილიაში, სადაც სწავლობენ უმთავრესად მოჯამაგირეები, სოფლის მწყემსები, ტყის მჭრელები და გამზიდველები. როგორც აწყურში, ისე სხვადასხვა სოფლებში გაიხსნა ქოხ-სამკითხველოები. წიგნები მივიღეთ მხოლოდ რუსულ და მუსლიმანურ ენებზე. ქართული კი არაა. გამოწერილია გაზეთები: რუსული, ქართული და მუსლიმანური 10 ეკზემპლიარი.

აკო.

შრომის ინსპექციის დადგენილება უნდა შესრულდეს

ელექტრო-ტეხნიკურ სამსახურის საფოსტო განყოფილების მტვირთველები ყოველ დღე ხუთ ფუთიან ტომრებს ეზიდებიან ზურგით ექსპედიციიდან საშემოსავლო დარგში და სადგურში. ეს კი მათ მოვალეობაში არ შედიოდა. რამდენჯერმე აღიძრა შუამდგომლობა, რომ მათი დაუღალავი და მძიმე შრომა ყოფილიყო დაფასებული, მაგრამ არც ადმინისტრაციამ და არც ადგილკომმა ამას ყური არ ათხოვეს.

ამას წინედ შრომის საუბნო ინსპექტორმა შეამოწმა საფოსტო განყოფილებაში და შეეკითხა მტვირთველებს, თუ რას მოითხოვდნენ ისინი. მტვირთველებმა მას აუხსნეს თავიანთი გაჭირვება. შრომის ინსპექციამ დაადგინა დიდი და მძიმე მუშაობის გამო (ე. ი. რადგან მტვირთველებს ხუთი ფუთი ტვირთი დააქვთ ზურგით ერთი ვერსის მანძილზე და ეს მტვირთველების მოვალეობაში არ შედის, ამიტომ—1) ყოველ მტვირთველმა უნდა ზიდოს ამანათები არა უმეტეს 2 ფუთისა და ისიც 30 საჟენის მანძილზე. 2) უნდა იქნეს შეძენილი ტაჩკა ტვირთის მისაზიდავად საფოსტო რონოდისათვის. 3) საშემოსავლო დარგში ტვირთის გადასაზიდად ადმინისტრაციას ევალება დაიქირაოს კურტინიანი მუშები.

ეს დადგენილება შვიდ დღეში უნდა ყოფილიყო შესრულებული, მაგრამ მესამე უბნის უფროსმა ეს დადგენილება „ლურჯ მაუდს ამოაფარა. დღესაც საფოსტო განყოფილების მტვირთველები ეზიდებიან ამანათებს ექსპედიციიდან საშემოსავლო დარგში და სადგურში და აუტანელ გაჭირვებას განიცდიან.

შრომის ინსპექტორი, მოსთხოვეთ პასუხი ასეთ ადმინისტრაციას.

ციცინათელა.

პარიკმახერთა შრომის პირობები მოუწესრიგებელია

პარიკმახერთა შორის დიდი უკმაყოფილებაა კვირა დღის მუშაობის შესახებ, ვინაიდან ამ დარგში მუშაობა კვირა დღით უფრო დიდ მოთხოვნილებად იქცა და აი რატომ. მუშა-მოსამსახურენი ამ დღეს უფრო თავისუფალნი არიან და მიდიან იქ, სადაც კვირაობით ღიაა საპარიკმახეროები, მაგალითად სასტუმრო „სასახლე“-ში, „ინტერნაციონალ“-ში, „ამერიკონ“-ში და სხვა.

ამიტომ ძალაუნებურად თითქმის ნახევარზე მეტი საპარიკმახეროები ფარულად მუშაობას აწარმოებენ; ვინაიდან დასასვენებელი დღე აღარ არსებობს, ამიტომ პარიკმახერთა საერთო კრებამ დაადგინა ეთხოვოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს და შრომის კომისარიატს, რათა ნება დართონ ყველგან კვირაობით მუშაობაზე დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ორშაბათს კი დაიკეტოს მთელი დღე. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ა. წ. 9 ნოემბერს იქონია მსჯელობა და დაადგინა საპარიკმახეროები კვირაობით ყველგან აიკრძალოს მუშაობა.

ამგვარად რჩება ძველი მდგომარეობა, რითაც პარიკმახერები დიდად უკმაყოფილონი არიან.

კვირაობით გაღებული საპარიკმახეროები უწევენ არა ღიათ კონკურენციას, ისინიც თავის მხრივ ცდილობენ მოხერხებულად და ჩუმად იმუშაონ. აქ დაინტერესებული არიან დაქირავებული მუშები, რადგანაც მათი ხელფასი პროცენტულია და ფაქტიურად უმრავლესობა კვირაობით მუშაობს. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა კვირაობით გაღება საპარიკმახეროების და სამაგიეროდ გამოსასვლელი დღე ორშაბათი დაწესებულიყო.

ამას მოითხოვს პარიკმახერების დიდი უმრავლესობა, და შექმნილი პირობებიც.

სოკრატი.

ასეთი წესი არ გამოგვადგება

წინედაც გვქონდა აღნიშნული, რომ სამიმოსვლო მუშაობის წარმოება, მატარებლების შედგენა და გასტუმრება შეფერხებულია. ეს [illegible] სამიმოსვლო ორთქლმავლების ნაკლებობას. ყველა ეს ნაკლი მუშაობას მეტად ართულებს და აჭიანურებს.

ასეთი დამაბრკოლებელი მიზეზების აღმოსაფხვრელად ადმინისტრაციამ მეტი გამოსავალი გზა ვერ გამონახა, და მუშაობის წესი შესცვალა შემდეგნაირად: მთელი სამიმოსვლო მუშაობა გადაიტანა სადგ. ნავთლუღში. ეს იმ მოსაზრებით, ვითომ სადგ. თბილისში ამის შემდეგ სამიმოსვლო მუშაობა შემცირდებოდა. მაგრამ აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ ამ წესმა ვერ მოგვცა შესაფერი ნაყოფი. სადგ. ნავთლუღში სამიმოსვლო მუშაობის გადატანის გამო დაძაბულია და ემსახურება ხუთი წყვილი გადამცემი მატარებელი. ჯერ - ჯერობით ვერ მოწესრიგდა კონდუქტორების მუშაობა, რის გამო გადამცემი მატარებლები იგვიანებენ. ეს დაბრკოლება, რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მთელი დღე-ღამის განმავლობაში გამოყოფილი იქნეს ორი-სამი მებარგე სადგ. ნავთლუღში და თბილისში.

საქმე ისაა, რომ სხვადასხვა დანიშნულების და მიმართულების რონოდები პირველად ნავთლუღში იგზავნება. ეს იმ განზრახვით, რომ სადგურ ნავთლუღს დაეშალა და გადაეკეთებინა მატარებელი. ამ ახალი წესით არის შემთხვევა, რომ ბათომის ტვირთი ორი დღე - ღამე ნავთლუღ-თბილის შორის ატარებს, ისიც ხდება რომ ბათომიდან მომავალი საბარგო მატარებელს სადგ. ნავთლუღი ღებულობს.

ხშირად რონოდი დატვირთულია გასაფუჭებელი ტვირთით. ეს რონოდები კი თბილისში რამოდენიმე დღის შემდეგ ბრუნდებიან.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ამ ახალმა წესმა არ მოგვცა დადებითი შედეგი, პირიქით ართულებს საქმეს, იწვევს რონოდების გამოტვირთვის დაგვიანებას, მოძრაობის შეფერხებას და სხვა.

ამ დაბრკოლების გადასალახავად მიზანშეწონილი იქნება ასეთი ზომების მიღება.

საჭიროა სად. ხაშურის უფროსმა კარგად შეიგნოს ბრძანება № 2607 და გამოგზავნოს სწორად შედგენილი მატარებელი ე. ი. თბილისის რონოდები უნდა იყოს ერთად და დანარჩენი კი თანმიმდევრობით, რაც მისცემს საშუალებას მატარებელი თავის დროზე იქნეს გადარჩეულ და მიცემული თავისი ადგილზე.

სადგ. ნავთლუღში უნდა ჰყავდეს კარგი გამოცდილი ტეხნიკური ძალები, შემდგენელ გადამბმელები და მეისრეები.

სადგ. ნავთლუღმა პირველ რიგში უნდა გადასცეს სადგ. თბილისს ჩქარი გასაფუჭებელ საქონლით დატვირთული რონოდები.

საყუდიდან თავის დროზე უნდა გამოდიოდეს ორთქლმავალი, გადამცემ მატარებლისათვის, რათა მიმოსვლა ცხრილის მიხედვით სწარმოებდეს.

კონდუქტორთა გუნდი თავის დროზე უნდა გამოდიოდეს და ღებულობდეს მატარებლებს.

სადგ. ნავთლუღი სწორად უნდა ადგენდეს მატარებელს და ისე გადასცეს თბილისს.

იმისათვის, რომ ეს საკითხები მოგვარდეს საჭიროა საწარმოო კომისიამ გამოსთქვას თავისი აზრი ამ საკითხების შესახებ.

ი. არუსპირელი.

მოხედით ამ ქუჩასაც

(მეხუთე უბანი)

აზიზ-ბეგოვის ქუჩა, (ყოფ. ფეთხაინის) საშინლად მინგრეულ-მონგრეულია და აუცილებლად მოითხოვს შეკეთებას. დღე არ გავა ისე, რომ ვინმე არ წაიქცეს ან შეშინებული ურემი გლეხს არ გადაუბრუნდეს.

ამის გარდა, ამ ქუჩაზე წყალსადენის უვარგისობის გამო აუარებელი წყალი იღვრება და ქუჩას ატალახიანებს.

ძველი მუშკორი.

მუშათა ქრონიკა

— სამკითხველო. სადგ. გარდაბანის ადგილკომი სთხოვს უბკავშირს, რათა სამკითხველო გადატანილ იქნეს სახაზინო სახლში № 2.

— საერთო კრება. 15 დეკემბერს შესდგება სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნება მოხსენება საამქრო-ბიუროების მნიშვნელობაზე.

— ადგილკომის გადარჩევა. თბილისის საყუდის ადგილკომის გადარჩევა მოხდება 13 დეკემბერს.

— დახმარება. ინგლისის გაფიცულ მუშების დასახმარებლად მთავარ სახელოსნოების მუშებმა გაიღეს ჯამაგირის ერთი პროცენტი.

— თბილისის უბანში ადგილკომების გადარჩევა დამთავრდება პირველ თებერვლამდე.

— სპეც-ტანისამოსი. ბაქოს საუბნო კომიტეტმა წინადადებით მიმართა ადმინისტრაციას, რათა თავის დროზე დაურიგოს მუშებს კუთვნილი სპეც-ტანისამოსი.

— კომისია. საყუდის ადგილკომმა გამოჰყო კომისია 42 საათის დასვენების საკითხის მოსაგვარებლად.

— სალიანდაგო სამსახურის ნაწილი უკვე შეუდგა ბათომში ელექტროგანათების მოწყობას.

— გასამართლება. ხუთშაბათს, 16 დეკემბერს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართება პიესა „უნიადაგონი“-ს გმირების ლიტერატურული გასამართლება.

— კინო-სურათი. დღეს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ნაჩვენები იქნება კინო-სურათი მუშებისათვის.

— ზედმეტი მუშაობის აკრძალვა. სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა დაადგინა, ვინაიდან სადგურში ხდება ზედმეტ საათების მუშაობა, დაევალოს ადმინისტრაციას, ამ საკითხის მოგვარება.

ბაზარის ფელეტონი

ცალს დაუკლოთ, წვრილს დავადოთ

„მიუხედავათ საცალო ფასების დაკლების კამპანიისა, ზოგიერთ კოოპერატივებში ფასები წვრილმან საქონელზე გაიზარდა“.

თვითონ კალი თავბუაძე
იყო ერთს დუქნის გამგე.
არხეინად გრძნობდა ის თავს
თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე.
მაგრამ ყოველ ტკბილად ყოფნას
აქვს ბოლო და დასასრული:
თავბუაძეც გაამწარეს,
ის საწყალი, ის ბედკრული.
ერთხან ცენტრის რევიზორებს
იგი ვერსად დაემალა.
ხან ესაო, ხან ისაო,
გააცალეს, რაღა, ძალა.
ბოლოს მათაც შეეწყვია,
„სტრატეგია“ შეიცვალა,
მშვიდობიან ყოფისაკენ
გზა ისევე გაიკვალა.
მაგრამ ჩქარა კვლავ დაუდგა
განსაცდელი და დიდ მწარე:
ცირკულიარი მოუვიდა
ცენტრისაგან ძლიერ ცხარე.
ეწერა, რომ ფასებით
დაუკლი ყველა ცალებს.
თუ არა და იცოდეო
რევიზია გითვალთვალებს.
დააფიქრა ცირკულიარმა
და ბრძანებამ ძლიერ კალი.
(ცირკულიარი მოეყვანა
სისრულეში უნდა მალე)
მას სურვილი შესრულების
სულ არ ჰქონდა ცირკულიარის,
სურდა საქმის მოწყობა და
კვლავაც ავლა მისთვის მხარის.
მაგრამ ვერა მოიფიქრა,
რამ ისეთი ხრიკი-ხომა,
რომ მშვიდობით შესძლებოდა
ხლართებიდან გამოძრომა.
ისევ, სწრაფად სათათბიროდ
დუქნის ნოქარს დაუძახა,
წაუკითხა ცირკულიარი
და კითხვებიც დაუსახა:
— ფარნაოზჯან, ერთი მითხარ,
რა უხერხო მე ამ ცალებს,
ფასი ყველას, რომ დაუკლო
დუქანი ხომ იზარალებს?
არ დაუკლო, არ იქნება,
რადგან ითხოვს ასე ცენტრი.
მომეშველე, რომ როგორმე
ავიტანო მძიმე ხვედრი.
— „უნდა გითხრა“, უპასუხა
ფარნაოზმა დინჯად კალებს:
„ამ ცენტრიდან შენ რაღაცა
მეტის მეტად მოგაძალეს.
თილია სულ ეგ საქმე,
ყური მიგდე ჩემო კალი.
მწუხარება, ხვედა, დარდი
ისევ ლხინად შეიცვალე.
აქ სწერია, დაუკლიო
ფასებიო ყველა ცალებს.
ბევრს რას ფიქრობ? ან რას სწუხარ?
და აცეცებ რატომ თვალებს?
შენც აილე და დააკელ
ფასი ყველა პურის ცალებს,
მეტრს, კილოს ფასს დაუკლეო
ხომ არავინ არ გაძალებს?
ჩვენ ცალებით ხომ არ ვყიდით,
ვყიდით, კალი, მხოლოდ წვრილად:
ცალს დაუკლოთ, წვრილს დავადოთ
შეეგუება ტკბილზე ტკბილად“.
ფარნაოზის ბრძნული რჩევა
კალებს ძლიერ მოეწონა,
ამ ხიფათს თუ აიტანდა
თავის დღეში არ ეგონა.
ცალს დააკლო, წვრილმანზე კი
ფასი იმან კვლავ ასწია,
და ამრიგად, იმ ცირკულიარს
თავი სუფთად დააძვრია.

ხოზიკა.

შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოება

(ერთი წლის მუშაობის მიმოხილვა)

თუ რამდენად დიდი და მნიშვნელოვანია შინა-მრეწველ ხელოსანთა როლი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, მოწმობს შემდეგი ციფრები: 1924—25 წლის პირველ ნახევარში საქართველოს შინა-მრეწველ ხელოსანთა მიერ დამზადებულ იქნა 18 მილიონი ჩერვონული მანეთად ღირებული საქონელი.

ამგვარად ხელოსანთა ნაწარმოები შეადგენს სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოებთა საერთო ღირებულების 58 პროცენტს. შინა-მრეწველობა თავის როლს და წონას სახალხო მეურნეობაში კიდევ დიდხანს არ დაჰკარგავს მანამდე, ვიდრე ჩვენში ფეხს არ მოიკიდებს და არ გაძლიერდება მსხვილი ინდუსტრია.

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება იმ თავითვე აფასებდა შინა-მრეწველობის როლს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის და სცდილობდა შესაფერ კალაპოტში ჩაეყენებია მისი ნორმალური განვითარება. განსაკუთრებით გაიზარდა პარტიის და ხელისუფლების მზრუნველობა შინამრეწველობაზე პარტიის მე-14-ე ყრილობის შემდეგ, რომელმაც დაავალა ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს ხელმძღვანელ ამხანაგებს „გამონახონ მუშაობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რაც შინამრეწველთა მასას დაუახლოვებს ხელისუფლებას და ჩააბამს მათ ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ყველა ამოცანების გატარების საქმეში“.

რაც შეეხება კერძოთ საქართველოს შინამრეწველობას, აქ მუშაობა შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად დაიწყო 1922 წლის პირველ ნახევრიდან. პირველად საზოგადოება ექვემდებარებოდა შრომის სახალხო კომისარიატს, შემდეგ გადაეცა სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატს, რომელიც შინამრეწველთა მასას ხელმძღვანელობდა 1924 წლის მეორე ნახევრამდე.

ხოლო ამ დროიდან შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოება დაექვემდებარა თბილისის აღმასკომს. ამჟამად საზოგადოებას ხელმძღვანელობას უწევს ს. მ. უ. საბჭოსთან არსებული შინა მრეწველობის განყოფილება, რომელთანაც მოწყობილია ე. წ. შინამრეწველთა საბჭო.

შინამრეწველთა საზოგადოების მმართველი და ხელმძღვანელი ორგანოების თითქმის ყოველ წლიური ცვლილება მეტად აფერხებდა საზოგადოების ნაყოფიერ მუშაობას. საზოგადოების ასე თუ ისე ნორმალური მუშაობა იწყება საანგარიშო წლის დამდეგიდან, როცა საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ახალი გამგეობა, რომლის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში შემდეგში გამოიხატება:

პირველყოვლისა გამგეობამ დაამუშავა საზოგადოების ახალი წესდება, რადგან ძველი აღარ აკმაყოფილებდა საზოგადოების წევრთა ახალ ამოცანებს. შემდეგ საზოგადოების მმართველ ორგანოების ინიციატივით მოწყობილ იქნა სამი კოოპერატიული გაერთიანება (მეპურეთა კოოპერატივი „რაშა“), ფოტოგრაფთა კოოპერატივი „კოოპფოტოფოტო“ და მეჩექმეთა კოოპერატივი „ნეპალი“) თვით გამგეობასთან მოწყობილი იქნა საკონტროლო ქვეგანყოფილება, რომელსაც დავალებული აქვს ფულის შეგროვების მოწესრიგება და თვალყურის დევნება; მოეწყო აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც ევალება წევრებისათვის სესხის და ნედლი მასალის კრედიტით მიწოდება ხელოსანთათვის. საზოგადოებაზე პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით, საზოგადოებასთან მოეწყო კომუჯრედი, დაარსდა აგრეთვე კომკავშირისა და პიონერთა კოლექტივი, ადგილკომი, პოლიტწრე, „რემედასის“ უჯრედი და „წითელი ჯვრის“ საზ-ბის წრე.

ხელოსნებისათვის ზედმეტი სახელმწიფო გადასახადების აცილების მიზნით მოხდა ხელოსანთა მდგომარეობის გამოკვლევა, რომლის შემდეგაც საბოლოოდ მოწესრიგებულ იქნა ხელოსანთა ნორმალური დაბეგვრის საკითხები. ა.-წ. მარტის 15-დან ივლისის დამლევამდე ჩატარდა საზოგადოების წევრთა წმიდა - რეგისტრაცია. საზოგადოებიდან გაირიცხა 126 წევრი სპეკულიაციისა და სხვა დანაშაულობისათვის.

კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის დარგში საზოგადოების გამგეობის მიერ მთავარი ყურადღება ექცეოდა საკლუბო მუშაობის წესიერ და სათანადო დონეზე დაყენებას. იდგმებოდა წარმოდგენები, იმართებოდა ლექციები და სხვა.

საზოგადოებასთან არსებულ წიგნთ-საცავ სამკითხველოდან გამოტანილი წიგნით ისარგებლა 9.212 კაცმა. სამკითხველოს ამ ჟამად მოსდის 17 ცალი ქართულ-რუსულ-სომხური ჟურნალ-გაზეთები. ბიბლიოთეკას შეადგენს 971 წიგნი, რომელთაგან ქართულია 279, რუსული 359 და სომხური 333 ცალი.

საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობა იანვრიდან 1-ლ სექტემბრამდე ასეთი იყო: საერთო შემოსავალი უდრიდა 90.527 მან. 82 კაპ. აქედან საწევრო გადასახადებიდან შემოსულია 46.023 მან. 45 კაპ., კლუბის შემოსავალი 37.336 მან. 78 კაპ. დანარჩენი თანხა შემოსულია სხვადასხვა წყაროებიდან. ამავე საანგარიშო პერიოდში საზოგადოების გასავალი უდრიდა 94.387 მან. 93 კაპ., აქედან თანამშრომლების ჯამაგირების გასტუმრებაზე, კომპენსაციაზე, ლიკვიდაციაზე და აგენტებზე დაიხარჯა 26.336 მან 79 კაპ., დაქირავებ სადგომზე, ადგილკომზე, საკანცელარიო ხარჯებზე, ფოსტა-ტელეგრაფზე, გათბობაზე, კოოპერაციაში მეზავეობაზე, შეწირულებაზე, წარმოდგენა-ლექციების მოწყობაზე, კონფერენციის მოწვევაზე და სხვაზე დაიხარჯა 10.119 მან. და 33 კაპ. სხვადასხვა ფულადი დახმარების სახით გაიცა 15.778 მანეთი, კლუბის ხარჯები უდრიდა 44.879 მან. 72 კაპ. ხარჯების ასანაზღაურებლად საანგარიშო პერიოდში კლუბს დოტაციის სახით მიეცა 5.667 მან. 94 კაპ.

იურიდიული დახმარების დარგში სიტყვიერი და წერილობითი კონსულტაცია მიეცა და აგრეთვე სასამართლოში დახმარება გაეწია 1.430 კაცს.

საექიმო ამბულატორიით დახმარება აღმოუჩინა 4.062 კაცს.

სწარმოებდა სათანადო მუშაობა აგრეთვე ახალგაზრდებთა შორის. ხდებოდა მოწაფეების გამოკვლევა, იდებოდა მათ შესახებ ხელშეკრულებები, ეწყობოდა ფიზკულტურის წრეები და ეწყობოდა აგრეთვე ექსკურსიები და სწარმოებდა სხვადასხვა კულტურული მუშაობა. ამჟამად პიონერთა კოლექტივში ირიცხება 78 კაცი, კომკავშირში 16.

სხვა ორგანიზაციების მსგავსათ, საზოგადოების პლენუმის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ გაატარა მომჭირნეობის რეჟიმი. შტატისა და სხვა ხარჯების შემცირებით მიხწეულ იქნა ყოველ თვეში 480 მანეთის დაზოგვა.

საზოგადოება ეწეოდა აგრეთვე საშეფო მუშაობასაც, კავშირის წევრები სისტემატიურად დადიოდენ საშეფო ნაწილში სხვადასხვა კამპანიების ჩასატარებლად. საზოგადოების დახმარება ქვეშეფისადმი უდრის 658 მანეთს.

დ. ნასარიძე.

უპატრონო ბავშვები

ბათომში

იშვიათ სანახაობას წარმოადგენს ბათომში ყოფილ არდაგანის ყაზარმების ის ნაწილი, სადაც ამჟამად მოთავსებული არის უპატრონო ბავშვთა კოლონია.

ყაზარმები მთლად დანგრეული იყო, მეწველებმა ისინი ნაგვის საყარ ადგილათ გადააქციეს და მთელი წლების განმავლობაში სრულიად უპატრონოთ მიგდებული ჰქონდათ ვეებერთელა ფლიგელები.

ამჟამად ყაზარმების ზოგიერთი შენობები ბინებათ არის გადაქცეული, ხოლო ერთი დიდი ფლიგელი, ახლად შეკეთებული, შეღებილი და გასუფთავებული გამოყენებულია უპატრონო ბავშვთა კოლონიათ.

ზამთრის პერიოდში ზღვის-პირას ბევრი უპატრონო ბეშვი აწყდება, რადგან აქ უფრო თბილა. ამიტომ იყო სწორედ, რომ დაზამთრებისას ბათომის ქუჩებში ბევრ უპატრონო ბავშვს შეხვდებოდით.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და შეუდგა ბავშვთა მოვლა-პატრონობას.

სპეციალურმა კომისიამ ამხ. **ვერა გოგიბერიძის** თავმჯდომარეობით დიდი ენერგია და მუშაობა დახარჯა ამ საქმის მოგვარებაში.

კოლონიაში დღეს იმყოფება 180 ბავშვი, ჩაცმული, გასუფთავებული და მოვლილი. მთელ კოლონიაში არაჩვეულებრივი სისუფთავეა, მზრუნველობაა ბავშვებისადმი, რომელთაც აღარ აწუხებს შიმშილი, სიცივე და ავადმყოფობა.

კოლონიას ჰყავს თავისი ექიმი-ფერშალი, აქვს „ავადმყოფთა ოთახი“ და სამაცადინო დარბაზი, სადაც სპეციალურად აყვანილი მასწავლებელი ბავშვებს ასწავლის გეოგრაფიას, ისტორიას და სხვა საგნებს.

კოლონიას ჰყავს მზრუნველი ამხ. ვ. გოგიბერიძისა, რომელიც არ ზოგავს შრომას, ენერგიას და სიყვარულს ბავშვების საკეთილდღეოთ.

თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა ბავშვებზე მზრუნველობა ახლო ხანში ბათომის უპატრონო ბავშვთა კოლონია ამ დარგში ერთ პირველ ადგილს დაიჭერს მთელ საბჭოთა კავშირში.

მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას, მადლობა კოლონიის ხელმძღვანელს თავდადებულ მუშაობისათვის.

დ.

პურის შემოზიდვა

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამუშავა ცნობები ნოემბრის თვის მეორე ნახევარში ა.-კავკასიაში შემოზიდულ პურის რაოდენობის შესახებ. აღნიშნული ცნობებით ამ ხნის განმავლობაში „ხლებპროდუქტს“ შემოუზიდია სულ 174.000 ფუთი პური; აქედან აზერბეიჯანში—63.000 ფუთი, საქართველოში—69.000 ფუთი, ხოლო სომხეთში—42.000 ფუთი პური.

სახელმწიფო ბანკმა ა.-კავკასიაში შემოზიდა 64.000 ფუთი პური; აქედან: 56.000 აზერბეიჯანისათვის, 4—საქართველოსათვის და 4—სომხეთისათვის.

„კავხლებს“ შემოუზიდია აზერბეიჯანში—3.000 ფუთი პური, საქართველოში—140.000, ხოლო სომხეთში—23.000 ფუთი პური.

ა.-კ. ბამბის კომიტეტს ნოემბრის თვის მეორე ნახევარში შემოუზიდავს 67.000 ფუთი პური; აქედან: აზერბეიჯანში—19.000, ხოლო სომხეთში კი—48.000 ფუთი პური.

სულ აღნიშნული ხნის განმავლობაში ამიერკავკასიაში შემოზიდულა—471.000 ფუთი პური

აბრეშუმის ტრესტი

თანახმად ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატსა და მეაბრეშუმეთა კოოპერატიულ ამხანაგობებს შორის მაისში დადებული ხელშეკრულებისა საზღვარგარეთ მეაბრეშუმეთა წარმომადგენლობის გაგზავნის შესახებ, ს. მ. უ. ს. მიერ დადგენილია გაიგზავნოს იტალიაში საქ. აბრეშუმის ტრესტის წარმომადგენლათ ამხ. ზ. კალანდაძე.

მრეწველობის აღსადგენად

ამიერ-კავკასიაში მრეწველობის გასაძლიერებლად და აღსადგენად, საკავშირო მთავრობამ მიმდინარე წლის პირველ მეოთხედის ანგარიშში გადასდო 2 მილიონი მანეთი, აქედან საქართველოსათვის—800.000 მანეთი. ამ თანხებით უმთავრესად ფაბრიკა-ქარხნებისათვის შეძენილი იქნება ახალი მანქანები და აგრეთვე დაიწყება ახალი წარმოებების მოწყობა. საკავშირო თანხების გარდა, ამავე მიზნით გადადებულია ადგილობრივი რესპუბლიკანური თანხები.

ცაკის პრეზიდიუმში

საბჭოების საარჩევნო ცენტრალური კომისია

საბჭოთა ხელახალი არჩევნების ჩასატარებლად დაარსდა ცენტრალური კომისია ამხ. **ს. თოდრიას** თავმჯდომარეობით, მის მოადგილეთ დანიშნულია ამხ. **შ. მათიკაშვილი**, წევრებად—**მაშკევიჩი, ჯაფარიძე, ფანცხავა, ლ. დოლობერიძე, სვანიძე, რატნეკი, აღნიაშვილი, გობეჩია, სტეფანოვი, სურმანიძე**, (აჭარისტანი) **ჩანბა** (აფხაზეთი), **ჯატიევი** (სამხრეთ-ოსეთი), **ალ. ჯაფარიძე, უსოვი, ლომაშვილი, ეხიქსელოვი, ასლანიანი** და მთავარი სახელოსნოების და დეპოს წარმომადგენელთაგან.

ახალი საუბნო სასამართლოები

იუსტიციის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით დაარსდა ახალქალაქის, ბარალეთის, ბოგდანოვკის, ახალციხის, კობლიანის და ტალოშის უბნის სახალხო სასამართლოები.

დანიშვნა

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულად საქართველოში დაინიშნა ამხ. **არშაკ ათაბეგოვი.**

თემის ცენტრი

ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, ნიგვზიან-ნინოშვილის გაერთიანებულ თემის ცენტრად დამტკიცდა სად. **ჯუმათი.**

სოფლის ელექტროფიკაცია

ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციები შეუდგენ სოფლის ელექტროფიკაციის გამოკვლევას და შესწავლას.

გამოკვლევის მიზანია სოფლის ელექტროფიკაციის მდგომარეობის გამორკვევა. მიღებული გეგმის მიხედვით, გამოკვლევის დროს შესწავლილი იქნება ელექტროფიკაციის ორგანიზაციულ-უფლებრივი პირობები და გამორკვეული იქნება ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანიზაციების როლი სოფლის ელექტროფიკაციის ქვედა საფეხურის კოოპერატივების შექმნის საქმეში.

ამასთან ერთად, გამოკვლეული იქნება იმ ორგანოების მუშაობა, რომლებიც ელექტროფიკაციას ატარებენ; შესწავლილი იქნება გეგმების შემუშავების და ფინანსების მიწოდების საკითხები.

ამავე დროს გამოკვლევის პროცესში ყოველმხრივ შესწავლილი იქნება აგრეთვე უკვე აგებულ სოფლის ელექტრო-სადგურების ტეხნიკურ ეკონომიური მდგომარეობა, მათი მოწყობილობა და სამოქმედო რაიონი. ენერგიის და სათბობი მასალის აღრიცხვის საქმე, ენერგიის თვითღირებულება და სხვა.

სახელმწიფო სესხი

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით ყველა სამეურნეო დაწესებულებები, რომელსაც 1923—24 სამეურნეო წელი მოგებით დაამთავრეს და შეძენილი ჰქონდათ სახელმწიფო 8 პროცენტიანი სესხის ობლიგაციები, ვალდებულნი არიან მიმდინარე საანგარიშო წლის გასვლამდე გადაიხადონ დღემდი გაუნაღდებელი დავალიანებანი, როგორც 1923—24 წლის, ისე 1924—25 წლის. ასეთი დაწესებულების აღრიცხვა მიენდო ა.-კ. ფინსახკომს. მასვე დაევალა შეადგინოს იმ სამეურნეო ორგანიზაციების სია, რომლებმაც გასულ წელს ნახეს მოგება. მათ დაეკისრება 8 პროცენტიანი სესხის ობლიგაციების შეძენა.

მუშფაკში

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მუშფაკში დაარსდა მსმენელთა წრე, რომლის მიზანია პროლეტარული ლიტერატურის შესწავლა და ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობებთან გაცნობა.

წრის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ცალკე კომისია ამხ. კაპანაძის, ალავიძის და ფოფხაძის შემადგენლობით.

წრეში უკვე დაიწყო მეცადინეობა.

კარაქი

ჩვენს კარაქზე დიდია მოთხოვნილება საზღვარგარეთის ბაზრების მხრივ. პროდუქტის გაცხოველებულმა ექსპორტმა უცხოეთის ბაზრებზე გამოიწვია ფასების აწევა, რადგან ადგილობრივი ნაწარმოები ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ბაზრის მოთხოვნილებებს.

ამჟამად ბაზარზე ერთი კილო კარაქი ფასობს 4 მანეთად (გირვანქაზე მოდის 1 მან. 60 კაპ.).

საექსპორტო კარაქი მზადდება უმეტესად ახალქალაქის და წალკის რაიონებში.

ქრონიკა

სპეციალისტების თათბირი

დღეს, დილის ათ საათზე სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება სპეციალისტ აგრონომების, მიწის მზომელების და მეტყევეების თბილისის საქალაქო კონფერენცია.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნება საანგარიშო მოხსენება საქ. სამეცნიერო-სატეხნიკო ძალთა სექციის ერთი წლის მოღვაწეობის შესახებ. დანარჩენ საკითხთა შორის აღსანიშნავია მოხსენებები სპეციალისტების მდგომარეობის, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის, მიღება-დათხოვნის და სხვა საკითხების შესახებ.

ანტი-სარწმუნოებრივი კამპანია

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ 20 დეკემბრიდან 6 იანვრამდე ყველა მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში ჩატარებული იქნება ანტი-სარწმუნოებრივი კამპანია.

კამპანიის ჩასატარებლად გამოყოფილია სპეციალური კომისია ამხ. მგალობლიშვილის, როზენფელდის და ქშონძერის შემადგენლობით, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს კლუბებს ინსცენიროვკების, ცოცხალი გაზეთების, წარმოდგენების და სხვათა გამართვაში.

თამბაქოს ფასები

ამ დღეებში ა.-კ. შინა - ვაჭრობის კომისარიატში შესდგა თათბირი აფხაზეთის და სომხეთის თამბაქოზე ფასების დასაწესებლად. თათბირმა შეიმუშავა საპერსპექტივო ფასები, რომელიც გადაეცა დასამტკიცებლად ა.-კ. შინა - ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიას.

„სოფლის კავშირი“

სოფლის კავშირის საორგანიზაციო ბიურომ დაასრულა დაბალი კოოპერატიული ქსელის გამოკვლევა. ოთხი უძლიერესი დაბალი გაერთიანება (რომელნიც მთელი ქსელის 52 პროც. შეადგენს) შევლენ „სოფლის კავშირში“, როგორც წევრ—დამფუძნებელნი.

26 დეკემბერს გაიმართება „სოფლის კავშირის“ დამფუძნებელი ყრილობა, რომელზედაც ჩამოყალიბებული და დამტკიცებული იქნება წესდება.

წერა-კითხვის სასარგებლოდ

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ფონდის გასაძლიერებლად, ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა 25 და 15 პროცენტით ვაჭრობის პატენტის საფასური სასმელებსა და თამბაქოზე.

გულენკოს შპალები

10 დეკემბერს გულენკოს წესით შპალების ვულკანიზაციის გამომკვლევმა კომისიამ, რომელმაც სათანადო მასალები შეაგროვა ვულკანიზაციის უვარგისობის შესახებ, დაადგინა შეწყვიტოს შპალების ვულკანიზაცია გორის ქარხანაში.

თბ. აღმასკომში

◆ **ტრამვაი.** ამჟამად თბილისში მუშაობს 140 რონოდა.

◆ **წყალი.** გასულ თვეში ავჭალის წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 28.602.400 ვედრო წყალი.

◆ **ზაჰესის ენერგიაზე** აბანოები, აგურხანები, მექანიკური და ლუდის ქარხნები გადაყვანილი იქნება 1928 წელში.

◆ **წყაროს გამოყვანა.** ნატახტარიდან და ბულაჩაურის წყაროების გამოსაყვანად წყალსადენის სამმართველომ შეიძინა ძვირან ადგილების საბურღავი მანქანები.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ციებ - ცხელება.** გასულ წელს რესპუბლიკის ყველა სამკურნალო სადგურში და ტროპიკულ ინსტიტუტში გაიარა 52,694 ციებ-ცხელებით დაავადმყოფებულმა.

◆ **პასტერის ინსტიტუტში.** თბილისში გასულ საანგარიშო წელში ეკიმობდა ცოფიან ცხოველებისაგან დაკბენილი 2.483 კაცი, მათ შორის გარდაიცვალა 15. დანარჩენი განიკურნა.

სას.-სამ. ბანკში

◆ **სესხი ღარიბ გლეხებს.** სას.-სამ. ბანკმა თელავის საკრედიტო ამხ-ბას ღარიბ გლეხებისათვის სესხის დასარიგებლად გადასცა 13 ათასი მან.

◆ **ამხ. კამოს სახელობის** საკონსერვო ქარხნის მოსაწყობათ გორში, გორის აღმასკომმა ბანკიდან სესხად გამოითხოვა 50.000 მანეთი.

◆ **ამერიკული ვაზის** შესაძენად დასავლეთ საქართველოში საკრედიტო ამხ-ბების საშუალებით გლეხებს მიეცემათ სესხი.

განათლების სახ. კომისარიატში

◆ **გამოკვლევა.** მომავალ წლის მარტში დაიწყება თბილისის უმაღლეს სასწავლებლების გამოკვლევა.

◆ **სკოლა ორგვეთში.** განათლების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა ზესტაფონის სასოფლო - სამეურნეო სკოლა გადაიტანოს ორგვეთის სახალხო მამულში.

◆ **სახელმწიფო ბიუჯეტზე.** მომავალი წლიდან სას.-სამ. სკოლების მასწავლებლებს ხელფასი მიეცემათ განათლების კომისარიატის ბიუჯეტიდან.

◆ **დახმარება.** განათლების კომისარიატმა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ სპეციალურ სას.-სამ. სკოლებს გაეწიოს ერთ დროული დახმარება.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **სატყეო ტრესტმა** ა.-კ. სატყეო კურსებზე გააგზავნა 12 თანამშრომელი.

◆ **საქართველოში ყოველწლიურად** იხარჯება 60.000 ტონა სათბობი მასალა.

◆ **წყალის საწმენდი ფხვნილი.** ქობულეთში აღმოჩენილი იქნა წყალის საწმენდი ფხვნილი, საუკეთესო ღირსების.

◆ **აქციზის მოხსნა.** უმაღლეს ორგანოების დადგენილებით, ჩაქვის ჩაიზე მოხსნილია აქციზი.

◆ **ავტომატიური ტელეფონების** სადგურის მოსაწყობად თბილისში, გადადებულია 4 მილიონი მანეთი. მუშაობა უკვე დაწყებულია.

◆ **პენსია.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა გასულ თვეში პენსიების სახით გასცა 6.000 მან

სახალხო მამულების ტრესტში

◆ **ფასები ღვინოზე.** სახ. მამულების ტრესტის ცნობით, კახეთში საუკეთესო ღვინო ვედრო ღირს 4 მ.

◆ **საზ-ბა „ღვინით ვაჭრობას“** ტრესტმა მიჰყიდა 50.000 მ. ღვინო, რომლებიც შეძენილი იყო გლეხებისაგან.

◆ **საკუთარი მამულებიდან** ტრესტს წელს მოუვიდა 70.000 ვედრო ღვინო, ჯერ - ჯეროზით გლეხებისაგან შეძენილია 200.000 ვედრო.

◆ **მევენახეობის გასაძლიერებლად** ტრესტმა საზღვარგარეთიდან გამოიწერა 2.600.000 მეტრი ამერიკული ლერწი.

◆ **ღვინო.** ტრესტმა თავის განყოფილებებს მოსკოვში, ოდესაში და ბაქოში წელს გადაუგზავნა 40 ათასი ვედრო ღვინო.

სხვადასხვა

◆ **შემოწირულება.** მთაელიტმა პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას გადასცა 1000 მეტი წიგნი და ჟურნალები, რომლებიც განაწილებული იქნება მუშათა კლუბებს შორის.

კრებები და მოხსენებები

◆ **ამხ. ფანცხავას ლექცია.** ორშაბათს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (ნაძალადევში) საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ამხ. ფანცხავა ლექციას წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „ვინ არის დამნაშავე ინგლისის მემაღაროეთა დამარცხებაში და რა მოელის ახლო მომავალში ევროპის მუშებს“.

◆ **ამხ. ლიფშიცის ლექცია.** იმავე დღეს, საღამოს 6 საათზე, სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (მუშტაიდი) ამხ. ლიფშიცი ლექციას წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „რა ხდება ამჟამად ჩინეთში“.

◆ **კონფერენცია.** 21 დეკემბრისათვის საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში მოწვეულია კინო-სალექციო მუშაკების კონფერენცია.

◆ **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების** მორიგი საჯარო სხდომა შესდგება სამშაბათს, 14 დეკემბერს, საღამოს 7-ნახევ. საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში (ფურცელაძის ქ. № 1); წესრიგი: მაკარ ხუბუას მოხსენება: „ზემო-აჭარის ენობრივი მიმოხილვა“.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, 12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე კ. კაპანელი გააკეთებს მოხსენებას „ლიტერატურა და თანამედროვე ლიტერატურული მიმართულებანი“.

◆ **რადიო - გადაცემა.** დღეს, 12 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილება აწყობს დიდ რადიო - გადაცემას. გადაცემაში მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ოპერის ძალები და სხვები, გარდა კონცერტისა გადაცემული იქნება მოხსენება.

შემთხვევები

დაჭრა

სოფ. სოღანლუღში ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე 10 დეკემბერს მოქ. ისრატილა ბაირამოღლიმ რუსული შაშხანა თოფით დასჭრა ფეხში თავისი რძალი ფიტმა მამედ კიზი. ბოროტმოქმედი მიმალულია.

„პონჩიკით მოწამვლა“

ამ რამოდენიმე ხნის წინად ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ცნობა მოქ. საგანელიძის საკანდიტროში (პუშკინის ქ., № 5), „პონჩიკით“ მარგარიტა ხოჯაბეგოვის მოწამვლის შესახებ.

სისხლის სამართლის მილიციამ აწარმოვა ამ საქმეზე ვრცელი გამოძიება. შემდეგ საქმე გადაეცა 1-ლი უბ. პროკურორის თანაშემწეს ამხ. კოკაბიძეს.

„პონჩიკი“ სანალიზოთ გაიგზავნა ჯანსახკომის ლაბორატორიაში. ანალიზით გამოირკვა, რომ „პონჩიკი“ დამზადებულია გიგიენური წესების დაცვით.

საერთოდ გამოირკვა, რომ ხოჯაბეგოვის ქალი არ მოწამლულა „პონჩიკისაგან“, არამედ მას აღმოაჩნდა სულ სხვა ავადმყოფობა.

პროკურორის განკარგულებით, სისხლის სამართლის დანაშაულობის უქონლობის გამო, საქმე მოისპო.

სიმულიაცია

სისხლის სამართლის მილიციაში 10 დეკ. საღამოს 9 საათზე გამოცხადდა მოქ. სერგო პეტინცევი და განაცხადა, რომ მას რესტორან „მზახე“-ში (პუშკინის ქ. № 29) სმის დროს უცნობმა პირებმა ჩამოამცვეს თავზე ტომარი და დაუწყეს ცემა, რის შემდეგ წაართვეს 150 მან. და მიიმალენ. მოწმეების და თვით მომჩივანის ცოლის დაკითხვისაგან გამოირკვა, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ფულის გამოტყუება

რიყეზე მტკვრის პირად 10 დეკემბერს ვიღაც აფერისტებმა არშაკ მიკირტიჩის ძეს ვალტახჩიანცს გამოსტყუეს 500 მანეთი.

◆ **ცეცხლი.** 10 დეკ. წითელი მთის ქ. № 7 გიორგი იორდანიშვილის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

◆ **შეპყრობა.** 10 დეკ. ქურდობისათვის შეიპყრეს ივანე ალექსის ძე კისილოვი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 10 დეკ. ისრაილოვის ქ. № 4 ოლღა პოლშენისკაიას ბინიდან მოიპარეს 500 მანეთის ნივთები.

◆ **ამავე დღეს** ყორღანოვის ქ. № 18 გაქურდეს ქსენია ხაბურზანიას ბინა.

◆ **კარების გატეხვის** საშუალებით, ღამით 10 დეკ. გაქურდეს ემალია კუზნიკოვის ბინა. წაღებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

შრომის სკოლის მუშაკებს!

ძვირფასო ამხანაგებო! თითქმის ექვსმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის ბრძოლის ქარცეცხლში იშვა კომუნისტური სულის და შემოქმედების მატარებელი მუშათა და გლეხთა საქართველო.

მეექვსე წელია, რაც საქართველოს პროლეტარიატი და გლეხობა, კომუნისტური ჩირაღდნით ხელში, ნელის ნაბიჯით, მაგრამ მტკიცე და ურყევ საძირკველს უყრის ახალ ქვეყანას.

მეექვსე წელია, რაც ძვირფასო ამხანაგებო, თავს ვიდეთ რა ახალი ცხოვრებისათვის ახალი თაობის აღზრდა, მატერიალურად დიდად შევიწროვებულნი, ტვირთმძიმე პირობებში ჩაყენებულნი, ძველის ნანგრევებზე მედგრად ვაშენებთ ახალ სკოლას.

ამაყად და გულწრფელად უნდა ითქვას, რომ ჩვენი ოჯახის წევრთა უდიდესი ნაწილი ამ დროის განმავლობაში არ შემკრთალა დიდ და საძნელო მუშაობით და უკან არ დაუხევია, მაგრამ ნამდვილი შრომის სკოლის მსოფლმხედველობით და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ - პედაგოგიურად საკმაოდ მომზადებული.

უკვე დრო არის, რომ ეს მოთხოვნილება ჩვენი სკოლის მუშაკთ საკმაოდ და მტკიცედ დავუყენოთ და გადაჭრით ვუთხრათ: ჩვენ სკოლაში ადგილი აქვს მხოლოდ მას, ვინც ამ ჩვენ სწორ და აუცილებელ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს!

განათლების სახალხო კომისარიატმა ამ ექვსი წლის განმავლობაში არ დაიშურა არც თავისი მატერიალური შესაძლებლობა და არც თავისი ფიზიკური ძალა, რათა შეშველებოდა მასწავლებლობას ცოდნებრივ დონის ამაღლების საქმეში და მიეცა მათთვის გეზი, რომლითაც მათ შეეძლოთ ეხელმძღვანელნათ საქმის თარების და თვითგანვითარების საქმეში.

მასწავლებელთა მომზადების და ნამდვილი შრომის სკოლის შექმნის ერთი-ერთ მთავარ საშუალებათ უნდა ჩაითვალოს პედაგოგიური ჟურნალი, რომელსაც უნდა ჰყავდეს მკითხველად და თანამშრომლად პედაგოგთა ფართო მასა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას—სინამდვილეს დაშორდება. სწორი უტყუარი პედაგოგიური აზრი იჭედება მხოლოდ იმ დროს, როდესაც პედაგოგიურ-თეორეტიულ აზროვნებას ამტკიცებს, ამართლებს და ადასტურებს ცხოვრების სინამდვილე—უშუალოდ, ბავშვის გვერდით მომუშავე პედაგოგი.

ჩვენი პედაგოგიური ჟურნალი „ახალ სკოლისაკენ“, ძვირფასო ამხანაგებო, დღევანდლამდის მოკლებულია სწორეთ ამ მთავარს—თქვენს აზრს და თქვენს დასტურს.

მაგრამ, თუ დღევანდლამდის ეს ასე იყო, აღარ უნდა იყოს ამის შემდეგ.

განათლების კომისარიატი მოგიწოდებთ ყველას, ვისაც კი ძვირფასად გილირთ ჩვენი სკოლა და ჩვენი პედაგოგიური აზრი, გამოიწეროთ ჩვენი ჟურნალი, გაავრცელოთ იგი და თავისუფლად და მიუდგომლად მის ფურცლებზე გამოსთქვათ თქვენი აზრი.

ჟურნალი „ახალ სკოლისაკენ“ გადაგზავნით წლიურათ ღირს 4 მან., გადაუგზავნელად—3 მან. 50 კაპ., ცალკე ნომერი—30 კაპ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, განათლების სახალხო კომისარიატი.

ამხანაგური სალამით **მარიამ ორახელაშვილი.**

ხელოვნება

დუტუ მეგრელის საღამო

22 ნოემბერს შესრულდა 40 წელი, რაც დუტუ მეგრელი მოღვაწეობს ლიტერატურულ ასპარეზზე.

ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს განზრახვა აქვს ახლო ხანში გამართოს მისი სამწერლო ასპარეზზე 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად საპატივსაცემლო საღამო.

„სიბრძნე-სიცრუე“

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა საბა - სულხან - ორბელიანის იგავ - არაკების კრებული „სიბრძნე-სიცრუე“.

წიგნს დართული ექნება ავტორის ვრცელი ბიოგრაფია. წიგნს სცემს ამხ-ბა „შრომა“.

ხელოვნების ქრონიკა

— **„მონტეცუმის ასული“.** სამშაბათიდან კინო „მინიონში“ წავა ახალი სურათი: „მონტეცუმის ასული“.

— **„თამარ ცბიერი“.** ოპერის თეატრში დღეს მეორედ ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება „თამარ ცბიერი“.

„ჰამლეტ“. რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი“. მთავარ როლში — უ. ჩხეიძე.

— **წითელარმიელთა და ფლოტის კლუბში** დღეს გაიმართება უკრაინული წარმოდგენა.

— **„მაიარტუნში“** დღეს გაიმართება ლიტერატურულ - მუსიკალური საღამო.

— **დიდი კონცერტი.** ორშაბათს 13 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში ლენინაკანის განათლების მუშაკთა სახლის სასარგებლოდ გაიმართება დიდი კონცერტი.

— **„იდეიალე ჩინეთი“.** დღეს მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ: „იდეიალე ჩინეთი“.

— **სახელმწიფო სახალხო მუსიკალური სასწავლებლის** მეორე კამერული დილა გაიმართება დღეს პროფსაბჭოს დარბაზში.

— **ვერის მუსიკალური სასწავლებლის** მოწაფეთა საღამო გაიმართება 14 დეკემბერს კონსერვატორიის დარბაზში.

◆ **„ჰიმნი ზაჰეს“.** გამოვიდა კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძის კანტატა „ჰიმნი ზაჰეს“.

◆ **„იუბილე“.** მწერალმა ქალმა აზიანმა დასწერა ახალი კომედია: „იუბილე“.

◆ **სომეხ მწერალმა შირვანზადემ** დასწერა პიესა ემიგრანტების ცხოვრებიდან: „მორგანის ნათლია“.

◆ **სომეხი მწერლები.** სომეხ ხელოვანთა სახლის გამგეობა ცალკე წიგნებად სცემს ახალგაზრდა სომეხ მწერლების ნაწარმოებებს.

◆ **სომხური ოპერა ამერიკაში.** ამერიკაში დიდი წარმატებით იდგმება სომხური ოპერა „ანუშ“. ტექსტი აღებულია ო. თუმანიანის პოემიდან: „ანუშ“. მუსიკა დაწერილია კომპოზიტორ კუშნარიანის მიერ.

— **ხელოვნების სახალხოში** კვირას, საღ. 6 საათზე „ხელოვანთა სასახლეში“ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრთა შორის, ამხ. გ. ლუარსამიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „სტაბილიზაციური განწყობილების ნიშნები პროლეტარულ ლიტერატურაში“.

განათ. მუშაკთა სახლი

აგარაკ ბახმაროზე

ერთს თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ოზურგეთის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირის მიერ თავის წევრებისათვის დასასვენებელი სახლის აგება აგარაკ ბახმაროზე.

წარსულ 1925 წელს განათლების სამაზრო მუშაკთა კავშირი შეუდგა აგარაკ ბახმაროზე მაზრის განათლების მუშაკთათვის დასასვენებელი სახლის აგებას. ამ მიზნით განათლების მუშაკთა კავშირის მიერ არჩეულ იქნა სპეციალური საამშენებლო კომისია—ამხ. **ილია ქარცივაძის** თავმჯდომარეობით. ფაქტიურად, საამშენებლო მუშაობას ხელმძღვანელობდა საამშენებლო კომისიის თავმჯდომარე და კავშირის პასუხისმგებელი მდივანი უნდა აღინიშნოს, რომ მათ დაკისრებული საქმე პირნათლად შეასრულეს,—შენობა უკვე დასრულებული იქნა 1926 წელს.



ბახმაროს დასასვენებელი სახლი შესდგება 16 ოთახისაგან, თვითეული ოთახი ჰიგიენის ყველა მოთხოვნილების თანახმადაა აგებული. შენობას აქვს ფართო და ნათელი დარბაზი, სადაც შეიძლება ლექციების მოწყობა მოაგარაკე მასწავლებელთათვის.

წელს სახლში მოთავსებული იყო 64 კაცი.

ბახმაროს დასასვენებელი სახლი ერთი თვალსაჩინო კულტურული საგანძურია გურიის განათლების მუშაკთათვის; ზაფხულის არდადეგებზე გურიის მასწავლებლობას აქ შეუძლია დაისვენოს, გაერთოს, დახარჯული ენერგია აღადგინოს და ახალი ძალღონით აღჭურვილი კვლავ შეუდგეს თავის ჩვეულებრივ მუშაობას.

Z.

მეცნიერება და ტეხნიკა

საქართველოში ცემენტის ქარხნის აშენების შესახებ *)

აგერ უკვე ერთი წელიწადია, რაც საქართველოში ცემენტის ქარხნის აშენების საკითხი სდგას ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე. საკითხის დასამუშავებლად იყვნენ მოწვეული წარმომადგენლები ცენტრიდან. შესდგა მთელი რიგი კომისიათა და ტეხნიკურ თათბირების, საბოლოოდ საკითხი გადაწყდა კავთისხევის სასარგებლოდ. აქ კიდევ ომამდე იყო დაწყებული ქარხნის შენება. კაპიტალისტმა მანთაშევმა შეკრა პირობა გერმანიის ფირმასთან „პფეიფერ“-თან, რომელმაც მიიღო დიდი თანხა. ეს ფირმა ვალდებული იყო ქარხანა აეშენებია, აემუშავებია და მიეცა ცემენტი ხელშეკრულების პირობების მიხედვით დამაკმაყოფილებელი ხარისხის. ომმა შესწყვიტა დაწყებული მუშაობა. პროექტი ყველა მასალებით დაიკარგა, დარჩა მხოლოდ ანალიზების შედეგები, რომელსაც აწარმოებდა საზღვარგარეთელი ფირმები პფეიფერის (გერმანია) და სმიტის (დანია).

ამ ფირმების მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ნიმუშებ-წარმოებულმა ანალიზებმა ერთგვარი შედეგები მოგვცა: დღეს-დღეობით საკავშირო ტერიტორიაზე ასეთი კარგი ხარისხის ცემენტი არ მზადდება და შეიძლება ითქვას არც მზადდებოდა. ამიტომ გასაგებია, რომ როცა ახლად წამოიჭრა ცემენტის ქარხნის აშენების საკითხი, ყურადღების ცენტრი მიქცეულ იქნა კავთისხევზე. მიუხედავად ამისა სხვა ადგილას ქარხნის აშენების შესაძლებლობაც იყო მხედველობაში მიღებული. ამით აიხსნება ის, რომ როდესაც გეოლოგი კარაპეტიანი გამოვიდა წინადადებით აეშენებია ქარხანა ტყიბულში, მის იდეას შეხვდნენ დიდი ყურადღებით.

ადგილზე საკითხის შესასწავლად კარაპეტიანი და მე ვიყავით მივლინებული (ამ ზამთარში) ტყიბულში. მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებთ შესწავლის შედეგებზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მთელი რიგი ტეხნიკურ და ეკონომიურ პირობების მიხედვით, ტყიბულში ქარხნის აშენების საკითხი მოიხსნა. ამის შემდეგ გეოლოგი კარაპეტიანი გაზეთის ფურცლებზე მიმართავს საზოგადოების აზრს, რომელსაც არა აქვს საშუალება გაერკვეს დაგროვილ სპეციალურ მასალაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ კარაპეტიანი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ეს საკითხი მოიხსნა მიუხედავათ ავტორის აზრისა.

სანამ გავაცნობდეთ მკითხველს საქართველოს ს. მ. უ. ს. ოფიციალურ აზრს, გავარჩიოთ საკითხი არსებითად.

კარაპეტიანი გეოლოგია. მისი ამოცანაა გამოარკვიოს ნედლეულის მარაგი. ეს ძლიერ ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა. ნედლეულის გადამუშავება—კი ტეხნოლოგის საქმეა. გეოლოგის შეჭრა ტეხნოლოგიის არეში ისევე სახიფათოა, როგორც პირიქით.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ როდესაც გეოლოგი კარაპეტიანი მსჯელობს ცემენტის ტეხნოლოგიაზე, ის უნებლიედ ადგება მცდარ გზას. მისი ცემენტის სხვადასხვა ხარისხებათ დაყოფა ჯერ მეცნიერებას არ მიუღია. ყველა ცემენტი ჰიდრავლიურია, რითაც განირჩევიან კირისაგან. კირი მზადდება სუფთა ქვაკირისაგან. ცემენტი კი—თიხისა და ქვაკირის შენაერთიდან (დაახლოვებით 75 პროც. ქვაკირი, 25 პროც. — თიხა). თიხის და ქვაკირის სხვადასხვა რაოდენობით აღებული რევანი იძლევა ჩქარ გამშრობ და ნელ გამშრობ ცემენტს. არის კიდევ ეგრედწოდებული სპეციალური ცემენტი, რომელშიაც ქვაკირი კი არა, თიხა სჭარბობს. უკანასკნელის დამზადება შესაძლებელია იმ ქვეყანაში, სადაც მოიპოვება იშვიათი ბოქსიტის მადანი (ალიუმინის მადანი). რაც შეეხება მაღალ ხარისხოვან ცემენტს, მისი მიღება იმდენად არ არის დამოკიდებული ნედლეულობაზე, რამდენადაც ნედლეულის გადამუშავებაზე. კარგათ დაფქვა, შერევა ნედლეულის, შემდეგ გამოწვის სათანადო ტემპერატურის არჩევა (1400—1450°). შემდეგ ახალი დაფქვა კლინკერის და ამრიგათ მზა ცემენტის მიღება, აი ის მთავარი პირობები, რომლებიც საჭიროა მაღალ ხარისხოვან ცემენტის მისაღებათ. მრავალ წლების განმავლობაში ტეხნიკამ ამ დარგში დიდი გამოცდილება მიიღო.

როგორც მკითხველი ხედავს ნედლი მასალა ადგილი საშოვნელია, მის ამოღებაზე უნდა დაიხარჯოს მინიმუმი. სამაგიეროთ არ უნდა დაიზოგოს საშუალება მანქანებისათვის. ჩვეულებრივად ცემენტის ნედლეულობა (კარიერი) იმყოფება რკინისგზის მახლობლად, თიხის და ქვაკირის ამოღება სწარმოებს მიწის მაღლა მუშაობით. მიწის ქვეშ მუშაობას ვერც ერთი ცემენტის წარმოება ვერ აიტანს. ნედლი მასალა ძვირი დაჯდება. შემდეგ ცემენტის ქარხანა უნდა იმყოფებოდეს ისეთ ადგილას, სადაც ადვილი იქნება დამზადებულ ცემენტის ფუტვა და დანაწილება.

როდესაც ამ თვალსაზრისით უდგებით კავთისხევს და ტყიბულს, ჩვენ ვხედავთ შემდეგს: კავთის-ხევში თიხის და ქვაკირის დიდი მარაგი მოქცეულია ერთ ადგილას. ტყიბულში სხვადასხვა ადგილას. ტყიბულში თიხას და ქვაკირს სცილდება ზიდვა რკინისგზამდის 3—5 ვერსის მანძილზე. კავთისხევში მასალა მაგისტრალზეა, საიდანაც ადვილია პროდუქციის განაწილება, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით. ტყიბულში კი მაღაროები დაშორებულია მთავარ ლიანდაგიდან 50 ვერსით.

მაგრამ მთავარი დაბრკოლება ამაში არ არის. გეოლოგი კარაპეტიანი ფიქრობს თიხის მაგიერ ეგრედწოდებულ სლანცის ხმარებას (დაბალ ხარისხის ნახშირია), რომელიც იცავს 30—70 პროც. ნაცარს. ნაცარშია უმთავრესად თიხა. დაბრკოლება ეჩნევა ერთგვარ სლანცის შერჩევას. შემდეგ სლანცში შედის გოგირდი, ძალიან მავნეა ცემენტის წარმოებისათვის. ეს გოგირდი ხშირად მიზეზია მაღაროებში ცეცხლის გაჩენისა. მთავარი კი ის არის, რომ თუ დაიწყებოდა ამ სლანცების დამუშავება, მაშინ დაგვჭირდებოდა მიწის ქვეშ მუშაობის წარმოება.

ამიტომ ჩვენ შევჩერდით გადაყრილ დაბალ ხარისხოვან ნახშირზე. ასეთი ნახშირი წელიწადში მილიონ ფუთამდე გროვდება. ცემენტის წარმოებას კი სამ მილიონ ფუთამდე დასჭირდება. მაშასადამე, ეს გზაც უვარგისი გამოდგა.

ყველა ამას დაუმატოთ ის, რომ ტყიბულში სამითას ძალიანი სადგური უნდა დავდგათ! კავთისხევში კი ზაგესით ვისარგებლებთ. ყველა ამ მიზეზების გამო, ტყიბულში ქარხნის აშენებას იდეა უარყოფილ იქნა.

ალ. დევდარიანი.

საჰაერო მიმოსვლა ჩრდილოეთ პოლიუსით

ბერლინში დაასრულა მუშაობა „დირიჟაბლების საშუალებით არქტიკის*) გამომკვლევმა საზ-ბამ“.

ეს საზოგადოება, რომელიც წმინდა მეცნიერულ მიზნებს ისახავს, დაარსებულ იქნა გერმანიის თაოსნობით. საზოგადოების სათავეში სდგას ნორვეგიის წარმომადგენელი ფრიტიოფ ნანსენი. 14 სხვა სახელმწიფომ საზოგადოების გამგეობაში გაგზავნა თავისი საუკეთესო მეცნიერები და მკვლევარები.

უკანასკნელ კონგრესს პირველად დაესწრენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

აღნიშნული საზოგადოება ამზადებს ნიადაგს საქმისათვის, რომელსაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება, განსაკუთრებით ეკონომიური თვალსაზრისით.

ტრანსარქტიული (ჩრდილოეთ პოლიუსით მიმავალი) საჰაერო გზა, რომელიც პრესაში რამდენიმეთ უკვე არის გაშუქებული ამუნდსენის ექსპედიციასთან დაკავშირებით, მეტად დიდ სარგებლობას მოუტანს დასავლეთ ევროპას. მაგრამ ამ ამოცანის გადაჭრა იმდენად ძნელია, რომ საჭირო იქნება არა ერთი და ორი წელიწადი, სანამ პირველი საცდელი გაფრენა გახდებოდეს შესაძლებელი, მიუხედავათ იმისა, რომ ნობილეს დირიჟაბლის გაფრენა ევროპიდან ჩრდილოეთ პოლიუსზე წარმატებით ჩატარდა. და ამ სიძნელეთა სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს პირველ ყოვლისა გზის სწორათ შერჩევაში, რისთვისაც საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული, როგორც მეტეოროლოგიური პირობები, ისე რთული ეკონომიური ფაქტორები პერსპექტივები და შესაძლებლობანი იმ პუნქტების მიმართ, რომლებიც ბაზათ იქნებიან გამოყენებული პოლიარულ საჰაერო გზაზე.

ერთი ასეთი ბაზა იქნება, ალბათ, შპიცბერგენი, რომელსაც ამრიგად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამერიკელები უკვე ახლა აპირებენ იქ, კომერციული მიზნებით, სასტუმროების და საცხოვრებელი სახლების აგებას და აგრეთვე რეგულიარული საზღვაო მიმოსვლის მოწყობას. მეორე ბაზის საკითხი უშუალოდ საბჭოთა კავშირის ინტერესებს ეხება, ვინაიდან მის მოსაწყობათ ჯერ-ჯერობით ადგილი მოიძებნება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე — ციმბირის სანაპიროებზე ან ყინულოვან ოკეანეს რომელიმე კუნძულზე.

მართალია, თუ აღმოჩენილ იქნა „გარრისის მიწა“ (პოლიუსსა და ალიასკას შორის), რომლის არსებობა დამტკიცებული არ არის, მაშინ იქნება კიდევ ერთი გზა.

შესაძლებელია, რომ ერთ-ერთი ასეთი ბაზა იქნება მურმანსკი (ბრუნსის პროექტით).

რაც შეეხება საჰაერო მიმოსვლის ტეხნიკურ მხარეს, ამ მხრივ გადამწყვეტ როლს ითამაშებენ მაგარი დირიჟაბლები R 101 და R 102, რომელთა აშენება სწარმოებს ინგლისში. ერთი ამ დირიჟაბლთაგანი მზად იქნება 1927 წლის დასაწყისში, გერმანული ცეპპელინი ZR-III (ლოს-ანჟელოსი), რომელიც ცნობილია ევროპიდან ამერიკაში გადაფრენით 1924 წ. (80 საათის განმავლობაში), გამოდგებოდა პოლიარული საჰაერო მიმოსვლისათვის, მაგრამ კომერციული თვალსაზრისით იგი გამოუსადეგარია. იმ დირიჟაბლებით კი, რომლებსაც ამჟამად აშენებენ ინგლისში, აპირებენ საჰაერო მიმოსვლის მოწყობას ლონდონიდან ინდოეთში, სამხრეთ-აფრიკაში, კანადაში და სხვა კოლონიებში.

თავისი სიდიდის გამო, ეს დირიჟაბლები ხელსაყრელი იქნებიან აგრეთვე არქტიული მიმოსვლისათვისაც. საკმაო არის აღვნიშნოთ, რომ ეს დირიჟაბლები მოცულობით ორჯერ დიდი იქნებიან, ვიდრე, ZR-III და შვიდჯერ დიდი, ვიდრე ნობილეს „ნორვეგია“. ისინი შესძლებენ 4.500 ფუთი ტვირთის წაღებას და 100 მგზავრის წაყვანას. მათზე დადგმული იქნება არა ბენზინის მამოძრავებლები, არამედ უფრო ეკონომიური, ნავთით მომუშავე ნახევრად-დიზელების (შვიდი ცალი, ექვსას ცხენისძალიანი თითო). ამ დირიჟაბლებზე მოთავსებული იქნება აგრეთვე ექვსი აეროპლანი, რასაც აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა ექნება პოლიარული მოგზაურობისათვის.

ასეთ პირობებში, ბერლინში დამთავრებული კონგრესის შედეგები უდიდეს ინტერესს წარმოადგენს.

კ. ვეიზულინ.

მარადიული მამოძრავებლები და მათი სუროგატები

გაზეთებში მოთავსებული ცნობა მარადიული მამოძრავებლების*) შესახებ, რომელიც ვითომდა ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოიგონეს ბერლინში, კრიტიკულ მოპყრობას მოითხოვს. უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან მარადისი მამოძრავებელი (პერპეტუუმ მობილე) პრაქტიკულად მასთან მსგავს ე. წ. „უფასო მამოძრავებლისაგან“. „პერპეტუუმ მობილეს“ ქვეშ გულისხმობენ მექანიზმს, რომელსაც მუდმივათ და განუწყვეტლივ შეუძლია იმუშაოს ისე, რომ ენერგია არსაიდან არ მიიღოს, ასეთი მექანიზმი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მეოცე საუკუნეში მსგავსი მანქანის გამოგონების შესახებ ლაპარაკი—პირდაპირ სასაცილოა.

სულ სხვა საქმეა ე. წ. „უფასო მამოძრავებელი“, ე. ი. ისეთი აპარატი, რომელიც განუსაზღვრელათ დიდხანს შესძლებს მუშაობას, არ მოითხოვს არავითარ ხარჯებს და ზედამხედველობას. ეს აპარატი არ ქმნის ენერგიას, არამედ ღებულობს ბუნების მარაგიდან. ასეთ მექანიზმებს, თუმცა პატარა სიმძლავრისას, ხშირათ აკეთებდენ გამომგონებლები. ასე მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, გამოგონებული იქნა საათი, რომელიც იმართებოდა ატმოსფერული დაწოლის საშუალებით: გამომგონებელმა მოხერხებულათ გამოიყენა სინდიყის აწევა და დაწევა ბარომეტრში საათის მოსამართავად (კოქსის საათი). გამოგონებულ იქნა სხვაგვარი საათებიც, რომლებიც ვითომდა თავისთავად იმართებოდენ—სინამდვილეში კი მათ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა გარემოს ტემპერატურის ცვლა, რაც იწვევდა ლითონის ღეროების დაგრძელებას და დამოკლებას. ყველა ისინი, არსებითად რომ ვსთქვათ, მზის მამოძრავებლები იყვენ, ვინაიდან მათი ენერგიის მთავარ წყაროს მზე წარმოადგენდა. ესეთი მამოძრავებლების გადიდება დიდი მანქანების ფარგლებამდე, როგორც ამას პრაქტიკა ამტკიცებს, არ არის მიზანშეწონილი, რადგან ამ მანქანების საშუალებით „უფასოთ“ მიღებული ენერგია სინამდვილეში ძლიერ ძვირი დაჯდა.

დაბოლოს, მარადისი მამოძრავებლების მსგავსებას წარმოადგენენ აპარატები, რომლებსაც ძლიერ დიდხანს შეუძლიათ მუშაობა პირველად მიღებული დატენილობის ზეგავლენით. ოქსფორდის უნივერსიტეტის (ინგლისშია) ლაბორატორიაში მშრალი ელემენტი (ზამბონის სვეტი) უკვე 50 წელიწადია აწკარუნებს პატარა ზარს. ე. წ. „რადიუმის საათებს“ შეუძლიათ განუწყვეტლივ 1.500 წელიწადს იმუშაონ. „პერპეტუუმ მობილეს“ მსგავს სუროგატებს ჯერჯერობით პრაქტიკული მნიშვნელობა არ მოუპოვებიათ.

ჩვენს საუკუნეში სერიოზულათ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ორი უკანასკნელი კატეგორიის „მარადიულ მამოძრავებლის“ შესახებ. აქ გამომგონებლებს შემოქმედების ერთგვარი ასპარეზი აქვთ. ეჭვს გარეშეა, რომ ცნობა ბერლინში გამოგონებულ „პერპეტუუმ მობილეს“ შესახებ ასე უნდა გავიგონ.

ი. პერელმანი.

მტვერი ჰაერში



სურათზე ნაჩვენებია ბაქტერიების რიცხვი ჰაერში. წრეები აღნიშნულია რაოდენობა ბაქტერიების, რომლებიც მოიპოვება ერთ კუბიკურ მეტრ ჰაერში (დღის განმავლობაში). სურათის ორ ზემოკუთხეში ციფრებში ნაჩვენებია მორწყვის გავლენა ქუჩებზე ჰაერის მტვერისა და ბაქტერიების რაოდენობის შემცირების მხრივ. სურათის ქვემო კუთხეებში ნათლად არის ნაჩვენები, თუ რამდენ მტვერს ყლაპავენ ქალაქის მცხოვრებლები იმ ადგილებში, სადაც დიდძალი ხალხი იყრის თავს.

გერმანული შორს მსროლელი ზარბაზნები

საიდუმლოებას კრუპის ქარხნებში დამზადებულ შორს-მსროლელი ზარბაზნებისას, რომელთა საშუალებით გერმანელები ომის დროს ყუმბარებს უშენდენ პარიზს, უკანასკნელ დრომდი მალავდენ და მხოლოდ ახლა, როცა მოკვდა ამ ზარბაზნების გამომგონებელი დ-რი ფრიც რაუზენბერგერი, აეხადა ფარდა.

სპეციალისტების აზრი, რომ ეს ზარბაზნები არაჩვეულებრივად გრძელი უნდა ყოფილიყვნენ, გამართლდა: მათი სიგრძე უდრის 18 საჟენზე მეტს. მათი თითეული ზარბაზანი შესდგებოდა სამი შემადგენელი ნაწილიდან: ჩვეულებრივ საზღვაო თოთხმეტდიუმიანი ზარბაზნის ლულაში დებდენ მეორე—8,2 დიუმიან ლულას, რომლის სიგრძე 14 საჟენს უდრიდა. პირველი ლულის დაუფარავ ნაწილზე, სიმაგრისათვის აცვამდენ მილისებურ ნაწილს. მთელი ლულა, ამნაირად გამზადებული, იწონიდა 154 ტონას.

თითეული 8,2 დიუმიანი ყუმბარა იწონიდა 220 გირვანქას. ყუმბარის კედლების სისქე უდრიდა 2¾ ვერშოკს ფუძესთან და ½ ვერშოკს თავთან, ყუმბარის წვერი ძლიერ გრძელი იყო —15-დან 20 დიუმამდე, რადგან ყუმბარას უხდებოდა ჰაერის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის დაძლევა. ყუმბარის გასასროლად ატმოსფეროს ზედაფენებში, სადაც ეს წინააღმდეგობა ისე ძლიერი არ არის, ზარბაზნის ლულას აყენებდენ 50 გრად. კუთხით ჰორიზონტისაკენ. იმის და მიხედვით, თუ როგორი იყო გასასროლი მანძილი, ქარის ძალა და სხვა, ხმარობდენ თოფის წამლის შესაფერ რაოდენობას. ყველაზე უფრო შორ—120 ვერსის მანძილზე გასასროლად ხმარობდენ 660 გირვანქა თოფის წამალს. 110 ვერსის მანძილზე გასროლის დროს, ყუმბარა ვარდებოდა 37 ვერსის სიმაღლეზე და გზის სამ მეოთხედს გადიოდა 9 ვერსის სიმაღლეზე დედამიწიდან. 110 ვერსს ყუმბარა გადიოდა სამი წუთის განმავლობაში.

ლულის არაჩვეულებრივი სიგრძისა და თოფის წამლის დიდი რაოდენობის აფეთქების წყალობით, ყუმბარა ვარდებოდა ზარბაზნიდან 1½ ვერსის სისწრაფით წამში და ისეთი სიძლიერით, რომელიც საკმაო იქნებოდა უდიდესი საჰაერო ხომალდის ასაწევათ ჰაერში ერთი ფუტის სიმაღლეზე.

შორსმსროლელი ზარბაზნებიდან გასროლილი ყუმბარები პირველ ხანებში, როგორც გვერდით ეცემოდა და ხშირათ არ სკდებოდენ. ამის შემდეგ მას გაუკეთეს დამატებითი მოწყობილობა ასაფეთქებლად. ამის შემდეგ ყველა გასროლილი ყუმბარები სკდებოდენ. ვინაიდან ყუმბარას შორ მანძილზე ისროდენ, მასზე გავლენას ახდენდა დედამიწის ბრუნვა და იგი ნიშანში ამოღებულ წერტილიდან ¾ ვერსის დაშორებით განზე ეცემოდა. ესეც მხედველობაში იქნა მიღებული სროლის დროს.

სულ ომის დროს გერმანელების მიერ დამზადებულ იქნა 4 ასეთი შორსმსროლელი ზარბაზანი. ერთი მათგანი გასკდა სროლის დროს, სამი კი მოსპეს საზავო ხელშეკრულების თანახმად.

ბაქტერიების განმანადგურებლები

შვეიცარიელი ექიმი დიერრელი, რომელიც დ-დი ხნის განმავლობაში მუშაობდა პასტერის სახელობის ინსტიტუტში (პარიზში) ბაქტერიოფაგის (ბაქტერიების განმანადგურებლის) პრობლემაზე, ის დასკვნამდი მივიდა, რომ ბაქტერიოფაგი არის სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმი და არა ქიმიური ფაქტორი, როგორც დღემდი ფიქრობდენ.

ბაქტერიოფაგები ამრიგათ წარმოადგენენ პარაზიტთა პარაზიტებს, ულტრა-მიკროსკოპიულ ბაცილებს, რომლებიც კლავენ სხვა ბაცილებს. ექიმ დიერრელის აზრით, ბაქტერიოფაგისაგან თავისუფალი ბაქტერიების კულტურა არ არსებობს.

ისე, როგორც არსებობენ მიკრობები, რომლებიც აავადმყოფებენ ადამიანის ორგანიზმს, მაგრამ არ მოქმედებენ მაგ. ცხენზე, ან მოქმედებენ ცხენებზე, მაგრამ საშიში არ არიან ცხვრებისათვის, ასევე არსებობენ განსაკუთრებული სახის ბაქტერიოფაგები, რომლებიც მოქმედებენ ბაქტერიების განსაზღვრულ სახეებზე.

დიერრელი ამტკიცებს, რომ მან მოახერხა ბაქტერიოლოგიის წმინდა კულტურის გამოყოფა და გამრავლება. ცალკე ბაქტერიოფაგის სხეული არაჩვეულებრივათ პატარაა, აღწევს მილიმეტრის ერთი მეათასედის მეოცეათასედს. იგი თავისუფლად გადის ფაიფურის ლიტრში, რომელიც აკავებს ჩვეულებრივ ბაქტერიებს.

„ეს პატარა ორგანიზმები,—სწერს ექიმი დიერრელი, — იჭრება ბაქტერიის სხეულში და მრავლდება გაყოფის საშუალებით, ისე როგორც ამას სჩადის ბაქტერია ადამიანის სხეულში. თანდათანობით ბაქტერიოფაგების კოლონია იმდენათ მრავალრიცხოვანი ხდება, რომ გლეჯს ბაქტერიის ტანს და იწვევს ბაქტერიის სიკვდილს“.

ადამიანის და საერთოდ ყველა ცოცხალ არსებათა სხეულში გარდა ბაქტერიების ნორმალური რაოდენობისა, მოიპოვება ერთი ან რამდენიმე სახის ბაქტერიოფაგები, რომლებიც ებრძვიან ამ ბაქტერიებს. როცა ბაქტერიები იმარჯვებენ, ჩვენ ავად ვხდებით.

ამჟამად ექიმი დიერრელი იმყოფება ალექსანდრიაში (ეგვიპტე), სადაც თავის თეორიასთან დაკავშირებით, იკვლევს ტროპიკულ სნეულებებთან ბრძოლის საშუალებებს.

ტრაქტორების წინაპარი

ერთ ამერიკულ ჟურნალს თავის ფურცლებზე მოჰყავს მეტად საგულისხმო ცნობა იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით ჰლამობდა ტეხნიკური აზრი მექანიკური ეტლის საკითხის გადაჭრას. მსგავს ცდებს ადგილი ჰქონდა შორეულ წარსულშიაც. საკმაოა გავიხსენოთ კიონიოს პირველი ორთქლის ტრაქტორი, აგებული 1.772 წელს, რომელიც გამოცდის დროს კედელს დაეჯახა და დაიმტვრა. მრავალ ასეთი ორთქლის ეტლები იქნა დამზადებული შემდგომ ათეულ წლებში, მაგრამ. მანქანების სისუსტისა და კონსტრუქციის არაჩვეულებრივი სიმძიმის გამო, საქმე ცდებს არ სცილდებოდა.



---

*) კამათის წესით.

*) ჩრდილოეთ პოლიარული ქვეყნები.

*) ლაპარაკია ბერლინიდან დეპეშით გადმოცემულ შემდეგ ცნობაზე: „ინჟ. ზურმან პლიტმა განაცხადა, რომ „პერპეტუუმ მობილეს“ პრობლემა გადაჭრილია. მან გამოიგონა მანქანა, რომელიც, მისი სიტყვით, წარმოადგენს მოწყობილობას, რომლის საშუალებით „მარადისი მოძრაობის“ ამოცანა გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. პლიტი ამტკიცებს, რომ მის მანქანას, გარედან ენერგიის მიუღებლად, შეუძლია იმუშაოს მუდმივად და შეუჩერებლად.

ახლო ხანში მოახდენენ ცდებს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად სერიოზულია სინამდვილეში გერმან პლიტის გამოგონება“.

სასამართლო

მილიციელ ჭელიძის საქმე

ამა წლის 6 ივნისის, ღამის 12 საათზე, პლეხანოვის გამზირზე, არმიის და ფლოტის ბაღში ერთი ჯგუფი ახალგაზრდებისა შეეცადა მოეხდინა დებოში. ბაღში მყოფმა წითელ-არმიელებმა მთვრალები გამოიყვანეს ქუჩაში და გადასცეს სადარაჯოზე მდგომ მილიციელს კომისარიატში წასაყვანად. ქუჩაში ახალგაზრდებმა ასტეხეს ხმაურობა და ყვირილი და განუცხადეს მილიციელს, რომ არ წავლენ კომისარიატში. ამ დროს მათ მიუახლოვდა მე-9-ე კომისარიატის უფროსი მილიციელი ჭელიძე, რომელმაც საქმის გამოურკვეველად იშიშვლა მაუზერი და დაემუქრა მთვრალებს. ამის შემდეგ ერთი მათგანი გაჰყვა მილიციელს, ხოლო მიხეილ ტიურკი (მე-4-ე სტამბის ასოთ-ამწყობი) განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას. „მესროლეთ, მე არ წავალ კომისარიატში“, დაიძახა მან.

მილიციელ ჭელიძემ ესროლა ახალგაზრდას თვეში და მძიმედ დასჭრა ის. მიღებული ჭრილობებისაგან ტიურკი გარდაიცვალა.

ჭელიძეს ბრალდება ძალა-უფლების გადამეტება; მისი საქმე 15 დეკემბერს გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

ოლქის სასამართლოს სესია

დღეს 12 დეკემბერს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია ამხ. ჯაჯანიძის თავმჯდომარეობით მიემგზავრება გორის მაზრაში. სესიას გასარჩევად მიაქვს 34 საქმე.

სესია დაჰყოფს ერთ თვეს.

დღესვე აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია ამხ. შ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით მიემგზავრება დუშეთის მაზრაში, სადაც გასარჩევად დანიშნულია 15 საქმე.

სესია გაარჩევს ადგილობრივ ჩრდილოეთ-კავკასიის ალმასკომის წევრის ნიკოლოზ ტოტიევის მკვლელების საქმეს, რომლის შინაარსი მოთავსებული გვქონდა ჩვენი გაზეთის 231 ნომერში. პროცესი საჩვენებელი—საზოგადო ხასიათისაა.

დღეს ოლქის სასამართლოს სესია ამხ. გალუსტიანის თავმჯდომარეობით მიემგზავრება აგრეთვე ბორჩალოს მაზრაში, სადაც გასარჩევად დანიშნულია 20 საქმე.

სესია დაჰყოფს ერთ თვეს.

ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს სესია ამხ. ი. ბერიშვილის თავმჯდომარეობით მიემგზავრება სიღნაღის მაზრაში. ადგილობრივ გასარჩევად დანიშნულია ფრიად მნიშვნელოვანი საქმეები.

სესიის მნიშვნელობისა და მუშაობის შესახებ ამხ. ბერიშვილმა განაცხადა შემდეგი:

სესია სიღნაღის მაზრაში დაჰყოფს 1 ნახ. თვეს და გაარჩევს 40 საქმეს. ამ უკანასკნელ ხანებში სისტემატიური ხასიათი მიიღო მკვლელობამ.

მაზრაში გახშირებულია აგრეთვე ავაზაკობა-თავდასხმა.

ასეთ არანორმალურ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად ოლქის სასამართლოს მიერ მიღებულია გადამჭრელი ზომები.

ადგილებზე საქმეების მოსაგვარებლად ოლქის სასამართლოს მიერ იგზავნება სესიები. საერთოდ სესიების მუშაობას დიდი ნაყოფი მოაქვს.

ამათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჩვენებელ-საზოგადო პროცესების ჩატარებას ზემოხსენებულ კატეგორიის ბოროტმოქმედებათა გასასამართლებლად. სასამართლ. სესიები საშუალებას აძლევს გლეხობას გაეცნონ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას სასამართლოს დარგში.

სიყალბე და დეზერტირობა

1925 წელს, მოქ. იასონ გუჯაური (გორის მაზრის მცხოვრები) გაიწვიეს წითელ ჯარში. რამოდენიმე დღის შემდეგ გუჯაურმა აიღო სამი დღის შვებულება და წავიდა სახლში.

ნათესავებმა გამართეს მოლაპარაკება და გადასწყვიტეს „ეხსნათ“ იასონი სამხედრო სამსახურისაგან. იასონის ძმამ თედომ პატიოსანი სიტყვა დასდო იასონის წინაშე, რომ ის „იხსნიდა“ მას ამ მდგომარეობიდან.

თედო გუჯაური ძიძის სოფლის დალაქთან მოქ. ჯავახიშვილთან და როგორც „მცოდნე პირს“ სთხოვს რჩევა-დარიგებას დასახული მიზნის მისაღწევად. ჯილდოთ აძლევს მას 50 მანეთს. ჯავახიშვილი მიდის გორის მაზრის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელთან მოქ. შატბერაშვილთან და აწარმოებს მასთან მოლაპარაკებას ამის შესახებ.

შატბერაშვილის ხრიკებით გუჯაური გაანთავისუფლეს სამხედრო სამსახურისაგან, როგორც „ავადმყოფი“.

ამ გარემოებას შედეგათ მოჰყვა ის, რომ სამხედრო ტრიბუნალში აღიძრა საქმე ძმათა გუჯაურების, ჯავახიშვილის და შატბერაშვილის წინააღმდეგ.

ტრიბუნალმა იასონ და თედო გუჯაურს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით; ჯავახიშვილს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო შატბერაშვილს კი 1 წლით და 4 თვით გამსახლში დაპატიმრება.

შეურაცყოფილი ცოლი

„მასწავლებელი“ კონსტანტინე აბულაძე თავდაპირველად ეარშიყებოდა ახალგაზრდა თამარა ზ-ძეს, რომლის ნათესავები კონსტანტინეს სიძესავით ხვდებოდენ და თავს ევლებოდენ. მშობლები თითებზე ითვლიდენ დღეებს, როდის ეღირსებოდენ ქალიშვილის „გაბედნიერებას“.

„ბედნიერება“ „გაბედნიერებას“.

„ბედნიერება“ მათ კარებს მიადგა კიდეც. ერთ მშვენიერ დღეს, აბულაძემ ოფიციალურად წინადადება მისცა თამარა ზ-ძეს და განაცხადა სურვილი მასთან შეუღლებისა.

თამარ ემუდარებოდა ქმარს გატარებულიყვენ მაჩში, მაგრამ კონსტანტინე უარზე იყო.

დიდი ვაი-ვაგლახით თამარმა ქმართან 4 წელი იცხოვრა. ეყოლა ბავშვიც.

უკანასკნელ ხანებში კონსტანტინე მასწავლებლად თბილისიდან ვადაიყვანეს სოხუმში. ის დიდი ალერსით ეთხოვება თავის ცოლს და აღუთქვამს წერილების ხშირ - ხშირად წერას.

დაპირება „პირნათლად“ შესრულა.

თამარს მოსდის წერილები ქმრიდან. გულისფანცქალით გახსნა მან წერილი და წაიკითხა:

— „მე ამჟამად სხვა ქალი შემიყვარდა, ბავშვი, რომელიც შენ შობე ჩემი შვილი არ არის. შენისთანებთან მე არაფერი საერთო არ მაქვს. ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა“.

თამარმა შეიტანა სასამართლოში საჩივარი, სადაც ის მოითხოვდა აბულაძისაგან ბავშვის რჩენას.

გუშინ 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოში ამხ. ლიუბა გოცირიძის თავმჯდომარეობით დაიწყო აბულაძის საქმის გარჩევა.

სასამართლოში აბულაძემ აღიარა, რომ ბავშვი მისი შვილია.

ხვალ სასამართლო გამოიტანს თავის დადგენილებას.

ზოოლოგიური ბაღი

ვინაიდან თბილისში ზოოლოგიური ბაღის გაშენება, როგორც კულტურული, ისე მეცნიერული მიზნით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, საბოლოოდ გადაწყდა მისი მოწყობა. ბაღი გაშენდება ვერის პარკში, რომელშიაც აიგება სპეციალური შენობები და რამოდენიმე დესეტინის მანძილზე შემოღობილი იქნება მაღალი ღობით.

თბილისის ალმასკომის საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა, ბაღის მოწყობის საქმეში ჩააბას დაინტერესებული ორგანიზაციები, როგორიც არის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების კომისარიატი, ჯანმრთელობის კომისარიატი და სხ. წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად გადადებულია 5.000 მანეთი.

რკინისგზებზე

მატარებლის გაწყვეტა

10 დეკემბერს ლიხი—წიფას შუა, გადასაბმელ კაკვის მოტეხის გამო გაწყდა საბარგო მატარებელი. მატარებელი წიფაში ჩაიყვანეს ორ ნაწილად. ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

თოვლმწმენდის გადავარდნა

10 დეკემბერს ბორჯომიდან ბაკურიანისაკენ გაიგზავნა სანიმუშო მატარებელი თოვლმწმენდით.

გასასვლელ ისრებთან, თოვლმწმენდი მიედვა დაწყობილ რკინეულს და გადავარდა ლიანდაგიდან. ხაზი მცირეოდნად დაზიანდა და შეკეთებულ იქნა 2 საათში.

კალათ-ბურთი

ამ დღეებში ბათომში გაიმართა შეჯიბრი კალათ-ბურთში ბათომის ნაკრებ გუნდისა და ქუთაისის 3-მე ლეგიონის გუნდს შორის.

აღსანიშნავია ქუთაისელების მოხდენილი თამაში, ბურთის სწრაფი გადაცემა და სხვადასხვა ლამაზი ხერხები. განსაკუთრებით კარგათ თამაშობდენ მცველები: გ. კილაძე, პ. კილაძე და ცქიტიშვილი, იმედაძე. თამაში დამთავრდა 28:1 ქუთაისის მესამე ლეგიონის გუნდის სასარგებლოდ.

ხვალ ჩატარდა შეჯიბრი კალათ-ბურთში ქ. ქუთაისის მესამე ლეგიონის და ბათომის მე-2-რე ლეგიონის კალათ-ბურთის გუნდებს შორის, რომელიც დამთავრდა 23:18 ქუთაისის სასარგებლოდ.

შეჯიბრს სჯიდა ამხ. ნ. გვარამაძე.

ქუთაისის ფ. კ. საბჭოს განზრახული აქვს ახლო მომავალში გამართოს ქ. ბათომში ფეხბურთის და კალათ-ბურთის შეჯიბრი ქუთაისის და ბათომის ნაკრებ გუნდებს შორის.

კარლოსი.

ნადირობა

ოზურგეთის მონადირეთა საზ-ში

ოზურგეთში მონადირეთა საზოგადოება არსებობს 1922 წლიდან. თავის არსებობის პირველ წლიდანვე საზოგადოება ენერგიულ ზომებს ღებულობს მტაცებელი ნადირის წინააღმდეგ (მგლები, დათვები და სხვა), რომელიც დიდ ზიანს აყენებს სოფლების მოსახლეობას.

მონადირეთა საზოგადოება წელიწადში 8-10 ჯერ მთელი შემადგენლობით მიდის ტყეში და ხოცავს ნადირს თვითეულ გალაშქრებაზე.

გასულ კვირაში მონადირეებმა 8 მგელი და ერთი დიდი დათვი მოჰკლეს.

საზოგადოება არსებობს საწევრო გადასახადით. საზოგადოებას ამჟამად საკმაოდ მოეპოვება სანადირო მასალა, რომელსაც იგი დაკლებულ ფასებში აწვდის თავის წევრებს.

უღრმესი მადლობა

(წერილები რედაქციის მიმართ)

პირადათ ამის საშუალებას მოკლებული, უღრმეს მადლობას ვუძღვნი თქვენი გაზეთის საშუალებით 28 ნოემბერს ავტომობილის კატასტროფის დროს დაშავების გამო თანაგრძნობისათვის თანამოსამსახურეთ, მეგობრებსა და ნაცნობებს.

ყურადღებისათვის გულწრფელი მადლობა სახალხო კომისართა საბჭოს, ც. კ.-ის და ტ. კ-ის სამდივნოს, პროფსაბჭოთა პრეზიდიუმს, საქართველოს ს. მ. უ. ს. თბილისის ალმასკომს და გზათა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

ჩემს ვალად მიმაჩნია განსაკუთრებული მადლობა გამოვუცხადო ყურადღებისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარს, ა.-კ. რკ. გზების და თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებებს.

11 დეკ. 26 წ.

ინჟ. ბ. ჟიჟინაძე.

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მომეცით „კომუნისტი“-ს საშუალებით მადლობა გადაუხადო ყველა ამხანაგს, მეგობარს, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს, რომელთაც გაიზიარეს ჩემი უღრმესი მწუხარება, გამოწვეული ჩემი ამხანაგის, მეგობრის და ცოლის ვერა მიხეილის ასულის ტრაგიკულად დაღუპვით.

ამხ. სალამით თედო ღლონტი.

პატივცემულო ამხანაგებო.

ჩემი დიდი უბედურობის დროს მე მივიღე ბევრი დეპეშები და წერილები, რომლებშიაც სხვადასხვა პირები და დაწესებულებანი მიცხადებდნენ გულწრფელ თანაგრძნობას ჩემი საწყალი ქალიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო. ვინაიდან მე ვერა მაქვს საშუალება, რომ ყველას ცალკ-ცალკე გამოუცხადო მადლობა, ამისათვის ვთხოვ გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას ნება მომცეს გამოუცხადო ჩემი გულითადი და უღრმესი მადლობა ყველას, ვინც დეპეშებით, წერილობით ან პირადი დასწრებით აღმოგვიჩინა თანაგრძნობა და ანუგეშა ჩემი უზომოდ დამწუხარებული ოჯახი.

მიხეილ სალარაძე.

იურიდიული დახმარება

შვილები ვალდებულნი არიან თუ არა არჩინონ თავიანთი მშობლები?

კითხვა

მე ვარ ქვრივი, შრომის უნარი დაკარგული მაქვს. ვარ 70 წლის. მყავს ორი შვილი. უფროსი ღებულობს ძირითად ჯამაგირს 60 მან. და ნაჭრობისას 90 მან., სულ 150 მან. უმცროსი კი მარტო ძირითად ჯამაგირს—60 მან.

გთხოვთ მიპასუხოთ იმის შესახებ თუ რამდენი უნდა მომცეს თითეულმა შვილმა საზრდოსათვის.

ორივე შვილი ცოლ-შვილიანებია და რკინის გზის კავშირის წევრებია.

თბილისის მცხ. ელისაბედ გრიქუროვი.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 126-ისა, შვილები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი გაჭირვებული და შრომის უნარ დაკარგული მშობლები, თუ უკანასკნელთ არ ეძლევათ სარჩო-საბადებელი სახელმწიფოდან ავადმყოფობისა და მოხუცებლობის დაზღვევის კანონით, ან და სოციალურ უზრუნველყოფის დაწესებულებებიდან.

თუ შვილებს ნებაყოფლობით არ უნდათ ასაზრდოვონ თავიანთი მშობლები, მაშინ ამ უკანასკნელთ აქვთ უფლება მოითხოვონ სარჩო შვილებისაგან სასამართლოს წესით, თანახმად იმავე დეკრეტის მუხ. 97-ისა შვილებმა უნდა არჩინონ და ასაზრდოონ თავიანთი მშობლები მათ მატერიალურ მდგომარეობის მიხედვით. მისაცემ საზრდოს რაოდენობა კი განისაზღვრება შვილების ქონებრივი შეძლებით სასამართლოს განაჩენით.

ამიტომ გირჩევთ მიმართოთ სახალხო სასამართლოს სათანადო განცხადებით.

პარტიული კალენდარი

— სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იუწყება, რომ ორშაბათს 13 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია ა. ლ. კ. კ. უჯრედთა გაერთიანებული კრება. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კომ. ცენტ. საკონტრ. კომისია სთხოვს ამხ. ვართან პეტროსიანს 13 დეკემბერს გამოცხადდეს ც. საკ. კომისიაში (რუსთაველის, 24, 3 სართ., ოთახი № 9).

— საქ. კომპ. ცენტ. საკონტ. კომისია სთხოვს ამხ. აპენიანსკის (საბიბაო ამხ-ბა № 125-ის წევრს) 13 ან 14 დეკემბერს გამოცხადდეს ც. საკ. კომისიაში (რუსთაველის, 24, 3 სართ., ოთახი № 9).

— ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო იუწყება, რომ სამშაბათს 14 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის შემსწავლელ პედაგოგთა წრის მორიგი მეცადინეობა. დღის წესრიგშია თემა: „ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა საბჭოთა კავშირში, ამიერ-კავკასიასა და საქართველოში“.

დასწრება შეუძლიათ ყველა პედაგოგს.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს 13 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში მოწვეულია თათბირი აღწერის საკითხის გარშემო.

უჯრედების პასუხისმგებელ მდივნების და აღწერის ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს, რომ ა. წ. 13 დეკემბერს (ორშაბათს), საღამოს 6 საათზე მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედთა დახურული არა-ჩვეულებრივი კრება.

დასწრება სავალდებულოა.

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი შვილები [illegible] ვარლამი, ლადო გუგუშვილები, და ცაცუ, [illegible] რაჟდენი და ვალოდია შენგელაიები, რძალი ვარო გუგუშვილი, შვილისშვილები ლეილა და ჯუანშერი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 5 დეკემბერს, ქალ. ზუგდიდში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ოლღა კონსტანტინეს ასული შენგელაია-გუგუშვილის

907

მიხა, აკაკი, სონია, ალიოშა, ვლადიმერი, ირაკლი გუგუშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ ბიცოლას

ოლღა კონსტანტინეს ასული შენგელაია-გუგუშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

907

დამწუხრებულნი ტკბილი დედის დაკარგვით შვილები: მანია, ნადია, ანიჩკა, ნინა და მიშა; რძლები: მარო და ფატი; სიძეები: სერგო ქორქოლიანი, ვასო ნაცვლიშვილი და საშა ჩხეიძე და შვილისშვილი თინიკო გლოვობენ მოულოდნელად, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 8 დეკემბერს დაკარგვას

ნინო კონსტანტინეს ასულის ქუთათელაძის

პანაშვიდი ყოველდღე საღ. 6 საათზე, ქალ. მეორე საავადმყოფოში (ყოფ. ალექსანდრეს) კამოს ქ. გამოსვენება აქედანვე კვირას, 12 დეკემბ., დილ. 12 საათზე და დაკრძალვა ახალ-ვერის სასაფლაოზე.

888 3—2

მწუხარებაში მყოფნი: მშობლები, ძმები და ნათესავები უღრმეს მადლობას უძღვნით ყველა იმ მოქალაქეებს, რომელთაც გაიზიარეს ჩვენი უღრმესი მწუხარება საყვარელი და დაუვიწყარი

ნოე თევზაძის

დაკრძალვის დღეს, აგრეთვე მათაც ვინც წერილობით თუ დეპეშით ჩვენი მწუხარება გაიზიარა

899

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მართა თომას ასული. შვილები: ვერა, დიმიტრი, ქიონია, ვლადიმერი და ნინო. რძლები: ალექსანდრა და ანნა, სიძეები: იპოლიტე დუგლაძე, სპირიდონ ბენდუქიძე და ვასილ გაბუნია. შვილისშვილები: მარგარიტა, გიორგი და მიხეილ დუგლაძენი, თამარ და შალვა ცირღილაძენი, გრიგოლი, ირაკლი, ვახტანგ და ნუნუ ბენდუქიძენი, ქეთევან და თინა გაბუნიები აუწყებენ ყველა ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 9 დეკემბერს დილის 10 საათზე გარდაიცვალა მათთვის მუდამ სახსოვარი საყვარელი და ტკბილი ადამიანი

სიმონ ტიმოთეს-ძე მანჯავიძე

რომლის გამოსვენება მოხდება შაბათს, დილის 10 საათზე პლეხანოვის ქუჩიდან სახ. № 97. თბილისის სადგურზე. დაკრძალვა მოხდება 14 დეკემბერს, სამშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე ქალაქ ხაშურში.

889 2—1

მუდამ ღრმად მწუხარებაში მყოფნი: დედა მარგალიტა, მეუღლე ალექსანდრა, შვილები კლარა და გოგი, და ვერა ქემელავა ქმარ-შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, დეკემბრის, 12 დილის 12 საათზე ვერის სასაფლაოზე (ნიკოლოზის ეკლესია) გადახდილი იქნება პანაშვიდი

მუხრან მაქსიმეს-ძე ზოჭოლავასი

გარდაცვალებიდან 4 წლის შესრულების გამო.

905

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 12 დეკემბერს, მეორეთ (აბონემენტის გარეშე) **თამარ ცბიერი**

მონაწილეობენ: ვოლჩანეცკაია, კარგარეთელი, ქუმსიაშვილი, ვენაძე, შარაშიძე.

დადგმა წუწუნავასი.

დირიჟორი დამსახ. მსახიობი სტოლერმანი.

სამშაბათს, 14 დეკემბერს პრემიერა **პიკის ქალი.** (აბონემენტის გარეშე).

ბ. 335

სახელმწიფო დრამა

კვირას, 12 დეკ მბ რს, უ. შექსპირის **ჰამლეტ**

ტრაგ. 5 მოქ. 11 სურათად; თარგ. ი. მაჩაბლის

ჰამლეტ—უ. ჩხეიძე

დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

4—4 ბ. 325

აპოლო

არფასტო

სოლეი

დარბაზი

(ყოფ. გლობუსი)

0—10 ბ. 287

11, 12 დეკემბერს,

ნიბელუნგები უკანასკნელი მე-3 და 4 სერია ერთად

ანონსი: ორშაბათიდან „დამწვარი ფრთები“

პირველად თბილისში სეზონის საუკეთესო კომედია

ნაჩქარევი ქორწინება

ანონსი: ამ დღეებში „უკანასკნელი განსაცდელი“

პირველად თბილისში „ქალი ყავახანიდან“

ქსენია დესნის მონაწილეობით. პროგრამის გარეშე მხიარული კომედია ბესტერის, კიტონის და ფატის მონაწილეობით.

ამ დღეებში შედევრი „ჰო ან არა?“

„პროცესი სამ მილიონზე“

ამ დღეებში: „მკვლელის დაღი“ (იუსტი)

ყველა კინოებში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

კვირას, 26 დეკემბერს, დილის 10 საათზე, თბილისის საქონლის-საფონდო ბირჟის შენობაში (სოლოლაკის ქ. № 7) დანიშნულია

თბილისის ურთიერთ საკ. სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების

„მერკურკრედიტის“

წევრთა საერთო კრება

დღის წესრიგი:

1) გამგეობის და საბჭოს მოხსენება საზოგადოების მუშაობის შესახებ წარსულ საოპერაციო წლის განმავლობაში.
2) საზოგადოების 1925—26 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება 1926—27 წლისათვის.
5) გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

იმ შემთხვევაში, თუ 26 დეკემბრისათვის დანიშნული წევრთა საერთო კრება არ შესდგა, მეორე საერთო კრება დანიშნულია კვირას, 9 იანვარს, დილის 10 ნახ. საათზე, თბილისის საქონლის-საფონდო ბირჟის იმავე შენობაში.

მეორე საერთო კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მას.

ბ. 337

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1927 г. на ЖУРНАЛЫ:

САМЫЙ РАСПРОСТРАНЕННЫЙ ЖУРНАЛ **„ОГОНЕК“** ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛ

с приложениями (3 АБОНЕМЕНТА) с приложениями:

1 абон.: 52 номера богато иллюстрированного журнала „ОГОНЕК“ с 1 приложением (только годовым и полугодовым подписчикам): „АЛЬБОМ СОВРЕМЕННОЙ САТИРЫ и ЮМОРА“ (лучшие художники и карикатуристы)—издание большого формата, на отличной бумаге, в изящной художественной папке (в отдельной продаже альбом будет стоить 1 рубль 75 коп.). год **5 р.**, пол-года **3 р.**, 3 мес. **1 р. 20 к.**, 1 мес. **40 к.**

2 абон.: 52 номера „Огонька“ с 2-мя приложениями (только годовым подписч.): 1) роскошный, богато иллюстрированный том, посвященный 10-летию Октябрьской Революции: „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА“ (промышленность, сельское хозяйство, наука, литература, искусство) 300 страниц в прочном, изящном переплете (в отдельной продаже том будет стоить 4 рубля) и 2) „АЛЬБОМ СОВРЕМЕННОЙ САТИРЫ и ЮМОРА“ год **6 руб. 50 к.**

3 абон.: 52 номера „Огонька“ с 3-мя приложениями (только годовым подписчикам): 1) 104 КНИЖКИ (по 2 книжки в неделю) БИБЛИОТЕКИ „ОГОНЕК“ (произведения лучших русских и иностранных писателей), 2) „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА“ и 3) „АЛЬБОМ СОВРЕМЕННОЙ САТИРЫ и ЮМОРА“ . . . . год **15 руб.**

На 3-й абонемент допускается рассрочка: при подписке—5 руб., к 1 апреля и к 1 июля—по 5 р. Приславшие же сразу полностью 15 руб. получат ПРЕМИЮ: Изящную английскую настольную раздвижную этажерку для „Библиотеки“.

„БИБЛИОТЕКА ОГОНЕК“

Лучшие русские и иностранные авторы: художественная беллетристика, поэзия, сатира, юмор и проч.

По 2 книжки в неделю—104 книжки в год.

Год—10 руб., ½ года—5 руб., 3 мес.—3 р., 1 мес.—1 руб.

Годовые подписчики получат БЕСПЛАТНУЮ ПРЕМИЮ—изящную английскую раздвижную настольную этажерку.

Сезонные альбомы новейших заграничных мод

„МОДЫ СЕЗОНА“.

Выходят 4 раза в год в 2-х изданиях:

1-е ИЗДАНИЕ: 4 альбома в год по 40 страниц, с 8-ю красочными вкладными листами и с приложением выкроек. ЦЕНА: год—10 руб., ½ года—5 р. 40 к. Отдельные №№ по 3 рубля.

2-е ИЗДАНИЕ (удешевленное): 4 альбома в год. ЦЕНА: год—3 р. 50 к., ½ года—2 р. Отд. №№ по 1 р.

Ежемесячный домашне-хозяйственный богато иллюстрированный и модный

„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“

(Единственный, выходящий в 1927 году)

12 №№ в год, с приложением выкроек и контурных листов. Год—10 р., ½ года—5 р. 50 к., 3 мес.—3 р. Отд. №—1 р. 30 к. (Годовым подписчикам допускается рассрочка: при подписке—4 руб., к 1 апреля—3 руб. и 1 июля—3 руб.).

С дополнительным приложением составленной по новейшим рецептам „КУЛИНАРНОЙ КНИГИ“:

Год—10 р. 80 к., ½ года—5 р. 30 к., 3 мес.—3 р. 80 к.

Подписчики, внесшие подписную плату сразу полностью, получат БЕСПЛАТНУЮ ПРЕМИЮ: годовые—20 книжек избранных русских и иностранных авторов Библиотеки „ОГОНЕК“ и полугодовые—10 книжек.

Ежемесячный журнал фото-любительства и репортажа

„СОВЕТСКОЕ ФОТО“

Год—ТРИ руб. 75 к., ½ года—ДВА руб. 10 к.

ПЕРЕВОДЫ АДРЕСУЙТЕ: МОСКВА 9, Тверской бульвар 26, Акц. Издательскому О-ву „ОГОНЕК“

На переводах точно указывайте, на какой именно журнал и абонемент переводятся деньги.

Подписка также принимается во всех почтово-телеграфных учреждениях СССР.

ბ. 336 4—

გაზ. „კომუნისტი“-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით** სთხოვს, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

1—1 უფ. მთავარი კანტორა

ქალ. თბილისის საბინაო სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ს. ნადირაძე

აცხადებს, რომ 17 დეკემბერს 1926 წლ. დილის 11 საათზე, ადგილობრივ, ელისაბედის ქ. № 33, პირველად **საჯარო ვაჭრობით** გაყიდული იქნება მოქ. მანუელ ვექსლერის მოძრავი ქონება, რაც შესდგება სხვადასხვა სახლის ავეჯეულობისაგან, შეფასებული 161 მან., თანახმად საბინაო სასამართლოს მიერ გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა № 2706 13/16 სექტემბრის 1926 წლ.

901

ქ. ქუთაისის 1 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ხახანაშვილის ქუჩაზე სახლი № 14 დანიშნულია 22 დეკემბერს 1926 წ. დილის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობა** სოფიო და სილოვან ლაჭყეპიანების ქონების ოჯახის მოწყობილობის კამოდის, ხელით საკერავი მანქანის, კუშეტკის, მაგიდის, კარტის სათამაშო მაგიდის, სკამების, და სხვების შეფასებულს სულ 228 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე ანტონ ხეცურიანის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

ბ. 340

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე სახლი № 28 დანიშნულია 22 დეკ მბერს 1926 წ. დღით 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ბიქტორ ბეგლარისძე ანჯაფარიძის ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლის, მდებარის იმავე ქუჩაზე, რომელიც შესდგება ხუთი სამუნიციპალო განყოფილებისაგან 12 საცხოვრებელი ოთახებისაგან სამი სამზარეულოსაგან და ორი ხის საკუჭნაოსაგან და ამ სახლის მახლობლად ბალავერ ჩაყრილი ცოკოლამდი შენობის, აგებულების მიწაზე ზომით 950 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებულს 5000 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს გადასახადის დასაკმაყოფილებლად და ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნულ 311 მუხ. სამ საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი.

ბ. 340

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ჯაფარიძის ქუჩაზე მე-3 ჩიხში № 1 დანიშნულია 16 დეკემბერს 1926 წ. დილის 11 საათზე, მეორე **საჯარო ვაჭრობა** კონსტანტინე ასლანის-ძე აბულაძის ერთი ერთ სართულიანი ქვიტკირის სახლის, რომელიც შესდგება სამი თვალი საცხოვრებელი ოთახისაგან ქვიშ სარდაფით და ერთი თვალი ქვიტკირის მოუთავებელი სამზარეულოსაგან, აგებული მიწაზე ზომით 80 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებული 800 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად და ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი შენობის შეფასების 10 პროც.

ბ. 340

თბილისის

წიგნის მთავარ მაღაზიებში

იყიდება

პოპულიარულად დამუშავებული შემდეგი წიგნები:

1. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი, 1926 წლის გამოცემა . . . . 50 კ.
2. არითმეტიკა—ჩვეულებრივ და ათწილად ნაწევართა თეორია . . . . 50 კ.
3. ფუნქციონალური დამოკიდებულება და მისი ასახვის მათემატიკური საშუალებანი, 1926 წ. გამოცემა . . . . 50 კ.
4. ტრიგონომეტრია, მეთოდიური ცდა, მასწავლებელთათვის, 1926 წლის გამოცემა . . . . . 1 მ.
5. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის . . . . 30 კ.
6. ძველი აღმოსავლეთის წარსული და ვეფხისტყაოსანი. . . . . 40 კ.

წიგნების გამოწერა და შეძენა შეიძლება ავტორისაგანაც, სოფლის მასწავლებელთათვის 50 % ფას. დაკლებით: თბილისი, ავლაბრის ფოსტის განყოფილება.

15—5 ქვ. 10 ი. ჯიშკარიანი

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტი აცხადებს

კონკურსს

ორ სართულიან—ოთხბინიან ტიპიურ მუშათა სახლის პროექტის შესადგენათ.

ამონაწერი კომიტეტის მიერ 1926 წ. 3 დეკემბრის სხდომაზე დამტკიცებულ პროგრამიდან, ოქმი № 11.

მუხ. 15. შედარებით უკეთეს პროექტებისათვის, რომლებიც დააკმაყოფილებენ კონკურსის პირობების მოთხოვნილებას, გაიცემა 2 პრემია:

1 პრემია . . . . . 600 მანეთი

2 პრემია . . . . . 400 მან.

მუხ. 16. კომისია იტოვებს უფლებას პრემიის გარეშე დარჩენილი პროექტები შეიძინოს თითო 200 მანეთად.

შესაფერი თანხა შეტანილია თბილისის კომუნალურ ბანკში მიმდ. ანგ. № 471.

მუხ. 17. პრემიის გარეშე დარჩენილი პროექტების დევიზები გახსნილი არ იქნება.

მუხ. 21. პროექტები უნდა იქნეს წარდგენილი საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტში (თბილისი, ძნელაძის—ყოფ. საპიორის ქ. № 30. მე-3 სართული, ოთახი № 5). სხვა ქალაქებიდან პროექტები უნდა გადმოიგზავნოს ფოსტით და ამასთანავე ტელეგრაფით უნდა აცნობონ გადაგზავნის შესახებ კომიტეტს, დევიზის მოწერით, იქვე შეიძლება ყოველგვარი ცნობების და აგრეთვე კონკურსის პროგრამის მიღება ამხ. პ. ი შენგელიასთან.

ბ. 327 3—2

საქართ. ტყის მრეწველობის ტრესტმა

დასდო სრულიად რუსეთის სატყეო

სინდიკატთან

ა/კ. უმაღლეს ორგანოებთან შეთანხმებული

მონოპოლიური ხელშეკრულება

საქართველოს საზღვრებში

ხე-ტყის მასალათა ვეგმიხნი შემოტანის მიზნით

ამიტომ ტყის მრეწველობის ტრესტი

წინადადებას

აძლევს ყველა დაინტერესებულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს წინასწარვე მიმართონ ტრესტს შეკვეთებით ხე-ტყის მასალაზე.

მისამართი: მაჩაბლის (ყოფ. სერგეევის) ქუჩა № 1. ტელ. №№ 13—66 და 14—78

3—2 ბ. 323

ამ.-კავ. რკინისგზების გამგეობის

საკომერციო ეკონომიური განყოფილება

აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 15 დეკემბერს დილის 10 საათზე, თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქ. № 3)

აუქციონით გაიყიდება

2 ცხენი და 1 სამხედრო სახის „პოვოზკა“

რომლებიც ამიერ-კავკასიის რკინისგზების დაცვის განყოფილებას ეკუთვნიან.

ბ. 339

ექიმი

მებრაბიანცი

ფილტვების, ფლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის სამკურნალო

საწოლებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყურგანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1

ქვ. 788

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადამყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—1

მედიცინის დოქტორი

ბ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

[illegible]

ყოველგვარ საპარიკმახერო კრეპ ოების დაკვეთებს. აგრეთვე მსურველთ შეუძლიან შეიძინონ ასეთები ჩემთან პლეხანოვის პრ. № 120. ცხვარაძეს ეზოში.

846

ექიმი

არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი დილის 9—12 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე.

ლენინის (ყოფილი ოლღას) ქუჩა № 35

854 13—1

ექიმი

ბ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 5

ექიმი-ქალი

თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.

ექიმი

მ. ს. არჯევანიძე

გადავიდა

ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ყველასათვის ხელმისაწვდომი სამშობიარო თავშესაფარი

ს. ივ. არარატოვისა

დიდი ვანქის ქ. № 6.

სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

დავკარგე დროებითი მანდატი № 671 გაცემული ა. ლ. კ. კ. შორაპნის მაზრო კომიტეტის მიერ და მოწმობები გაცემული ა. ლ. კ. კ. ზესტაფონის რაიკომის მიერ ივანე დიმიტრისძე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 890

დავკარგე სატრანსპორტო კავშირის წევრობის წიგნაკი № 825 და მე-12-ე რაიფინინსპექციის მიერ მოცემული მოწმობა № 10 ბენია ქანთარიას სახელზე, ჩ. გ. 903

დავკარგე პითურის სამთო-მადნო პროფკავშირის წიგნაკი № 8250 კალისტრატე გზობავას სახელზე, ჩ. გ. 902

დავკარგე ერთიანი პარტბილეთი № 492887 ლუბა ძინძიბაძეს სახელზე, ჩ. გ. 904

დავკარგე კომპარტიის საწევრო მოწმობა—მანდატი № 496003 ვარდენ იოსესძე გვაზავას სახელზე, ჩ. გ. 906

დავკარგე უვადო პასპორტი, მოცემული თბილისის მილიციის სამმართველოდან, ვლადიმერ პერკინის სახელზე, ჩ. გ. 908

დავკარგე მე-2 ხარისხის სავაჭრო მოწმობა № 76 მიღებული ქუთაისის სამფინგანიდან, პირადობის მოწმობა და სამხედრო ნუსხა იაკობ რაფიელისძე პაპიაშვილის სახელზე, ჩ. გ. ბ. 340

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.